მარქსის სახ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 2 ივლისი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 152 (2800)

— გუშინ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს უცხოეთის დეპეშები არ გადმოუცია.

# საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო ანგარიში

## ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) XVI ყრილობაზე

ამხანაგებო! ჩვენ გუშინ მოვისმინეთ მოხსენება ამხ. სტალინის, რომელმაც გადაგვიშალა გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობისა და ჩვენი პარტიის გამარჯვებების, მისი გენერალური ხაზის გამარჯვებების სურათი.

ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობა დამორჩილებული იყო ამ გენერალურ ხაზისადმი. ლენინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა პარტიის საორგანიზაციო პრაქტიკის პარტიის პოლიტიკისადმი დამორჩილებულ როლს. ოპორტუნისტები, თავის მის წრაფებაში—მოეხდინათ პარტიის ხაზის რევიზია, ამ რევიზიას ჩვეულებრივ იწყებდნენ პარტიის ხაზის დაპირისპირებით მისი განხორციელების პრაქტიკისათვის. საანგარიშო პერიოდში ჩვენ შევხვდით ძველ რევიზიონისტულ მეთოდებს, როცა უკლონისტებმა პარტიის გენერალურ ხაზის რევიზიის დროს, დაიწყეს ტროცკისტული მეთოდების განმეორება და შეეცადნენ დაემტკიცებიათ, რომ ცეკას ხაზი—ერთია, პრაქტიკა კი—მეორე. ოპორტუნიზმის ეს ხრიკები ადვილად გამოააშკარავა პარტიამ იმიტომ, რომ პარტიის თვითეულ წევრს და თვითეულ მუშას შეთვისებული აქვს ლენინიზმის ანბანური ჭეშმარიტება, რომ სწორი პოლიტიკის სწორ საორგანიზაციო პრაქტიკასთან მოხერხებულად შეთავსების გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევდით იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებზედაც გუშინ აქ ლაპარაკობდა ამხ. სტალინი. ჩვენი საორგანიზაციო პრაქტიკა იცვლება პოლიტიკური პირობების შეცვლასთან ერთად რევოლიუციის თვითეულ განსაზღვრულ ეტაპზე; და საანგარიშო პერიოდში პარტიისა და მისი მამოძრავებელი რგოლების—პარტიიდან მასებისაკენ—მთელი პრაქტიკული მუშაობა განსაზღვრული იყო სოციალისტური მშენებლობის რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანებით. განვლილ პერიოდს, პირველყოვლისა ახასიათებს გაშლილი სოციალისტური შეტევა ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებზე და კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავება. კლასობრივი ბრძოლა იშლებოდა იმ ოთხი ძირითადი პოლიტიკური ამოცანის განხორციელების ხაზით, რომლებიც იდგა ჩვენი პარტიის წინაშე.

ეს ამოცანები ასეთია:

1. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა, რამაც თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ლოზუნგში: „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში".

2. სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

3. პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების გარდაქმნა და გადაკეთება და პროლეტარიატის შემაკავშირებელი და ორგანიზატორული როლის განმტკიცება.

4. და როგორც უმნიშვნელოვანესი პირობა ამ ამოცანების განხორციელებისა—პარტიის ბრძოლის უნარიანობის უზრუნველყოფა და მისი რიგების იდეურად და ორგანიზაციულად გამაგრება.

სოციალისტური მშენებლობის ეს ამოცანები უაღრესად რთულდებოდნენ მათი გადაჭრის პროცესში და ხორციელდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში უდიდეს კლასობრივ გადაჯგუფებათა პირობებში.

ამ ამოცანებთან შეფარდებით ჩვენმა პარტიამ საანგარიშო პერიოდის მანძილზე წამოაყენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანები და ლოზუნგები, რომლებიც რაზმავდნენ და ახდენდნენ მასების მობილიზაციას.

როგორია ეს ამოცანები და ლოზუნგები?

პირველი ამოცანის—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფის განხორციელების საქმეში პარტიის ლოზუნგები იყო:

მასების აქტივობის მობილიზაცია, მუშათა კლასის შრომითი აღფრთოვანების ორგანიზაცია და, პირველ რიგში, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის წარმატებით გაშლა, ყველა პროლეტარული ორგანიზაციებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ორგანოების (პროფკავშირები, საბჭოები, კოოპერაცია, კომკავშირი, პარტია) მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა, მრეწველობის გაშლისა და განვითარების და მუშათა კლასის საჭიროებათა საუკეთესოდ დაკმაყოფილების ამოცანებთან შეფარდებით.

მეორე ამოცანის—სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში პარტიის ლოზუნგები იყო:

პროლეტარული ქალაქის მიერ სოფლისათვის დახმარების გაძლიერება კოლექტიურ, და საბჭოთა მეურნეობების მოწყობაში.

ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა ორგანიზაციების გამაგრება და ამ ბაზაზე კულაკობასთან ბრძოლის და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება.

სოფლის ყველა ორგანიზაციების (საბჭოები, კოოპერაცია, კომკავშირი, პარტია) გარდაქმნა და პირით მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ, პირით მობრუნება სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ.

მესამე ამოცანის—პროლეტარული დიქტატურის ორგანოებისა და პროლეტარიატის შემაკავშირებელი და ორგანიზატორული როლის გამაგრების საქმეში—პარტიის პრაქტიკული ლოზუნგები იყო:

მუშათა პოლიტიკური აქტივობის ორგანიზაცია პროლეტარული თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერება საბჭოთა აპარატში, მისი გაწმენდა მტრულ, უცხო და უვარგის ელემენტებისაგან, სახელმწიფო აპარატში მუშების გაძლიერებული ჩაბმა, სახელმწიფო აპარატზე მუშათა შეფობის მოწყობა მასზე მტრული კლასების გავლენისათვის დასაპირისპირებლად.

მუშათა კლასის კულტურის ამაღლება და, დაბოლოს, ცენტრალური ლოზუნგი—

საკუთარი პროლეტარული კადრების შექმნა სოციალისტური მეურნეობისათვის პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოებში.

მეოთხე ამოცანის—პარტიის ბრძოლის უნარიანობის უზრუნველყოფისა და მისი იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცების ამოცანის განხორციელების საქმეში—პარტიის პრაქტიკული ლოზუნგები იყო:

პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაძლიერება ადგილებზე.

პარტიის შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება და მის რიგებში დაზგის მუშათა რიცხვის გადიდება.

მისი წევრების იდეურ-თეორეტიულ დონეს ამაღლება.

შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის გაშლა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სოციალისტური მშენებლობის წარმოება.

ყოველდღიურ მუშაობაში პარტიის გენერალური ხაზისათვის და ლენინიზმისათვის ბრძოლა, გადამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე—„მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ჭაობის წინააღმდეგ, ამ გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. თავის სიტყვაში ცეკას აპრილის (1929 წ.) პლენუმზე მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ) ამხ. სტალინმა მიუთითა კავშირზე, რომელიც არსებობს პარტიის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებსა და ჩვენს ქვეყანაში მომხდარ კლასობრივ გადაჯგუფებათა შორის. ამხ. სტალინი ამბობდა, რომ „ეს ლოზუნგები წარმოადგენენ შემადგენელ რგოლს ერთ განუწყვეტელ ჯაჭვისა, რომელსაც ეწოდება სოციალიზმის შეტევა კაპიტალიზმის ელემენტების წინააღმდეგ. რეკონსტრუქციის (მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის) მოსახდენად პირველ ყოვლისა საჭიროა გაუმჯობესებული და გამაგრებულ იქნას სოციალისტური მშენებლობის კადრები, როგორც სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული, ისე პარტიული და კოოპერატიული; საჭიროა გავამახვილოთ ყველა ჩვენი ორგანიზაციები, გავსწმინდოთ ისინი უცხო ელემენტებისაგან, საჭიროა ავამოძრაოთ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონებიანი მასების აქტივობა". ამ ძირითად დებულებათა საფუძველზე ცეკას აპრილის (1929 წ.) პლენუმმა მიუთითა, რომ „რეკონსტრუქტიული პერიოდის ურთულესი ამოცანების შესრულება, მასთან დაკავშირებულ სიძნელეთა დაძლევა, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მოითხოვენ რიგებისა და პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოების, მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ მასების უფართოესი მობილიზაციის და აქტივობის, გლეხობაზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერების, კულაკობის წინააღმდეგ მთელ ღარიბ და საშუალო გლეხობის დარაზმვისა და ამოძრავების, წვრილბურჟუაზიულ სტიქიაზე თანამიმდევრობითი იერიშის მიტანის უზრუნველყოფის ხაზით. შემდგომი გაშლა მასიური პროლეტარული თვითკრიტიკისა, რომელსაც წინააღმდეგობას უწევენ ჩვენი აპარატების ბიუროკრატიული ელემენტები, ამ გარდაქმნის საფუძველს წარმოადგენს.

ამხ. კაგანოვიჩი

ეს ამოცანები საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიის საორგანიზაციო მუშაობას საანგარიშო პერიოდში.

## I. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა

### მუშათა კლასის შეკავშირების გაძლიერება

პირველ ყოვლისა საჭიროა შევჩერდეთ მუშათა კლასის ზრდისა და შეკავშირების ზოგიერთ ფაქტზე, რაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობას იმისათვის, რომ პარტიის წინაშე მდგარი ამოცანები წარმატებით იქნას გადაწყვეტილი. ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში უკვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენში სოციალისტური მეურნეობის ზრდის საფუძველზე სწარმოებდა პროლეტარიატის რიგების ზრდის პროცესი, პროლეტარიატის კონსოლიდაციისა, მისი პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების ზრდის პროცესი.

რას გვიჩვენებს პროლეტარიატის დარაზმულობის ზრდის ციფრები და ფაქტები? აი ცნობები პროლეტარიატის დარაზმულობისა პროფკავშირებში. 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის, ე. ი. მე-15 ყრილობისათვის, პროფკავშირებში ითვლებოდა 10.441.400 წევრი, ხოლო 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის პროფკავშირებში ითვლებოდა 11.585.300 წევრი. ზრდა შეადგენს 1. 143.900-ს ანუ 10,92 პროცენტს; 1922 წლის მიმართ კი პროფკავშირები გაიზარდა 21 პროცენტით. ყველაზე დიდ ზრდას ისეთი კავშირები იძლევიან, როგორიცაა მშენებელთა და სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირები. ეს იმას მოწმობს, რომ პროლეტარიატის რიგებს ემატებიან ახალი ფენები სამშენებლო საქმისა და სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირების ხაზით. მაგრამ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის სერიოზული ფაქტი, რომ თუმცა დარაზმულ მუშათა რიცხვი აბსოლუტურად იზრდება, მაგრამ პროფკავშირებში მუშათა ჩაბმა ფეხდაფეხ ვერ მისდევს სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდასა და ახალი მუშების ჩაბმას წარმოებაში. თუ კი 1924 წელს 100 მუშაზე პროფკავშირის 90 წევრი მოდიოდა, სამაგიეროდ 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის 80 წევრი მოდის, ხოლო ზოგიერთ კავშირში ამაზე ნაკლებიც. მაგალითად, სამთამადნო კავშირში 1924 წელს მუშათა რიცხვის 89% ითვლებოდა, ხოლო 1929 წელს მხოლოდ 75 პროც.; მელითონეების კავშირში 1924 წელს—91 პროც., ხოლო 1929 წ.—89 პროც. სხვანაირად რომ ვთქვათ, პროლეტარიატის ერთი მეოთხედი, დაახლოებით 20 პროც. არაა ჩაბმული პროფკავშირებში.

მივხედოთ ეხლა მუშებისა და მშრომელების შეკავშირების სხვა ფორმებს.

მუშა ქალთა სადელეგატო კრებებში ჩაბმულია 107 ათასი მუშა ქალი.

ესენი არიან აქტივისტი ქალები, რომელნიც დიდ როლს თამაშობენ ქალთა აქტივობის ორგანიზაციის საქმეში. რაც შეეხება ქალთა ხვედრითი წონას ცენზიან მრეწველობაში იგი შეადგენს 28 პროცენტს, ხოლო პროფკავშირებში—41,1 პროცენტს.

თავდაცვა-ავიაქიმს, რომელიც მაჩვენებელია მუშათა კლასის და მშრომელთა მასების პოლიტიკური შეგნების ზრდისა და რომელიც მოწოდებულია გაამაგროს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, — თავდაცვა - ავიაქიმს 1927 წელს ჰყავდა 2.950.000 წევრი, ხოლო ამჟამად ჰყავს 5.100.000 წევრი, ე. ი. თითქმის ერთი-ორად არის გაზრდილი წევრთა რიცხვი. მუშები საერთო შემადგენლობის 35 პროცენტს შეადგენს.

[illegible] წევრთა რიცხვი 3.631.000-დან გაიზარდა 4.150.096-მდე.

ულმერთოთა კავშირი, რომლის ორგანიზაცია და ზრდაც გვიჩვენებს პროლეტარიატისა და მშრომელთა მასების განთავისუფლების ხარისხს სარწმუნოებრივი ბურანისაგან, რომელიც გვიჩვენებს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ზრდას, ამ კავშირმა თავის წევრთა რიცხვი 138.402-დან (1928 წ.) 2,500,000-მდე (1930 წ.) აიყვანა.

კომკავშირი აერთიანებს 2.466.000 კაცს; მან თავისი რიგები მე-15 პარტყრილობის მომენტიდან 529.150 კაცით გაადიდა. კომკავშირში 858.798 მუშაა, ანუ 34,8 პროც.; მოჯამაგირე—329.602, ანუ 13,4 პროც.

მიუხედავად ასეთი ზრდისა, ჯერ კიდევ მუშა-ახალგაზრდობა სრულიადაც საკმაოდ არაა ჩაბმული კომკავშირში. კომკავშირის ზრდის ტემპები ჩამორჩება პარტიის ზრდის ტემპებს.

წითელი არმია წლითი-წლობით ძლიერდება როგორც შემაკავშირებელი ძალა. ყოველ წლობით წითელ არმიაში იზრდება მუშური, პარტიულ-კომკავშირული ფენა.

თუ კი 1927 წელს წითელარმიელთა შემადგენლობაში ითვლებოდა 19,9 პროც. მუშა, 4,2 პროც. კომუნისტი, 13,6 პროც. კომკავშირელი, სამაგიეროდ 1930 წლის 1 იანვრისათვის იყო 23,4 პროც. მუშა, 4,4 პროც. კომუნისტი და 18,1 პროც. კომკავშირელი. წითელ არმიელები არმიიდან წასვლის შემდეგ ქალაქადაც და სოფლადაც წარმოადგენენ ფართო მასების შემაკავშირებელ ძალას.

მუშკორები: თუ კი მე-15 პარტყრილობისათვის 115.000 მუშკორი იყო, სამაგიეროდ მე-16 პარტყრილობისათვის მათი რაოდენობა 532.000-მდე ადის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუშათა ბავშვების შეკავშირება—პიონერთა მოძრაობა. 1928 წლის 1 იანვრისათვის ითვლებოდა 1.653.370 პიონერი, ხოლო ამჟამად მათი რიცხვი 3.301.458 შეადგენს. ზრდა 100 პროცენტს უდრის.

ყველა ეს ციფრი იმას მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მუშათა კლასის შეკავშირების გიგანტურ ზრდასთან, როგორც რიცხვობრივ, ისე თვისებრივ ზრდასთან. რასაკვირველია, ჩვენ თავდავიწყებას არ ვეძლევით, თვალს არა ვხუჭავთ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი მრეწველობის ზრდასთან ერთად მუშათა კლასის რიგებში შედიან ახალი კადრები, მათ შორის ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ელემენტებიც, ჩვენ ვიცით, რომ ამ წრეებს თან მოაქვთ არა პროლეტარული იდეოლოგია. მაგრამ რამდენადაც საქმე შეეხება მუშათა კლასის საქმეს, მისი ძირითადი მასის სახეს, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მუშათა კლასის აქტივობისა და შეკავშირების გიგანტური ზრდა უდავო ფაქტია. ჩვენ სიამოვნებით შეგვიძლიან ვთქვათ მე-16 ყრილობაზე, რომ საანგარიშო რეკონსტრუქტიულ პერიოდში რომელიც დაკავშირებულია სიძნელეებთან, ჩვენი პროლეტარიატი, როგორც კლასი ამოცანების სიმაღლეზე, თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდა (ტაში).

ლენინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასის ძალა მისი ორგანიზაციაა, მასების შეუკავშირებლად პროლეტარიატი არარაობაა. შეკავშირება, დარაზმულობა პრაქტიკული გამოსვლის (გამოტოვებულია) ერთიანობა — მთლიანობაა, მაგრამ, რა თქმა უნდა იმდენად, რამდენადაც იგი წინა სწევს და არა უკან პროლეტარიატს, რამდენადაც იგი რაზმავს მას, ამაღლებს, და არ აქვეითებს, არ რყვნის, არ ასუსტებს, როგორც ამას სჩადიან ოპორტუნისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში და როგორც ამას ლამობდნენ ოპორტუნისტები ჩვენს ქვეყანაში.

პარტია და მისი ც. კ-ტი განვლილი პერიოდის მანძილზე კი არ აქვეითებდენ, კი არ რყვნიდნენ მუშათა კლასს, არამედ ამაღლებდნენ, რათა მუშათა კლასის შეკავშირებამ წინ წასწიოს და არა უკან დასწიოს სოციალისტური მშენებლობა. ეს რომ ასეა, ამაში შეგვიძლიან დავრწმუნდეთ ჩვენი მშენებლობის ძირითად დარგების ფაქტთა შემდგომი ანალიზის დროს.

### მასების აქტივობის მობილიზაცია, მუშათა კლასის შრომითი აღმავლობის ორგანიზაცია

### (სოცშეჯიბრება და დამკვრელობა)

საანგარიშო პერიოდს ახასიათებს მუშათა კლასის უდიდესი შრომითი აღმავლობა და როგორც ეს ც. კ-ის პოლიტიკურ ანგარიშში იყო აღნიშნული, საანგარიშო პერიოდის ერთერთ გადამწყვეტ და ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენდა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ყველაზე მკვეთრი მაჩვენებელია იმისა, რომ მუშათა კლასის შეკავშირებამ აწია იგი უმაღლეს საფეხურზე, წინა სწევდა მას და არა უკან. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ყველაზე მკვეთრი გამოხატულებაა იმ ახალ საწარმოო დამოკიდებულებათა, რომელიც დამყარდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებისა და აყვავების საფუძველზე. სულ უმცირეს ხანაში სოციალისტურმა შეჯიბრებამ უდიდესი გაქანება მიიღო. სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოკვლევამ, რომელიც ჩატარებული იყო 1930 წლის მაისში და რომელიც 20 უდიდეს საწარმოოს შეეხო, გვაჩვენა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ამ საწარმოთა მუშების 87 პროცენტი, ხოლო დამკვრელობაში 48 პროც. დამკვრელთა ლენინის გაწვევა უდიდეს მოძრაობად გაიშალა. ოფიციალური გამოანგარიშებით ამ მოძრაობამ მილიონზე მეტი დამკვრელი მოგვცა. ლენინის გაწვევის შედეგად მელითონეთა შორის დამკვრელობაში ჩაბმულია მუშათა 38 პროც. რაც საერთო ჩაბმასთან ერთად 60 პროც. აღწევს, საფეიქრო საწარმოებში—30,7 პროც., რაც საერთო ჩაბმასთან ერთად იძლევა 48,8 პროც.; ქიმიკოსებს შორის—25,5 პროც., რაც საერთო ჩაბმასთან ერთად იძლევა 47,1 პროც. უდიდეს სამრეწველო რაიონებს პირველი ადგილი უჭირავთ.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ედება მუშა ქალთა ფართო წრეებსაც. მთელ რიგ საწარმოებში, სადაც უმთავრესად მუშა ქალების შრომაა გამოყენებული, დელეგატი ქალები და სადელეგატო კრებები წარმოადგენენ შემაკავშირებელ ცენტრს დამკვრელთა ბრიგადებისა და სოცშეჯიბრების მოწყობის საქმეში. ეგორშინის რაიონში (ურალი) დელეგატ ქალების თაოსნობით მუშა-ქალებმა სოციალისტური შეჯიბრება დაიწყეს სამუშაო დღის შემჭიდროების, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისა, ცეხებს კრებებზე ასპროცენტიან დასწრების შესახებ.

რას იძლევა დამკვრელობითი მოძრაობა? ჩვენთვის სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა თვითმიზანი არაა. დამკვრელობა კარგია მაშინ, როდესაც იგი წინა სწევს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

ძალიან ძნელია ზუსტად გამოიანგარიშოს კაცმა დამკვრელობის ეკონომიური ეფექტიანობა. მაგრამ აი ზოგიერთი ფაქტი: სვერდლოვსკის ოლქის ნეპონიანსკის ქარხნის მუშა დუბროვინი ამბობდა: „ჩვენ მოვსპეთ დაუდევრობა, დავამყარეთ საწარმოო დისციპლინა, შევქმენით გამომუშავების ნორმა".

ბრიგადის შექმნამდე ექვსი კაცი აღნობდა 6 ტონა თუჯს, ახლა იგივე ექვსი კაცი აღნობს 8 ტონას; უვარგისი პროდუქცია გეგმით უნდა შეადგენდეს 20 პროცენტს, ჩვენ იგი შევამცირეთ 5 პროცენტამდე. ამის ქარხანაში მაღალი კვალიფიკაციის მოხუცთა ბრიგადა ამზადებდა 50 სიჩქარის კოლოფს, ახლა კომკავშირელების დამკვრელი ბრიგადა იმავე დროის განმავლობაში და იმავე მუშა-ხელით ამზადებს 150 სიჩქარის კოლოფს. აი დამკვრელობის რეალური შედეგები.

მეორე მაგალითი მეტალურგიული მრეწველობიდან: ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში № 3 და № 6 ღუმელების ბრიგადამ საგრძნობლად გაადიდა შრომის ნაყოფიერება (120 პროცენტამდე) მთელ რიგ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებით. ეს არის უკვე უფრო მაღალი საფეხური, როცა მთელ რიგ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გამოყენების შედეგად ვღებულობთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, როცა ცვლების უკეთეს სისტემაზე გადასვლისა და ტეხნიკური პერსონალის მხრივ მეთვალყურეობის გაძლიერების გზით ღუმელები გვაძლევენ 2000 ტონით მეტ პროდუქციას. ასეთი ფაქტების მოყვანა ბევრის შეიძლებოდა; ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ დამკვრელობა [illegible] გებს იძლევა. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქარხნებში რამდენადაც მეტი მუშები ებმება დამკვრელობაში, იმდენად ნაკლებია მათ შორის ნამდვილი დამკვრელობა. არის ფაქტები, როცა დამკვრელი ბრიგადების ნაკლები რიცხვის დროს ისინი გვაძლევენ მაღალი შრომის ნაყოფიერების მაგალითს; მაშინ კი, როცა მათი რიცხვი ფართოვდება დიდ რაოდენობამდე, იკარგება მათი ბრძოლის უნარიანობა და ისინი იქცევიან ჩვეულებრივ მუშათა ჯგუფებათ მხოლოდ დამკვრელის სახელწოდებით. ამიტომ საჭირო არ არის გატაცება. დამკვრელმა ბრიგადებმა გაფართოების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჰკარგონ თავისი დამკვრელი ხასიათი.

დამკვრელებს უხდებათ დაძლევა მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფების წინააღმდეგობისა მუშაობის დამკვრელი ტემპების წინააღმდეგ და ბრძოლის წარმოება მუშათა იმ ერთ მუშა ჯგუფთან, რომელსაც სურს მეტის წაგლეჯა და ნაკლების მოცემა და რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა თავის წერილებში სოცშეჯიბრების შესახებ.

ამის ნათელ ილიუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი ხელმოუწერელი წერილი, რომელიც იაკოვლევის ფაბრიკის ორმა დამკვრელმა ქალმა მიიღო: „მიხეევა და სიზოვა! თქვენ ძირს უთხრით ჩვენ მუშაობას, ძლიერ ბევრს ლაყბობთ სოცშეჯიბრების შესახებ. ჩვენ გთხოვთ თქვენ არ დასდოთ ბრიგადის ხელშეკრულება. თქვენ ამით ძირს უთხრით მუშაობას. ჩვენ გთხოვთ ნუ შვებით ამას და თქვენითვე აიღეთ ხელი ბრიგადაზე. თუ დაიჯერებთ და არ იტყვით უარს, მაშინ ჩვენ თვით შევეცდებით ხელი შეგიშალოთ, როგორმე დავშალოთ თქვენი ბრიგადა და ბრიგადასთან მუშაობის საშუალებას თქვენ არ მოგცემთ. თქვენ პირველებმა დაიწყეთ ლაყბობა დატვირთვით მუშაობაზე, თუ თავი არ გაანებეთ, ცუდი დღე დაგადგებათ—ან სიგრძეს განათ მოგიქცევთ ან სულ ჯანდაბაში გაგზავნით—მოგკლავთ, მუშაობის საშუალებას კი სულერთია არ მოგცემთ. თვითონაც არ ვიმუშავებთ და არც თქვენ მოგცემთ ამის საშუალებას, კარგად მოიფიქრეთ".

დამკვრელობისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტები არის ზოგიერთ სხვა წარმოებებშიც. ეს არის—შემოტევა კულაკური ელემენტების, რომლებიც სცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფებზე.

ყველაფერი ეს გვავალებს ჩვენ ყურადღებით მოვეპყრათ დამკვრელობის განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მუშაობის ხარისხს.

ინდივიდუალურ დამკვრელობის ზრდასთან ერთად დამკვრელ მეთოდებზე გადადიან მთელი ცეხები და ქარხნები. ფართო გავრცელება მიიღო დამკვრელმა ცეხებმა. დამკვრელი მოძრაობა უსათუოდ არის მასიური მოძრაობა, რომელიც ქვევიდან მომდინარეობს და ჩვენ გადამჭრელი პასუხი უნდა გავსცეთ ამ მოძრაობისათვის სახელის გატეხის ყოველგვარ ცდას. ამავე დროს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ადმინისტრატიულ და ბიუროკრატიულ მიდგომას დამკვრელობისადმი. ადმინისტრატიულ მიდგომას დამკვრელობისადმი ზოგიერთ შემთხვევებში აქვს ადგილი. ერთ ქარხანაში დირექტორმა გამოსცა ასეთი ბრძანება: „ჩარხების დაკვეთის მიღების შესაძლებლობის და ფაქტიური ღირებულების გამოსარკვევად ვნიშნავ დამკვრელ კომუნისტურ ბრიგადას ამადაამ ამხანაგის ხელმძღვანელობით"-ო. რამოდენიმე ხნის შემდეგ იგივე დირექტორი სცემს მეორე ბრძანებას: „ამადაამ დამკვრელმა კომუნისტურმა ბრიგადამ მუშაობა დაამთავრა და იგი დაშლილია"ო". ასეთი მიდგომა დამკვრელობისადმი გამოიჩინა არა მარტო პატარა ქარხნის დირექტორმა, არამედ საოლქო პროფსაბჭომაც კი, რომელმაც გამოაქვეყნა მიმართვა, სხვანაირად—ბრძანება იმის შესახებ, რომ 1930 წ. 24 იანვრიდან 30 იანვრამდე ჩატარებული ყოფილიყო 50.000 ახალ ლენინელ დამკვრელების მობილიზაცია, ხაზს უსვამ სიტყვას მობილიზაცია. (ხმები: რომელ მხარეში?).

თუ თქვენ გსურთ, მაშინ მე დავასახელებ ყველა მხარეებს. (დარბაზში სიცილი. ხმები: გთხოვთ). ეს იყო ციმბირის საოლქო პროფსაბჭო. მაგრამ მსგავსი ფაქტების ნახვა შეიძლება სხვა ოლქებშიც. გამოჩხრიკეთ თქვენ მეხსიერებაში და გაიხსენებთ. მოვიყვან ამ ცირკულიარის ტექსტს: „თანახმად საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მიმართვისა ლენინურ გაწვევის შესახებ, რაც პრესაში გამოქვეყნებულია 22 იანვარს, წინადადებას ვიძლევით პროფორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით 30 იანვრამდე მოეწყოს და ჩატარდეს მასიური პოლიტიკური კამპანია ახალი დამკვრელი ბრიგადების შესაქმნელად, რისთვისაც ოლქში მოხდეს 50.000 ახალი ლენინელ-დამკვრელების მობილიზაცია". ამავე დროს კი ციმბირის მხარეში ცენზიან მრეწველობაში 50.000-ზე ცოტა მეტი მუშა თუ იქნება.

არის შემთხვევები, როცა დამკვრელებად ცხადდება მთელი ცეხები და ქარხნები, მაგრამ როცა მიდიხარ ამ დამკვრელ ცეხში, მაშინ კი ირკვევა, რომ მუშებმა არც კი იციან, რომ ისინი დამკვრელები არიან, რადგან საკმაო მასიური მუშაობა მათ შორის არ ჩაუტარებიათ. ვიმეორებ, ჩვენ ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ დამკვრელობას, როგორც ქვევიდან გამომდინარე მასიურ მილიონიანი მოძრაობისათვის სახელის გატეხის ცდებს, მაგრამ ამავე დროს თვითკრიტიკის წესით უნდა გამოვამჟღავნოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი, რომელთაც შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ დამკვრელობას.

დამკვრელობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება მოძრაობის ახალი ფორმა—საწარმოო კომუნებისა და საწარმოო კოლექტივის ორგანიზაცია. საწარმოო კომუნები სხვა სახისაა, მაგალ. სამი ტიპის: 1) საწარმოო კომუნები და კოლექტივები, რომლებიც აერთიანებენ ერთგვარი კვალიფიკაციის პირებს და ხელფასს თანაბრად ჰყოფენ, 2) კოლექტივები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშებს და ჰყოფენ მხოლოდ ზედმეტ ნამუშევარს, 3) კოლექტივები, რომლებიც აერთიანებენ ერთ საქმეზე მომუშავე მუშებს, მაგრამ ხელფასს ჰყოფენ ძირითადი სატარიფო განაკვეთის მიხედვით, ზედმეტ ნამუშევარს კი—ნამუშევარ საათების მიხედვით. ეს ახალი საქმეა და მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლას. აქ ბევრი რამ არის საინტერესო, მაგრამ არის აგრეთვე უარყოფითი, სხვის კმაყოფაზე ყოფნის, გამათანასწორებელი ტენდენციები.

შემჩნეულია შემთხვევები მორალური ზეგავლენისა საწარმოო კომუნებში ჩასაბმელად, გაზეთში „ურალსკი რაბოჩი" მოთავსებული იყო მთელი რიგი წერილები საერთო სათაურით: „ცეხების მთლიანი კოლექტივიზაციისათვის". ახალი გადახრის თავისებური ფორმა. 18 თებერვალს, „რაბოჩაია მოსკვა"-მ არსებითად წამოაყენა ლოზუნგი: „დირექტორები—საწარმოო კომუნებში". ერთი დირექტორი შევიდა საწარმოო კომუნაში და გაზეთი ამ ცნობას ათავსებს სათაურით: „ვინ იქნება შემდეგი?"

ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ცეკაში გამოგზავნა წერილი, რომ ცემენტის ქარხანა № 9 მუშებმა მოაწყვეს საწარმოო კომუნა და დაადგინეს კოლექტიურად შევიდნენ მასში და ხელფასი თანასწორად გაიყონ. ვინ მუშაობს ამ ქარხანაში აღმოჩნდა, რომ 660 მუშიდან მხოლოდ 240 არის პროფკავშირის წევრი, საწარმოო კომუნაში კი შევიდნენ ყველანი. საჭიროა კომუნების ორგანიზაციის ამ საქმეს მიუდგეთ მთელი სერიოზულობით, გატაცების გარეშე, გამოვამჟღავნოთ პროგრესიული ელემენტები და უკუვაგდოთ მავნებელი და შემცდარი.

დამკვრელობის ზრდის საფუძველზე გარდატეხა მოხდა საწარმოო თათბირების მუშაობაში. საწარმოო თათბირების მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნა ცეხებში. ამაშია მათი მუშაობის მთავარი დამახასიათებელი თავისებურობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. თუ საწარმოო თათბირები უკანასკნელ დრომდე ფორმალურად იხილავდნენ საერთო მოხსენებებს, ამჟამად საწარმოო თათბირები შეიჭრენ ცეხებში, აგრეგატებში და ჯგუფებში და იხილავენ წარმოების კონკრეტულ საკითხებს, აუმჯობესებენ წარმოებას და შეაქვთ მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებანი. ინტერეს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ საწარმოო თათბირების მუშაობის ცეხებში, აგრეგატებში, კომპლექტებში და ბრიგადებში გადატანის ცდას წინააღმდეგობა გაუწია პროფკავშირების ხელმძღვანელობამ. როცა პროფკავშირების მე-8 ყრილობაზე ამხ. კუზმენკომ დასვა ფაბქარხკომების მუშაობის ცეხებში, ცვლებში, ჯგუფებში და აგრეგატებში გადატანის საკითხი, ამხ. ტომსკი საბოლოო სიტყვაში მას ბრალს სდებდა „ორიგინალობის" გამოჩენის სურვილში და ასწავლოდა, რომ „საორგანიზაციო საკითხებში აჩქარება მავნებელია" და რომ ეს არის „ზედმეტი ხელგაშლილობა, ეს არის დემოკრატია უკულმა, რომელიც არაფრად არ ვარგა და არის უაზრო აჩქარება".

„ნუ აჩქარდებით"—ეს დამახასიათებელია ყველა ამხანაგებისათვის, რომლებიც ემხრობოდნენ და ქადაგებდნენ მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიას. ნუ ავჩქარდებით პროფკავშირების გარდაქმნის საქმეში, არ არის საჭირო საწარმოო თათბირების დაახლოება ცეხთან და ჯგუფთან, ვინაიდან „ეს არის ზედმეტი ხელგაშლილობა"-ო. სინამდვილეში კი რა მოხდა? სინამდვილეში, მერვე ყრილობის შემდეგ და თვით ყრილობის პერიოდში საწარმოო თათბირები გარდაიქმნენ ცეხების, აგრეგატების და ჯგუფების მიხედვით.

საწარმოებში საწარმოო თათბირის ცენტრალურ ფიგურად ხდება დამკვრელი. დამკვრელი ახდენს როგორც საწარმოო თათბირის, ისე ფაბქარხკომისა და პროფკავშირების გარდაქმნას.

მეტად საინტერესოა შედეგები ცეკას იმ დადგენილების განხორციელებისა, რომელიც შეეხება საწარმოო თათბირების თავმჯდომარეთა დანიშვნას საწარმოების დირექტორების თავმჯდომარეებათ, ცეკამ დაადგინა, რომ საწარმოო თათბირების თავმჯდომარეები დანიშნულ იქნან დირექტორების თანაშემწეებათ საწარმოო თათბირების დადგენილებების ცხოვრებაში გატარების მიზნით. ეს ვქენით ცდის სახით და ამ ცდამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. ჩვენი დირექტორის თანაშემწეები საწარმოო თათბირების თავმჯდომარეებიდან თანდათანობით ხდებიან ხელმძღვანელები იმ რაციონალიზატორული ღონისძიებების, რომელთაც მუშები აყენებენ.

ასეთია მთავარი ფაქტი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ზრდისა და გაშლის, და ამ დამკვრელობის საფუძველზე საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესება დარგში.

### ყველა პროლეტარული ორგანიზაციების ძირეული გარდაქმნა

გადავდივარ მეორე საკითხზე: როგორ გარდაიქმნა ორგანიზაციები პირით წარმოებისაკენ—პროფკავშირები, კომკავშირი და პარტია? აქ პროფკავშირების შესახებ სპეციალური მოხსენება იქნება წაკითხული და ამიტომ არ არის საჭირო ყველა ფაქტების, ციფრების და მასალების ვრცლად მოყვანა.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ პარტიამ საანგარიშო პერიოდში უფრო მწვავედ, ვიდრე როდისმე, დასვა პროფკავშირების ძირეული გარდაქმნის და პროფკავშირთა რიგებში ტრედიუნიონიზმთან გადაჭრილი ბრძოლის საკითხი. ეს მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა კლასის ზრდასა და მის რევოლიუციონურ აღტკინებასთან.

წიგნში „რა ვაკეთოთ" ლენინი წერს:

„რაც უფრო სტიქიურია მასების აღტკინება, რაც უფრო ფართოვდება მოძრაობა, მით უფრო შეუდარებლად სწრაფად იზრდება მასიური შეგნების მოთხოვნა როგორც თეორიულ, ისე პოლიტიკურ და პრაქტიკულ მუშაობაში", ვინაიდან,—წერდა ლენინი,—„სტიქიურ მუშათა მოძრაობას თავის თავად შეუძლია შექმნას (და აუცილებლად შექმნის) მხოლოდ ტრედიუნიონიზმი, ხოლო მუშათა კლასის ტრედიუნიონისტური პოლიტიკა არის მუშათა კლასის სწორედ ბურჟუაზიული პოლიტიკა".

ასეთი საფრთხე შეიქმნა ჩვენს პროფკავშირებში მუშათა კლასის სტიქიური აღტკინების ზრდასა და მისი ყველაზე უფრო მასიური ორგანიზაციის—პროფკავშირების ჩამორჩენილობის, კონსერვატიულობის შორის დისპროპორციის შედეგად.

ამ ჩამორჩენილობის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა—ეს მძლავრი ისტორიული მოძრაობა დაიწყო პროფკავშირებისაგან დამოუკიდებლად. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა კი ხომ სტიქიურობისა და ორგანიზაციის სწორი შეზავების ნიმუშს წარმოადგენენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელობა, რომელიც ხელს უწყობდა ტრედიუნიონისტური ტენდენციების განვითარებას, პროფკავშირებს უყურებდა როგორც პროლეტარული დიქტატურის მთელ სისტემაში განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ორგანიზაციას. საკმარისია წაიკითხოთ ტომსკის ბროშურა „პროფკავშირები ახალ გზებზე", რომ დაინახოთ, თუ როგორ ინერგებოდა საბჭოთა პროფმოძრაობაში ოპორტუნისტული იდეოლოგია. აი რას სწერს იგი:

„თვით ის ფაქტი, რომ პროფეს. კავშირებმა მთელი თავიანთი ყურადღება მუშების ეკონომიური ინტერესების დაცვას მიაქციონ, სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფება მრეწველობის მმართველობაში კავშირების მონაწილეობასთან, ვინაიდან შეუძლებელია ერთ და იმავე დროს კომერციული ანგარიშის საფუძველზე საწარმოც მართოთ და დაქირავებული მუშების ეკონომიური ინტერესების გამომხატველი და დამცველი იყოთ".

აი როგორ ოპორტუნისტულად განმარტავდა ტომსკი ლენინის მიერ პარტიის მე-11 ყრილობაზე დაწერილ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს, სადაც არამც თუ არ არის რაიმე მითითება „სასტიკ წინააღმდეგობაზე", არამედ მთელი სიძლიერით ხაზგასმულია, რომ არ არის წინააღმდეგობა პროლეტარულ სახელმწიფოსა და პროლეტარიატს შორის და რომ მუშათა კლასმა უნდა იზრუნოს შრომის ნაყოფიერების აწევაზე. ტომსკის მიერ გამოხატული იდეოლოგია არ შეიძლებოდა არ დასტყობოდა საკავშირო პროფსაბჭოს და პროფკავშირების მუშაობას მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში, არ შეიძლებოდა არ გამომჟღავნებულიყო იმაში, რომ ტომსკი ცდილობდა პროფკავშირების დაყენებას ინდუსტრიალიზაციის ტემპების წინააღმდეგ, და ამან გამოხატულება ჰპოვა პროფკავშირების მუშაობაში თავიდან ბოლომდე. აი ორი ფაქტი—თავიდან ბოლომდე. მთელი 1928 წლის განმავლობაში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს არც ერთი დიდი საწარმოო საკითხი არ განუხილავს. ეკონომიკის საკითხები ფორმისთვის გადაცემული ჰქონდა სატარიფოეკონომიურ განყოფილებას. და ეს განყოფილება თავისი წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში და ფორმალურად პროფკავშირების ბიუროკრატიულ შტამპს არტყამდა. ამას ეწოდებოდა პროფკავშირების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის დიად პროცესში. მეორე ფაქტი—ქვევიდან მუშაობის დარგში. ერთ მსხვილ ქარხნის საქარხნო კომიტეტს, დაწყებული 1928 წლის 6 ნოემბრიდან, ე. ი. პროფკავშირების მე-8 ყრილობის პერიოდიდან, 1930 წ. 1-ლ იანვრამდე, ერთხელაც არ დაუსვამს სამრეწველო-საფინანსო და სოცშეჯიბრების საკითხი და მხოლოდ 1929 წლის 4 ოქტომბერს იდგა სოცშეჯიბრების საკითხი. „მოისმინეს: ინფორმაცია და მუშგლეხინის ინსტრუქცია მუშათა წინადადების და სოცშეჯიბრების მსვლელობის შესახებ". დაადგინეს: „წინადადება ცნობად იქნას მიღებული" (სიცილი). აი როგორი კავშირი მივიღეთ ხელმძღვანელობის ხაზსა და პოლიტიკას, პროფმოძრაობასა და ქვემოდან პრაქტიკას შორის. საკავშირო პროფსაბჭოსთან შემდგარ ერთ თათბირზე ამხ. შვერნიკი შეეკითხა ერთ-ერთ მომხსენებელს: „როგორ ეხმარება ქარხკომი საწარმოო კომუნებს?" „ჩვენ მას არც კი ვხედავთ—უპასუხა მან. ჩვენ ცეხში საქმე გვაქვს საწარმოო თათბირის თავმჯდომარესთან, ხოლო ქარხკომის თავმჯდომარეს ვერ ვხედავთ, ხოლო თუ იგი მოვა, იკითხავს: როგორაა საქმე?—არა უშავსო", და ასე გრძელდებოდა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეტად მკაცრი ბოლშევიკური შეფასება მისცა პროფკავშირების მუშაობას, თუმცა მათ სათავეში ძველი ბოლშევიკები იდგნენ. როდესაც საქმე ათმილიონიან ორგანიზაციას ეხება, აქ საკითხი არა პიროვნებებშია, არამედ პროფკავშირების ნამდვილ შეიარაღებაში, მრეწველობის განვითარების ამოცანებთან შეფარდებით, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით, ამიტომ ცეკამ არა მარტო პოლიტიკურად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, არამედ თავისი გადაწყვეტილება ორგანიზაციულადაც განამტკიცა.

ჩვენ ბოლშევიკები არ ვიქნებოდით, რომ, პოლიტიკურ შეფასებასთან ერთად, ეს შეფასება ორგანიზაციულად არ განგვემტკიცებია. ჩვენ ეს ორგანიზაციულად იმით განვამტკიცეთ, რომ ხელმძღვანელობის ნაწილი პროფმოძრაობიდან თვითონ წავიდა, ნაწილობრივ კი ისინი ჩამოშორებულ იქნენ. ამგვარად, პროფმოძრაობის ხელმძღვანელობის უმრავლესობა საკავშირო პროფსაბჭოშიც, და კავშირების ცენტრალურ გამგეობებშიც შეცვლილ იქნა. შეიძლება სთქვან, რომ ეს პროლეტარული დემოკრატიის დარღვევაა, მაგრამ ამხანაგებო, დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, დემოკრატია ფეტიში არ არის, ჩვენთვის პროლეტარული დემოკრატია არის საშუალება მუშათა კლასის შესაიარაღებლად, თავის სოციალისტურ ამოცანების უკეთ შესასრულებლად და, ამიტომ, ჩვენ მთელი ჩვენი ორგანიზაციული პრაქტიკით ვაიარაღებთ პროფკავშირებს იმისათვის, რათა პროფკავშირები გახდნენ პროლეტარიატის ნამდვილ ორგანოებად, რომელნიც წარმოადგენენ პარტიის ბაზას, ბერკეტს და დამაკავშირებელ რგოლს ჩვენს წინაშე დაყენებულ უდიდესი ამოცანების განსახორციელებლად (ტაში).

ორგანიზაციულად ეს კიდევ იმით იქნა გამტკიცებული, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია აცხადებს პროფკავშირების აპარატის წმენდას. ყოველმა მუშამ იგრძნო, რომ საქმე ეხება პროფკავშირების გაწმენდას ყოველივე დამპალისა და დახავსებულისაგან, რის გარეშე პროფკავშირები ვერ შესძლებენ თავიანთი ამოცანების შესრულებას. უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება პროფკავშირების სერიოზული და გადაჭრილი მობრუნებით პირით წარმოებისაკენ. ეს დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს ნოემბრის ცნობილი მიმართვის ლოზუნგით: „პირით წარმოებისაკენ". ეს ლოზუნგი გამოხატავდა ჩვენი პარტიის მთელ ხაზს არა მარტო პროფკავშირების, არამედ სხვა ორგანიზაციების მიმართაც. ეს მობრუნება დაეტყო მელითონეთა ფაბქარხკომების არჩევნებს. ცეკამ, რომელმაც განიხილა 1930 წელს ფაბქარხკომების გადარჩევის საკითხი, გადასწყვიტა უარი სთქვას საერთო კამპანიაზე და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება მისცა, რათა არჩევნების კამპანია პირველ რიგში ჩაატაროს ერთ ან ორ კავშირში, უწინარეს ყოვლისა, მელითონეთა კავშირში, ეს გადარჩევა კარგად ჩატარდა, თუმცა მართალია, ყველგან არა ერთნაირად. მიუხედავად ნაკლოვანებებისა ცალკე ადგილებში, გადარჩევამ მოგვცა უფართოესი მუშათა დემოკრატიის და წარმოებიდან მუშათა ახალი ფენების მოზიდვის შეფარდების ბრწყინვალე ნიმუში.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მელითონეთა ქარხკომების არჩევნებს თან სდევდა დამკვრელი ბრიგადების ზრდა და პარტიაში შემოსულთა რიცხვის ზრდა. და, ბოლოს, ამასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირების გარდაქმნისათვის, ეს ისაა, რომ მელითონეთა კავშირის ახლად არჩეულ კომიტეტებში უმრავლესობას დამკვრელნი შეადგენენ: მოსკოვში არჩეულ იქნა 51 პროც., ლენინგრადში 70,5 პროც., ნიჟნი-ნოვგოროდში 84;6 პროც., უკრაინაში—65,8 პროც.; დამკვრელები „კრასნი პუტილოვეც"-ში შეადგენენ 95 პროც და ბალტიის ქარხანაში—72 პროც.

ამგვარად, დამკვრელი მოძრაობა ხდება იმ ბერკეტად, რომლის საშუალებით ჩვენ ვაწარმოებთ პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნას, და ახალი კადრების წყაროდ ძველი კადრების შესაცვლელად. სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით პროფკავშირები აუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას მუშათა საჭიროებების დაკმაყოფილების დარგში, და ამასთან არ უპირდაპირებენ პროფკავშირების დაცვითი ფუნქციებს მათ საწარმოო ფუნქციებს. ეს ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა. პროფესიონალური კავშირები ახლა უშუალოდ უდგებიან მომარაგების საკითხებს, მუშათა კოოპერაციის საკითხებს, საბინაო მშენებლობას და ახდენენ თავიანთ მუშაობის სათანადო გადახალისებას.

საკავშირო პროფსაბჭოს ძველ შემადგენლობას მუშათა ინტერესების დაცვა ოპორტუნისტულად ესმოდა. თავის წიგნაკში „პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა" ამხ. ტომსკი შემდეგს სწერდა: „აქ მხრივ ჩვენ ცოტა რამ გადმოვიღეთ ბელგიის და დასავლეთის სხვა პროფკავშირებიდან. ბელგიაში პროფკავშირები და კოოპერატივები მუშის ცხოვრებაში იმდენად იჭრებიან, რომ როცა, მაგ., ბელგიელ მუშას ბავში ებადება, მის დასახმარებლად მოდიან კოოპერატივიც და პროფკავშირიც, რომელთაც მისთვის მოაქვთ უფასოდ პური, წამლეული და სხვ. მუშა აკვნიდან გრძნობს თავის პროფკავშირის მზრუნველობას, პროფკავშირის, რომელსაც ის შემდეგში მიეკუთვნება".

თავის თავად არაფერი ცუდი არ არის იმაში, რომ ბავშვისათვის მოაქვთ წამლეული და საჩუქრები. მაგრამ ბელგიის ოპორტუნისტული პროფკავშირებისაგან ნასესხები მთელი ეს იდილია, პროფკავშირების, რომლებშიც, ამხ. ტომსკის აზრით, მუშა აკვნიდანვე პოულობს თავის პროფკავშირის მზრუნველობას და რომელთაც ის ბოლოს მიეკუთვნება,—გაჟღენთილია მუშათა საჭიროებებზე ზრუნვის ტრედიუნიონისტური გაგებით. განა ესაა პროფკავშირების ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში? პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში მუშათა კლასის ინტერესების დაცვა უნდა მიმდინარეობდეს მუშათა კოოპერაციის მუშაობის უსასტიკესი კრიტიკის და გამოსწორების. სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების, მესაქონლეობის პრობლემის გადასაჭრელად მუშაობის გაშლის და ამ გზით რეალური ხელფასის თანდათანი გადიდების ხაზით. ეს მუშაობა უნდა იყოს დაკავშირებული ბიუროკრატიული გადამახინჯებების წინააღმდეგ ბრძოლასთან სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აპარატებში. აი რა წარმოადგენს ნამდვილ ზრუნვას მუშათა საჭიროებებზე. მუშათა კოოპერაცია მუშათა ფართო ფენებს მოიცავს. მაგრამ მისი მუშაობა ძალიან ცუდადაა დაყენებული, მასიური მუშაობა არ ვარგა. მუშათა ყოველდღიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც აგრეთვე ცუდადაა დაყენებული. კიდევ მეტი: ჩვენ აღმოვაჩინეთ მთელი რიგი ფაქტები, როცა მუშათა კოოპერაციის მუშაობაში ადგილი აქვს აშკარა ვაჭრულ გადახრას—მეტის გამოგლეჯა, თუნდაც მუშისაგან, მაღალი ფასების დაწესება და აპარატის გადიდებით შემოსავლის საგრძნობი ნაწილის ხარჯვა.

პროფკავშირებმა, ამიტომ, გადაჭრით უნდა მოკიდონ ხელი მუშათა კოოპერაციას, და აღმოფხვრან ამ ამოცანებისადმი ტრედიუნიონისტური მიდგომის ელემენტები. ახლა, მე-16 ყრილობისათვის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო პროფსაბჭოს, კავშირების ცენტრალური გამგეობების, ადგილობრივი პროფსაბჭოების ახალი ხელმძღვანელობა და პროფმოძრაობის ახალი კადრები, რომელნიც იზრდებიან, უზრუნველყოფენ მათ წინაშე დაყენებული ამოცანების პირნათლად შესრულებას.

საჭიროა, რათა პარტორგანიზაციებმა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება და დახმარება, კერძოდ პროფკავშირულ კადრების მიმართ.

როგორ მიმდინარეობდა კომკავშირის მუშაობის გარდაქმნა წარმოებაში ამ ძირითად ამოცანების გადასაჭრელად? კომკავშირს აქვს ერთი უდიდესი დამსახურებათაგანი, ესაა ენერგიული მოღვაწეობა სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის განსავითარებლად. კომკავშირელები მრავალ შემთხვევაში წარმოადგენდნენ შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ინიციატორებს და პიონერებს. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნიმუშები. მაგ.: მთელ რიგ მსხვილ ქარხნებში: ლენინგრადი („კრასნი პუტილოვეც"), ივანოვო-ვოზნესენსკის ოლქი, მოსკოვი, ურალი, ნიჟნი-ნოვგოროდი და მთელ რიგ სხვა ოლქებში, სადაც ფაბრიკებსა და ქარხნებში კომკავშირელები წარმოადგენენ დისციპლინის ნიმუშს, დამკვრელი მოძრაობის ორგანიზაციის ნიმუშს. რა თქმა უნდა, მათ აქვთ მრავალი ნაკლი, მათ მოეპოვებათ მთელი რიგი ორგანიზაციები, რომელნიც ჩამორჩებიან დამკვრელ მოძრაობაში კომკავშირელების ჩაბმის მხრივ.

საკმაო ყურადღება არ ექცევა პიონერთა მოძრაობას არა მარტო კომკავშირელებისა, არამედ პარტიის მხრივაც. პიონერები დიდ მუშაობას ეწევიან სოცშეჯიბრებაში მშობლების მოსაზიდად, აღვიძებენ და ამოძრავებენ პასიურ მუშებს.

კომკავშირის და პიონერთა მუშაობას წარმოებაში ჩვენმა პარტიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

კომკავშირი ამჟამად წარმოადგენს ისეთ ძალას, (2 ნახევარი მილიონი ახალგაზრდა), რომელიც უკვე ავსებს ჩვენს საწარმოებს. შემდეგი ფაქტი გვიჩვენებს კომკავშირის უდიდეს მნიშვნელობას: ინდუსტრიალურ მუშების 25 პროცენტი არის 22 წლამდე ჰასაკისა, ხოლო მუშის საშუალო ხნოვანობა უდრის 30-32 წელს, ე. ი. ვინც 10-8 წლის წინად კომკავშირელი იყო, ახლა ნამდვილი კვალიფიციური საკადრო პროლეტარია, და ვინც ჯერ კიდევ 7 წლის წინად ნორჩი პიონერი იყო, ახლა აგრეთვე კადრის პროლეტარია საწარმოში. კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების გარდაქმნა „პირით წარმოებისაკენ" პრობლემასთან შეფარდებით საკმაო წარმატებით ხდებოდა. კომკავშირს ბოლო დროს თავისი ეს მუშაობა დიდ სიმაღლეზე აყავს, და ეს არა მარტო დამკვრელი მოძრაობის მხრივ, არამედ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა დარგშიც საჭიროა მხოლოდ პიონერთა აღზრდის, მათი ორგანიზაციის საქმეს გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს.

როგორ გარდაიქმნენ პარტიული უჯრედები „პირით წარმოებისაკენ". „ხომ საკმარისი არ არის თავის თავს „ავანგარდი" და მოწინავე რაზმი უწოდო",—ამბობდა ლენინი. „უნდა იმოქმედო ისე, რომ ყველა დანარჩენი რაზმები ხედავდენ და იძულებულნი შეიქნენ აღიარონ, რომ ჩვენ მივდივართ წინ". (ლენინი, ტომი 4, გვ. 425).

როგორია ფაქტები! 1927 წელს 65 მსხვილი საწარმოს გამოკვლევამ, რომელიც ცენტრალურ კომიტეტმა ჩაატარა, გვიჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა საწარმოო მშენებლობის და წარმოებაში პარტიული მუშაობის შინაარსის ერთი მეორისგან დაშორებას. ახლანდელ მომენტში, პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, ცეკას და ყველა ადგილობრივი პარტორგანიზაციების მუშაობის შედეგად, სურათი არსებითად შეიცვალა. საანგარიშო პერიოდში, თუ ავიღებთ ხელმძღვანელ პარტორგანოებს, რაიკომით დაწყებული და ცენტრალური კომიტეტით გათავებული, ჩვენ დავინახავთ უდიდეს ცვლილებებს მეურნეობის საკითხებისა და წარმოების საკითხებისადმი მობრუნების თვალსაზრისით.

თუ მე-15 პარტყრილობისათვის ქვედა საფეხურის საწარმოო უჯრედი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გარდაქმნილი, რომ პირი წარმოებისაკენ ებრუნებია, ამჟამად, მე-16 ყრილობისათვის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში პარტორგანიზაციებისა და წარმოებაში მომუშავე კომუნისტების ქვედა საფეხურის ქსელმა საქმით დაგვანახვა, რომ ის ნამდვილად ავანგარდია პროლეტარიატის.

„ტრეუგოლნიკ"-ის (ლენინგრადი) პარტკოლექტივმა 6 თვეში დაამუშავა შეფასებათა, რაციონალიზაციის, ადმინისტრატიულ-მმართველობითი აპარატის რაციონალიზაციისა და გაიაფების, თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რაციონალიზაციის საკითხები.

ამ საკითხების განხილვაში ჩაბმული იყო პარტიულებისა და უპარტიოთა ფართო მასები. ელექტრომოტორის (მოსკოვი) პარტორგანიზაციამ გადაჭრით პირი იბრუნა წარმოებისაკენ, სადაც ამ წლის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული და მიღწეულია განვითარების მაღალი ტემპები. ასეთი ორგანიზაციები მთელს პარტიაში უკვე საკმაოდ მოგვეპოვება. დიდი მნიშვნელობა იქონია წარმოებაში პარტორგანიზაციების მუშაობის მოგვარებისათვის ცეკას დირექტივამ წარმოების მმართვის მოწესრიგებისა და ერთმმართველობის დაწესების შესახებ და აგრეთვე ცეკას 25 იანვრის მიმართვამ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგია, რომ მივაღწიეთ პირის წარმოებისაკენ მობრუნებას და საკონტროლო ციფრების გადაჭარბებით შესრულებას 1928—29 წლისათვის.

ამჟამად ჩვენს ამოცანას შეადგენს—წარმატებით დავამთავროთ 1929—30 წლის საკონტროლო ციფრები. ქვედა საფეხურის ორგანიზაციებიც მთელ თავიანთ ძალღონეს იქითკენ მიმართავენ, რომ შეასრულონ ეს საკონტროლო ციფრები. მაგრამ ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებანი, რაც ხელს უშლის ამას.

უჯრედების პირით წარმოებისაკენ მობრუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური ძალების განაწილებას წარმოებაში. ჯერ კიდევ მე-9 პარტყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა მუშაობა ისე იქნას დაყენებული, რომ თვითეულ საწარმოში იყოს კომუნისტების რიცხვის მინიმუმი.

მაგრამ ამჟამად, ამხანაგებო, ჩვენ ვლაპარაკობთ უკვე არა თვითეულ საწარმოზე. ჩვენ ახლა გვაინტერესებს თვითეული ცეხი და კუთხე, თვითეული აგრეგატი და ბრიგადა, რომ იქ გვყავდეს კომუნისტების სათანადო რიცხვი. კომუნისტები უნდა გახდნენ წარმოების ავანგარდად, მაგრამ თუ ერთ ცეხში კომუნისტების 20 პროცენტია, ხოლო მეორე ცეხში მხოლოდ 3 პროც., რასაკვირველია, წარმოებაში კომუნისტების არავითარ ხელმძღვანელ როლზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამის მაგალითები ჩვენ მრავლად მოგვეპოვება. ავიღოთ როდნიკოვის საფეიქრო ფაბრიკა. ძირითად ცეხებად ითვლება საქსოვი და სართავი, რომლებშიაც 9.000 მეტი მუშაა. მათი პარტფენი საშუალოზე ნაკლებია, სულ 5 პროცენტამდე, მაშინ როდესაც მთელს ფაბრიკაში არის 7 პროც., ე. ი. არა ძირითად, არამედ დამხმარე ცეხებში არის კომუნისტების დიდი პროცენტი. ზოგიერთ საწარმოებში ახდენდნენ კომუნისტების გადანაწილებას წარმოების მიხედვით. გადანაწილება დაიწყო უკრაინაში, მოსკოვის და ლენინგრადის ზოგიერთ საწარმოებში. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ამან მეტად კარგი შედეგი გამოიღო.

აი რატომ ჩვენ საკმარისი ყურადღება უნდა მივაქციოთ წარმოებაში მომუშავე კომუნისტების გადანაწილებისა და ძალთა გაწესრიგების საქმეს.

კომუნისტების, როგორც ავანგარდის როლი წარმოებაში, უკანასკნელად გაიზარდა, ხოლო ლენინის გაწვევის დამკვრელთა შემადგენლობა გვიჩვენებს კომუნისტების რიცხვის ზრდას დამკვრელთა შორის.

როდესაც იწერებოდა ცეკას იანვრის მიმართვა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ, მაშინ ჩვენი პარტიის უდიდეს ორგანიზაციებში სოცშეჯიბრებით და დამკვრელობით მოცულ კომუნისტების რიცხვი, დაახლოებით, შეადგენდა 15—20 პროცენტს. ეს იყო მრავალ ორგანიზაციებში: მოსკოვშიაც, უკრაინაშიაც, ლენინგრადის ზოგიერთ რაიონებში და სხვაგანაც.

იანვრის მიმართვის შემდეგ, როგორც შედეგი ლენინის გაწვევის ჩატარებისა ჩვენ უკვე საქმე გვაქვს აშკარა გარდატეხასთან კომუნისტების მონაწილეობის მხრივ დამკვრელ ბრიგადებში. მაგრამ ამჟამადაც კი დაახლოებით კომუნისტების ერთი მეოთხედი ჩაბმული არაა აქტიურ საწარმოო მუშაობაში არც დამკვრელ ბრიგადებში და არც საწარმოო თათბირებში.

აქედან გამომდინარეობს უჯრედების ამოცანა—თავიანთი მუშაობა გარდაქმნან პირით წარმოებისაკენ.

ჩვენ გვაქვს ცეხის უჯრედების მნიშვნელოვანი ზრდა და განმტკიცება. ჩამოყალიბდა პარტიული კომიტეტები მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში, უჯრედების მუშაობა კი გადატანილ იქნა ცეხში. უფრო მეტი, ამჟამად ზოგიერთ ქარხნებში ჩვენ უკვე ვვაქვს შემდგომი წინსვლა: ეწყობა ჯგუფორგები, პარტორგები, მუშაობა ნაწილდება ე. წ. სექტორების და სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით და სხვ. ამ პარტიული მუშაობის რეგლამენტაცია ცეკას არ მოუხდენია, რომ არ დაებრკოლებია ადგილების ინიციატივა. ჩვენ ახლა ვაწარმოებთ ამ გამოცდილების შესწავლას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი პარტიული ქსელი გაიზარდა და განმტკიცდა. გასაგებია, რომ უჯრედი—ეს არის პარტიის საფუძველი. სულ ითვლება პარტიის 49.712 ქვედა უჯრედი, მათგან საქალაქო—24.094. ცეხის უჯრედების რიცხვი მე-16 პარტყრილობისათვის გაიზარდა 3.395-დე.

საწარმოებში მუშაობის საორგანიზაციო ფორმების შეცვლა დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის განხორციელების ამოცანებთან და ნიშნავს პირით მობრუნებას ცეხისაკენ. ქაღალდებისა და ლაპარაკის შემცირება ზევით, მეტი ყურადღება მუშაობისადმი ქვევით, სადაც კეთდება ნამდვილი ცოცხალი საქმე სოციალისტური მშენებლობისა, რომელსაც ვხელმძღვანელობთ ჩვენ ზევით მომუშავეები, დაწყებული ცეკადან და რაიკომით გათავებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპორტის უჯრედებს, იმ მებრძოლ პოლიტიკურ ამოცანასთან შეფარდებით, რომელიც დასმულია ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მხრივ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგ ორგანიზაციებში რკინის გზაზე მდებარე პატარა ქარხანა უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს პარტიული ორგანიზაციების მხრივ, ვიდრე მთელი გზა.

ასეთ მდგომარეობას მომავალში ვერ შეურიგდებით. მას ბოლო უნდა მოუღოთ.

რამდენიმე სიტყვა საბჭოების მობრუნების შესახებ პირით წარმოებისაკენ. ამ დარგში ჩვენ საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებები გვაქვს. ქალაქის საბჭოებმა, რომლებიც საკმაოდ კარგად შლიან მასიურ მუშაობას, მეტად სუსტად იბრუნეს პირი წარმოებისაკენ. ისინი მნიშვნელოვანად მობრუნდნენ პირით კომუნალური მეურნეობისაკენ, მუშათა საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ, საბინაო მშენებლობისაკენ, კანალიზაციისა, ქუჩების მშენებლობისაკენ და სხვ. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მრეწველობისაკენ, წარმოებისაკენ, ცენტრალისტურ საფუძვლებზე მოწყობილ მრეწველობისაკენ ისინი ფრიად ნელა იბრუნებენ პირს. აი, რატომ უნდა ავღნიშნოთ ჩვენ ყრილობაზე მთელი სიძლიერით მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოების წარმოებისაკენ პირით მობრუნების ამოცანა, რათა თვითეული საბჭო იჩენდეს ინტერესს, როგორც მის გამგებლობაში მყოფ, ისე ცენტრის გამგებლობაში მყოფ ქარხნებისადმი

როგორია საერთო შედეგები და ამოცანები ამ დარგში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების უზრუნველსაყოფად?

სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერება უნდა გადაიქცეს ჩამორჩენილი მუშების სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საშუალებად. დამკვრელები კი არ უნდა შემოიზღუდონ, არამედ უნდა გახდნენ ის მოწინავე ავანგარდი, რომელიც გადაამუშავებს, ახლად აღზრდის და სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბამს იმ ჩამორჩენილ მასებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაბმულან მასში, რომლებიც წარმოებას უყურებენ როგორც სხვისას, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეუგნიათ თავისი კლასობრივი ინტერესები, რომლებიც ხშირად კლასობრივი ინტერესებს ცეხურ ინტერესებს ანაცვალებენ.

თავის იდეურ-საპროპაგანდო მუშაობის დროს მუშათა მასებში, პარტიამ შემდეგში მასები უნდა დარაზმოს არა ჩამორჩენილებთან შეგუებით, არამედ მათი წინწაწევით.

ყველა კომუნისტები ერთიანად უნდა იყვნენ ჩაბმულნი სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელ ბრიგადებში და უზრუნველყოფილ უნდა იქნას სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლების მიხედვით.

ლოზუნგი „პროფკავშირებში პირით წარმოებისაკენ" უნდა დაგვირგვინდეს სრული და ნამდვილი გარდატეხით მთელს მუშაობაში. პროფკავშირები დამკვრელ ბრიგადებთან ერთად მხარ და მხარ უნდა მიდიოდენ.

გადაჭრით უნდა ვაქნევინოთ ქალაქის საბჭოებს პირი წარმოებისაკენ, უნდა ავამაღლოთ მათი საქმიანობა და მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ (ქალაქის საბჭოების) მუშაობას, ვიდრე აქამდე ვაქცევდით.

უნდა გავადიდოთ კომუნისტების როლი წარმოებაში, უნდა გადავაჯგუფოთ კომუნისტები ცეხებში და ავამაღლოთ მათი ტეხნიკური ცოდნა, ჩვენი კადრების ტეხნიკური შეიარაღება. საჭიროა, რომ უჯრედის მდივანი, რაიკომის მდივანი, ცეხის, უჯრედის მდივანი იცნობდეს იმ წარმოებას, რომელშიაც იგი მუშაობს. როგორც საწარმოო აღმავლობის ხელმძღვანელმა, მან უნდა იცოდეს წარმოების ძირითადი პროცესები.

პარტიული დატვირთვის სისტემა აუცილებლად უნდა გადახალისდეს წარმოების ამოცანებთან შეფარდებით და ის პროცესი, რომელიც ამ წელს დაიწყო, ცეხისკენ შებრუნების პროცესი უნდა გაღრმავდეს და მთელი მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ პარტორგანიზაცია ყოველთვის იმყოფებოდეს პირით წარმოებისაკენ, ცეხისკენ, იმ გადაუდებელი ამოცანების შესრულებისაკენ, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს ჩვენი პარტიის პოლიტიკა და გენერალური ხაზი.

(გაგრძელება იხილე მე-2 გვერდზე)

# II. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა

## გაძლიერება პროლეტარული ქალაქის დახმარებისა სოფლისადმი კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მოწყობის საქმეში

ჩვენი პარტიის მუშაობაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელმძღვანელობას ახალი სოციალისტური სოფლის მშენებლობისადმი. ეს მუშაობა გაფართოვდა განსაკუთრებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოფლად კლასობრივი ბრძოლის უკიდურესად გამწვავებასთან დაკავშირებით, იმ სასტიკ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, რომელსაც კულაკობა უწევდა საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში.

ამ სამი წლის განმავლობაში პარტიამ ზედმიწევნით შეისწავლა სოფელი. ამან, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულება ჰპოვა პურის დამზადებისა და თესვის ორი კამპანიის ჩატარებაში.

ეს ორი კამპანია უდიდეს სიძნელეებთან იყო გადახლართული, რამაც მოითხოვა პარტიისა და პროლეტარიატის ძალების, სოფლის ქვედა პარტორგანიზაციათა ქსელის ძალების უდიდესი დაძაბვა. მიუხედავად ყველა იმ ნაკლისა, რომელიც ახლავს ჩვენს ქვედა პარტორგანიზაციებს, რაიონულ ორგანიზაციებს და სოფლის კომუნისტებს, მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა, ჩვენი კადრები ამ ორი კამპანიის პერიოდში პირდაპირ გმირულ მუშაობას ეწეოდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვინც სოფლად იყო 1928 წლის პურის დამზადების კამპანიის პერიოდში, როდესაც კულაკობა სასტიკ წინააღმდეგობას აწარმოებდა, როდესაც ღარიბი გლეხობა ჯერ კიდევ სუსტად იყო დარაზმული, მას შეეძლო დაენახა, თუ როგორ დაუღალავად მუშაობდნენ სოფლის კომუნისტები, რომელთაც საშუალება მოგვცეს მოგვეგვარებინა კულაკობასთან ბრძოლის პირველი გადამწყვეტი ეტაპი. ამ კამპანიებმა ფრიად დიდი დადებითი როლი ითამაშეს კულაკობასთან ბრძოლის საქმეში, ჩვენი სოფლის ორგანიზაციების განმტკიცებაში, ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის გაძლიერებაში და კიდევ იმაში, რომ პარტია დაუახლოვდა და პირისპირ დაუდგა სოფლად მუშაობას.

მთელ რიგ ისტორიულ მიზეზების გამო, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან, პურის დამზადებისა და თესვის კამპანიებმა უდიდესი როლი ითამაშეს იმ მასიურ საკოლმეურნეო მოძრაობის შემზადებაში, რომელიც შემდგომ გაიშალა.

გაიზარდა და ამაღლდა პროლეტარიატის ორგანიზატორული და შემაკავშირებელი როლი სოფლის მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია რამდენიმე ციფრი მოვიყვანოთ. არასრული ცნობები, დაახლოვებითი ანგარიშით, 1928-29-30 წლების განმავლობაში სოფლად მუშაობისათვის გაიგზავნა (გამოტოვებულია)... მუშათა ბრიგადა, თესვის კამპანიაში და პურის დამზადების რაიონებში — 100.000 კაცი.

კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა 25.000 კაცი. ამავე კამპანიების გამო პარტიულმა, საბჭოთა კოოპერატიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გაგზავნეს 100.000 კაცზე მეტი; კომკავშირის აქტივი — 10.000-ზე მეტი. საერთოდ, არავითარი გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა მივლინებით სოფლად ჩვენ მიერ გაგზავნილ იქნა სულ ცოტა 250.000 კაცი.

ესაა რიცხვობრივი გამოხატულება შემაკავშირებელი როლისა სოფლის მიმართ, იმ დახმარებისა, რომელსაც ქალაქი სოფელს უწევს. ეს დახმარება ატარებდა უმთავრესად თავისებურ ციკლიურ ხასიათს სოფლის მეურნეობის წარმოების ციკლიურობასთან შეფარდებით, იმ თავისებურებასთან შეფარდებით, როდესაც მცირე დროის მანძილზე სწყდება მთელი წლის საწარმოო ამოცანები.

ამ პერიოდებში — თესვისა და პურის დამზადების პერიოდებში — პარტიის მასიური მუშაობა განსაკუთრებით მკვეთრ ხასიათს იღებს. თუ კი ახლა ჩვენი მუშაობა სოფელში ღებულობს სოფლად არსებულ ურთიერთობათა მსხვრევისა და ძირიან-ფესვიანად სოციალისტური გარდაქმნის ხასიათს, სამაგიეროდ მე-15 ყრილობის მომდევნო პირველ პერიოდში ჩატარებულ იქნა ამ მსხვრევისა და გარდაქმნის უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა. მე მხედველობაში მაქვს ისეთი კამპანიები, რომლებიც პარტიამ ჩაატარა, როგორიცაა აგრომინიმუმი, თესვის გეგმა, აგრორწმუნებულთა კადრის შექმნა, საწარმოო თათბირების მოწყობა, აგრონომიული უცოდინარობის სალიკვიდაციო ლაშქრობა, ღარიბთა კონფერენციები, თათბირები; ზოგიერთ ოლქებში ამ მუშაობამ უდიდესად ფართო ხასიათი მიიღო. ნამდვილად მასიურ მოძრაობად გადაიქცა, პირველ ყოვლისა, ჩრდილო კავკასიაში, ხოლო შემდეგ იგი მოედო შუა და ქვემო ვოლგას, ციმბირს. ეს კამპანია, აგრეთვე პურის დამზადება იყო ის მოსამზადებელი საორგანიზაციო მუშაობა, რომელიც პარტიამ ჩაატარა მთლიანი კოლექტივიზაციის მუშაობის გაშლამდე.

ქალაქის დახმარებამ სოფლის მიმართ მიიღო ორგანიზაციული ფორმები, ეგრედწოდებულ საშეფო საზოგადოებათა გზით. ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება საშეფო საზოგადოებანი, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბისა, ვიდრე ეს პარტიის მე-15 ყრილობამდე იყო. საშეფო მუშაობა ახლა მარტო მუშების შეფობას კი არ შეიცავს ამა თუ იმ სოფლის მიმართ, არამედ ერთი სამრეწველო ოლქი შეფობას იღებს მეორე სასოფლო-სამეურნეო ოლქზე მაგალითად, მოსკოვმა, ლენინგრადმა და ივანოვო-ვოზნესენსკმა აიღეს შეფობა სხვა ოლქებზე — შუა და ქვემო ვოლგის ოლქებზე, ცენტრ. შავნიადაგიან ოლქებზე, ხოპერის ოლქზე, ტაჯიკისტანზე, ნაწილობრივად უზბეკისტანზე — ბამბასთან დაკავშირებით, მოსკოვმა შუა აზიის შეფობა აიღო უმთავრესად იმიტომ, რომ მოსკოვში საფეიქრო ფაბრიკებია, ხოლო თურქესტანში — ბამბა. ლენინგრადი თავის ოლქის შეფია, როგორც ქალაქი სოფლისა, ნაწილობრივ შეფია ქვემო ვოლგის, ცენტრ. შავნიადაგიანი ოლქისა და ციმბირისა. ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა ორგანიზაცია შეფობს ნაწილობრივ თავის ოლქის რაიონებზე და ნაწილობრივ უზბეკისტანზე, ამნაირად, შეფობა საწარმოო ხასიათს იღებს. ამ უკანასკნელ წელს შეფობა იწყებს გადახალისებას წარმოების გზით თუმცა უნდა ითქვას, რომ შეფობის საქმეში დიდი დეფექტები გვაქვს. ხშირად შეფობას დეკლარატიული ხასიათი აქვს. ეს დეკლარატიული ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ერთმანეთთან მიემგზავრებიან მისასალმებლად, ერთმანეთს უგზავნიან დეპეშებს ხოლო ნამდვილი ორგანიზაციული დახმარება და მუშაობა ძალიან მცირედაა.

მე უკვე ვთქვი მოსკოვის კონფერენციაზე, რომ თუ მოსკოვმა შეფობა აიღო მებამბეობის რაიონებზე, ეს შეფობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ბამბის რაოდენობა ნამდვილად გაიზარდოს, და არა ისე, რომ პროგრამა არ შესრულდეს და ამის შედეგად განსაზღვრული დროის განმავლობაში შეჩერდეს საფეიქრო ფაბრიკები. უზბეკისტანის, აზერბეიჯანის და სხ. ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შედეგად, აგრეთვე რამოდენიმედ მოსკოვის მხრივ დახმარების გაწევის შედეგად, ამ წელს ბამბის ნათესის ფართობი გადიდებულია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეფობის საქმეში მეტი ორგანიზაციულობა უნდა შევიტანოთ. ყველაზე უმჯობესია შეფობის მოწყობა არა ზემოდან, არამედ ქვემოდან, მუშებისაგან. ამჟამად შეფობა ქვემოდან საკმაოდ ძლიერად ვითარდება. არის მთელი რიგი საწარმონი, რომელთაც საერთო მუშაობის ხელშეკრულებანი დასდეს მარცვლეულის ცენტრებთან, საკოლმეურნეო ცენტრთან, სატრაქტორო ცენტრთან, და სხვ. ასეთი საწარმოები მოსკოვშიაც არიან და სხვა მრავალ ქალაქშიაც პრაქტიკაში მიღებულია ხელშეკრულებათა დადება ერთი რაიონისა მეორესთან, ერთი ორგანიზაციისა მეორესთან, ეს იღებს ფრიად კონკრეტულ, საქმიან ხასიათს და ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ის გადახვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საკოლმეურნეო მოძრაობის დროს, გვიჩვენებენ, სხვათა შორის, იმას, რომ საშეფო მუშაობა სრულიადაც არაა უნაკლო, შეფობა რომ კარგად ყოფილიყო დაყენებული, რასაკვირველია, ქალაქის პროლეტარული ორგანიზაციები ბევრად უფრო სწრაფად შენიშნავდენ დაშვებულ შეცდომებს და უფრო სწრაფად დასვამდნენ ამ შეცდომების გამოსწორების საკითხს. ამის ნაცვლად კი, საჭირო გახდა სხვადასხვა ფორმები და გზები, რომ ეს გადახვევანი გამოაშკარავებულიყო და საკითხი მთელი თავისი სიმწვავით დასმულიყო. ზოგიერთმა საშეფო ორგანიზაციამ არა თუ ვერ გადაარჩინა მის შეფობაში მყოფი ორგანიზაციები გადახვევებისაგან, არამედ თვით მოჰყვნენ გადამხვეველების რიცხვში. ამხანაგებო, საჭიროა საშეფო მუშაობა და პროლეტარული დახმარება ქალაქისა და სოფლისადმი უფრო კონკრეტულად და უფრო ღრმად იქნას დაყენებული, ხოლო ამის შემდეგ საჭიროა მოსვლა ქალაქში და სათანადო პარტიული კომიტეტის წინაშე დასმა საკითხისა, წინასწარი გამაფრთხილებელი ზომების მიღება, თუ კი რაიმე ნაკლს აქვს ადგილი.

ეს უნდა იყოს მიჩნეული გაკვეთილად, რომელიც გადახვევებმა მოგვცეს. ხშირად აკრიტიკებენ სოფლის ქვედა ორგანიზაციას, მაშინ, როდესაც მარტო ისინი არ არიან გასაკრიტიკებელნი; საჭიროა ქალაქის ორგანიზაციების კრიტიკაც, რომელნიც სოფლის ორგანიზაციას შეფობენ და რომელნიც თავიანთ მუშაობას არ იყენებენ იმ მიზნისათვის, რომ თავის დროზე გამოამჟღავნონ იქ არსებული დეფექტები. სოფლისადმი პროლეტარული ქალაქის დახმარების საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ ოცდახუთ ათასელებმა. თუ დავაკვირდებით—როგორ სწარმოებდა 25.000-ელის გაგზავნა, ძნელი არ იქნება დავინახოთ ის უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც ამ კამპანიას აქვს; ძნელი არ იქნება დავინახოთ ის მკვეთრი კლასობრივი-პოლიტიკური ხასიათი, რომელიც მიეცა ამ, ერთის შეხედვით, თითქო წმინდა ორგანიზაციულ ღონისძიებას. საკმარისია ითქვას, რომ 25.000-ის გაგზავნის დროს 60.000 განცხადება იქნა შემოტანილი, რომელთა ავტორებიც სამუშაოდ წასვლის სურვილს აცხადებდნენ. ეს იყო მთელი მოძრაობა მუშათა შორის, რომლის მიზანიც იყო სოფლად წასვლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასახმარებლად.

25.000-ელებს სოფელში ბევრგან სკეპტიკურად ხვდებოდნენ. თვითონ ისინიც თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდენ თავიანთ მუშაობას. მრავალი ოცდახუთ-ათასელთან საუბრის დროს, ლენინგრადელ, მოსკოველ და ივანოვო-ვოზნესენსკელ მუშებთან ლაპარაკის დროს, ზოგიერთნი სვამდენ საკითხს იმის შესახებ, რომ მათ უძნელდებათ მუშაობა, რომ არ იცნობენ სოფლის მეურნეობას და ამიტომ ცუდად ერკვევიან საკითხებში, მაგრამ იქვე, გლეხთა კრებებზე მათ დაამტკიცეს, რომ ისინი მშვენივრად ერკვევიან საკითხებში, სარგებლობენ თავიანთი პროლეტარული ალღოთი და ორგანიზატორულად აყენებენ საკითხებს. რას ამბობდენ გლეხები მათ შესახებ? ციმბირში მუშაობდა ერთი ლენინგრადელი მუშა, ახალგაზრდა ამხანაგი, შესანიშნავი ორგანიზატორი, პირდაპირ წარმოებიდან წასული. იგი ჯერ კიდევ სუსტად იცნობს სოფლის მეურნეობას. გლეხები მას ელაპარაკებიან მრავალმინდვრიან სისტემაზე, თესლბრუნვაზე, ხოლო მას ესენი ჯერ ვერ შეუთვისებია. მიუხედავად ამისა, გლეხები მასზე ამბობენ, რომ თუმცა იგი სოფლის მეურნეობას არ იცნობს, ჯერ კიდევ ბევრი რამე უნდა ისწავლოს, მაგრამ ძალიან კარგად იცის ჩვენი შეკავშირება, საკითხის დაყენება, ახსნა-განმარტების მიცემა თუ სად როგორ მოვიქცეთ.

25.000-ელთა შორის 69,9 პროც. კომპარტიის (ბ) წევრი და კანდიდატია, 6 პროც.— კომკავშირელია და 7,7 პროც. ქალი.

ქალები ცოტანი არიან, მათ ერთგვარის უნდობლობით ეპყრობიან. მე შევხვდი ერთ ქალს „პროლეტარკა“-დან, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა წარმოებაში, მაგრამ როცა ის გაგზავნეს „25.000“-ს ანგარიშში, იგი პირველ ხანებში დაიბნა, შემდეგ გაერკვია, შეაგროვა ქალები, მოელაპარაკა მათ, შემდეგ მასთან გლეხებმაც დაიწყეს სიარული და მუშაობა გაიჩარხა. მთავარია გლეხების ნდობის დამსახურება.

,ბევრი ფიქრობდა, რომ „ოცდახუთათასელები“ არ დარჩებიან სოფლად. დღევანდელი დღისათვის 23.000 კაცი თითქმის მთლიანად დარჩა სოფელში. „ოცდახუთათასელები“ არიან სოფლის ორგანიზატორები, რომლებიც შეძლებენ დარაზმონ და პარტიისათვის აღზარდონ ახალი ამხანაგები. ერთმა მუშამ „კრასნი პუტილოვეც“-ის ქარხნიდან მიამბო ციმბირში: „როცა მე ვმუშაობდი ლენინგრადში და თვითონ ვხედავდი ჩემს საქარხნო, რაიონულს ხელმძღვანელებს, ვფიქრობდი, რომ არაფრად ვღირვარ და ხშირად უჯრედის სხდომაზე გამოსვლისაც კი მეშინოდა. როცა სოფელში ჩაველი და თვით ცხოვრებამ მაიძულა გამოვსულიყავი, მაშინ დავინახე, რომ საქმე წინ წავა და ჩვენ საქმეს გავაკეთებთ“.

იმ წერილებიდან, რომლებსაც ც. კ იღებს სოფლებიდან „25 ათასელებისაგან“ და გლეხებისაგან, სჩანს, რომ ამ გამოცდილებამ გაამართლა თავისი თავი. აი რას სწერენ ცენტრალურ კომიტეტს წითელი პარტიზანები ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქიდან: „ვესალმებით პარტიის ც. კ-ს და მადლობას ვუცხადებთ „ოცდახუთათასელის“ ამხ. ნესჩასტნისათვის, რომელიც გამოგზავნილია ქალაქისა და სოფლის დასაკავშირებლად, რომელიც სამი თვეა მუშაობს და გვიჩვენა ნამდვილი ერთგულება სოციალიზმის საქმისადმი და მიიზიდა წითელი პარტიზანები, ღარიბ გლეხთა აქტივი და ყველა კოლმეურნენი. ვსთხოვთ პარტიის ც. კ-ს ასეთი დაზგის მუშები ბევრი გამოგზავნოს ჩვენს სოფელში“.

ჩვენ ათასობით ვღებულობთ წერილებს, „25 ათასელებისაგან“. ზოგიერთი მათგანი რამდენიმედ გაჭირვებულ მდგომარეობაშია კოლმეურნეობებისაგან ჩამოშორების გამო. ერთი მათგანი ამბობს: „მე დანიშნული ვიყავი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ახლა უკვე აღარა ვარ თავმჯდომარედ, ვინაიდან კოლმეურნეობა დაიშალა, მე კი დავრჩი თავმჯდომარედ კოლმეურნეობის გარეშე“ (სიცილი). ადგილობრივი ორგანიზაციები ამ ამხანაგებს იყენებენ კოოპერაციაში და ყოველგვარ სხვა სამუშაოზე. ზოგიერთ ამხანაგს „25 ათასელიდან“ იყენებენ რაიონულ ცენტრში, მაგრამ უმრავლესობა დარჩა სოფლად და წერილების უმრავლესობა, რომელთაც ც. კ იღებს, სავსეა სიმხნევით და რწმენით. აი ერთი წერილი, ამხ. ორლოვისა, რომელიც სწერს: „ჩვენ მხნედ ვართ, როგორც არასოდეს. ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ჩვენ მარტონი არა ვართ, ჩვენთან არის მთელი პარტია, მთელი მუშათა კლასი. თუ საჭირო იქნება, თქვენ დაგვეხმარებით და ჩვენ მაინც გავამართლებთ მოსკოვის მუშების ნდობას“. (ტაში). აი რა ახასიათებს პროლეტარული ქალაქის მიერ სოფლისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს.

საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლა ახალი სახით აყენებს ამ დახმარების საკითხს. მასშტაბი ჩვენი ორგანიზატორული მუშაობისა სოფლის მიმართ იცვლება. ჩვენ ახლა საქმე უნდა გავზომოთ არა ასებით, არა ათასებით, არამედ მილიონებით. საკოლმეურნეო მოძრაობა ქალაქის წინაშე აყენებს სრულიად ახალ საორგანიზაციო ამოცანებს. 25.000-ის გაგზავნა მხოლოდ დასაწყისია, და მომავალში საჭირო იქნება სოფლად მუშაკების გაგზავნა ორგანიული მუშაობის წესით. მთავარი არის ის, რომ ჩვენთვის საჭიროა აქტივის შექმნა თვით სოფლიდან. სოფლის მომავალი, თუ მეთაურთა შემადგენლობაზე ვილაპარაკებთ, მეთაურთა იმ შემადგენლობის ხელშია, რომელიც გამოვა თვით გლეხების წრიდან — ღარიბ გლეხებიდან და კოლმეურნეებიდან. მილიონების მოძრაობა აწინაურებს ათი და ასი ათას ახალ ნიჭიერ ორგანიზატორს მოჯამაგირეებიდან და კოლმეურნეებიდან. ქალაქის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნიჭიერი ორგანიზატორები არ დაიჩრდილონ: ჩვენ ისინი წინ უნდა წავსწიოთ და აღვზარდოთ.

სოფლად კოლმეურნეთა შორის ჩვენ ვხვდებით მრავალ მშვენიერ მუშაკს, მრავალ ნიჭიერ ხალხს. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ მათ გასაქანს არ აძლევს უცოდინარობა. ქალაქის ორგანიზატორულ - აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ წინ წავსწიოთ ეს ქვევიდან მომავალი ახალი ხალხი და ავღზარდოთ ისინი. ესენი იქნებიან ხელმძღვანელთა შემადგენლობის ის ახალი კადრები, რომელნიც წაიყვანენ სოფელს ახალი მომავლისაკენ, რომელნიც გარდაჰქმნიან მას, ხოლო 25.000 ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი გლეხობისათვის მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა დარაზმვისა და სოფლის პარტორგანიზაციებში მუშაობის გარდაქმნის საკითხს. პოლიტიკურად გლეხთა მასები გამოზარდნენ, ხოლო ეკონომიურად ჩვენ მათ ვაბამთ საკოლმეურნეო მოძრაობაში, მაგრამ თუ ჩვენ ორგანიზაციულად ჩამოვრჩით იმ მოთხოვნებს, რომელნიც ჩვენს წინაშე დგანან, შესაძლებელია დავაგვიანოთ და განამდვილებით დავაგვიანებთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ტემპებს.

## მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის გაძლიერება და საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცება

განვლილი პერიოდი აღინიშნა ახალი მოვლენით კვალიფიციურ მუშათა კადრების სწრაფი ზრდით სოფლად. ამჟამად მხოლოდ მარცვლეულის კულტურების საბჭოთა მეურნეობებში ითვლება 70 ათასი კვალიფიციური მუშა, 1928 წლის 15 ათასის ნაცვლად. გადიდდა მიწა-ტყის მუშათა რიცხვი. მიწა-ტყის მუშათა კავშირში 162.750 წევრი ითვლება. კავშირს მთელი რიგი მიღწევები აქვს როგორც კავშირში მიწა-ტყის მუშათა ჩაბმის, ისე მათი პოლიტიკური აქტივიზაციის მხრივ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც ჩამორჩენილ კავშირად რჩება. ამ კავშირს უნდა დავეხმაროთ მატერიალურად და მუშაკებით. სხვა უფრო მოწინავე კავშირები, როგორიც არის მელითონეთა, ქიმიკოსთა და სხვა კავშირები, კარჩაკეტილნი არ უნდა იყვნენ.

ამ უკანასკნელ წელს თვალსაჩინოდ გაიზარდა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა აქტივობა. ცნობილია, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიამ დასვა საკითხი ღარიბ გლეხთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის შესახებ სოფლის საბჭოებთან და კოოპერაციასთან. საბჭოთა კავშირის 14 აღრიცხულ ოლქსა და მხარეში სულ არსებობს ღარიბ გლეხთა 24.098 ჯგუფი, რომლებშიაც ირიცხება 284.565 წევრი. ამ ჯგუფებში 15 პროც. შეადგენენ მოჯამაგირეები, 69,8 პროც. ღარიბი გლეხები, (განთავისუფლებულნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან) და 25 პროც. ის გლეხები, რომლებიც უმნიშვნელო სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან.

სოფლის საბჭოებთან ითვლება ღარიბთა 11.000 ჯგუფი, სასოფლო საბჭოების რიცხვი კი სულ 70.000-ს უდრის. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციაში ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით რიცხობრივად, ხარისხობრივად ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

განსაკუთრებით ცუდათ არის საქმე ხელმძღვანელთა მხრივ ღარიბთა ჯგუფებში და სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირში. ეს საქმე, ამხანაგებო, ახლა წინ უნდა წავსწიოთ. კოლმეურნეობათა განვითარება ამჟამად სულ ახალი სახით აყენებს ღარიბთა ორგანიზაციის საკითხს. ღარიბთა ორგანიზაცია კოლმეურნეობათა გარეთ სხვადასხვა ფორმას იღებს. კოლმეურნეობები სხვადასხვაგვარია: კოლმეურნეობებში უსათუოდ უნდა შეიქმნას ღარიბთა ჯგუფები, კომუნებში საჭირო არ არის ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაცია.

არტელებში ჩვენ კვლავინდებურად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა ღარიბ გლეხობასთან. რაც შეეხება ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციას არტელებთან, საეჭვოა, რომ პრაქტიკულად იყოს ამისი განსაკუთრებული საჭიროება. ყოველ შემთხვევაში არტელებში ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციის საკითხი უნდა გადაიჭრას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით (კოლმეურნეობის შემადგენლობა და სხვ.).

ერთმა მუშამ, „ოცდახუთათასელმა“ შეკითხვაზე ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ ასე უპასუხა: „როცა მე სოფელში ჩავედი, თავდაპირველად ვფიქრობდი მომეწყო ღარიბთა ჯგუფი არტელში. როცა კოლმეურნეობის შემადგენლობას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ კოლმეურნეობაში შესულან საუკეთესო საშუალო გლეხები და თუ მე ცალკე ღარიბთა ჯგუფს მოვაწყობ, არტელში განხეთქილება მოხდება. როგორ მოვიქცე მე? ჩვენს კოლმეურნეობაში არის საწარმოო თათბირი. აი ამ საწარმოო თათბირში გაერთიანდა ღარიბი გლეხობის აქტივი, სპეციალური ჯგუფის მოუწყობლად“.

ეს ცოცხალი მაგალითი გვეუბნება, რომ არ შეიძლება საკითხის განყენებულად დაყენება, როგორც ამას ზოგიერთები ცდილობენ, როცა სერიოზულად ამტკიცებენ არტელებში ღარიბთა ჯგუფების სავალდებულო ორგანიზაციის საჭიროებას. ეს საქმე პრაქტიკულია და დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებისაგან. კოლმეურნეობათა გარეშე ჩვენ აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ ღარიბ გლეხთა შორის, ვინაიდან თუ ამ მუშაობას არ ვაწარმოებთ, მაშინ ღარიბნი არ გვეყოლებიან, როგორც დარაზმული ძალა, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად.

კოლმეურნეობათა გარეშე ჩვენ ენერგიული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ღარიბ და საშუალო გლეხობასთან. ერთ დროს, როცა ზოგიერთ ოლქში კოლმეურნეობებში ირიცხებოდა მოსახლეობის 60-80 პროცენტი, ზოგიერთი გატაცებული ამხანაგი საჭიროდ არ სთვლიდა „ნარჩენებზე“ ზრუნვას. როცა შემდეგ გამოაშკარავდა სიცალიერე და „ნარჩენებმა“ უმრავლესობა შეადგინეს, — ეს ამხანაგები დაიბნენ. ამიტომ საჭიროა ხაზი გაესვას კოლმეურნეობათა გარეშე დარჩენილ ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერების ამოცანას ლენინის ფორმულის საფუძველზე— ღარიბებთან მუშაობის, საშუალო გლეხთან კავშირის და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ. ეს ის მოსამზადებელი მუშაობაა, რომელიც ღარიბებს, როგორც სოფლის მოწინავე ავანგარდს, კოლმეურნეობებში მიიყვანს, ეს ის მუშაობაა, რომელიც საშუალო გლეხობას კოლმეურნეობებში მიიყვანს.

ცალკე ყურადღების ღირსია ქალთა შორის მუშაობა სოფლად. ჩვენ ვიცით, რომ საკოლმეურნეო მოძრაობაში არსებულ გადახრებთან დაკავშირებით, ქალებმა სოფლად მრავალ შემთხვევაში ითამაშეს ყველაზე „მოწინავე“ როლი კოლმეურნეობათა წინააღმდეგ განწყობილების შექმნაში. ამან განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენა, რომ ჩვენ ქალთა შორის სოფლად ცუდათ ვმუშაობდით. თუ ქალაქში ჩვენ გვაქვს ეს მიღწევები, სოფლად ამ მხრივ მდგომარეობა ძალიან ცუდია არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ არსებითადაც. სოფლად მუშაობა ქალთა შორის სწარმოებდა უმთავრესად ყოფა-ცხოვრების ხაზით, ქალთა კლასობრივ აღზრდას სოფლად, ღარიბ, საშუალო და კულაკ ქალთა შორის განსხვავებას ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

ამის შედეგად მრავალ შემთხვევაში კულაკმა ჩამორჩენილი ქალები გამოიყენა კოლმეურნეობების წინააღმდეგ. ქალთა სადელეგატო კრებებმა თავიანთი როლი შეასრულეს სოფლად პურის დამზადების კამპანიის დროს, მაგრამ როდესაც საკოლმეურნეო მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე ავიდა, კულაკმა ქალთა საგრძნობი ნაწილი თავის ინტერესებისათვის გამოიყენა.

აი რატომ უნდა ვაწარმოოთ ამჟამად გაძლიერებული მუშაობა ქალთა შორის. კერძოდ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაუქმოთ ქალთა ორგანიზატორების ინსტიტუტი სოფლად. მაგრამ საჭიროა, რათა ქალთა მუშაობას სოფლად აწარმოებდნენ არა მარტო ეს ორგანიზატორები, არამედ ყველა სხვა ორგანიზაციებიც (ტაში).

საჭიროა ყველა ამ ორგანიზაციების მიბრუნება პირით სოფლის სოციალისტური გარდაქმნისაკენ, პირით კოლმეურნეობისაკენ.

რაც შეეხება სასოფლო საბჭოებს, უკანასკნელ წლებში ისინი ძალიან გაძლიერდენ. სოფლის საბჭოების გაცხოველების, მათი საორგანიზაციო მუშაობის გაუმჯობესების და გლეხობის მოზიდვის მხრივ ც. კ-მა, ცაკმა და მთელმა პარტიამ დიდი კამპანია ჩაატარეს და ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს საარჩევნო კამპანიაში და სოფლის საბჭოების მთელ მუშაობაში.

მაგრამ როცა დადგა სოფლის საბჭოების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის საკითხი, როცა დადგა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხი, სოფლის საბჭოებმა თავი ვერ გაართვეს ამოცანებს, დროზე ვერ შესძლეს მუშაობის გარდაქმნა და ჩამორჩნენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ორგანიზაციები.

აი რატომ ასტეხა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განგაში და საბჭოთა კავშირის ცაკთან ერთად მოიწვია სპეციალური თათბირი, სადაც გადმოსროლილ იქნა ლოზუნგი: „საბჭოები პირით კოლმეურნეობისაკენ“. აქაც ადგილი ჰქონდა წაჯექ-უკუჯექობას იმათ მხრით, ვისაც ეს ხელობა უყვარს. როგორც ვიცით, გაჩნდა ისეთი თეორია, რომ საჭიროა სოფლის საბჭოების გაუქმება, გაჩნდა თეორია სოფლის საბჭოების გაქრობის შესახებ. ეს თეორია გამომდინარეობდა სახელმწიფოს გაქრობის თეორიიდან და წარმოადგენს ამ „თეორეტიკოსების“ შემეცნებაში ბოლშევიკური იდეოლოგიის გაქრობის შედეგს. ჩვენ გადაჭრილი წინააღმდეგობა გავუწიეთ ამ თეორიას. ჩვენ გადაჭრით განვაცხადეთ, რომ ყველა ცდები სოფლის საბჭოების ლიკვიდაციისა, მასიური კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, მათი ხელმძღვანელი როლის შესუსტებისა და შემცირებისა, როგორც აშკარა, ისე ფარული ფორმით — კოლმეურნეთა გამგეობებისათვის სოფლის საბჭოების უფლების გადაცემის გზით, ყველა ეს ცდები წარმოადგენენ ანტისაბჭოთა ცდებს და გამოხატავენ იმ კლასობრივი მტრების განწყობილებას, რომელნიც ცდილობენ პროლეტარიატის დიქტატურის შერყევას და მისი ხელმძღვანელი ორგანოების ძალის შესუსტებას.

მსგავს ლიკვიდატორულ მისწრაფებებს გადამწყვეტი და დაუზოგველი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ. ამჟამად ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ გარდატეხას სოფლის საბჭოების ხაზით. მაგრამ ეს გარდატეხა ჯერ ძალიან უმნიშვნელოა. სოფლის საბჭოების შესახებ ცაკის მიერ გამოცემული სპეციალური დებულება ითვალისწინებს სოფლის საბჭოების ამოცანებს, როგორც კოლექტივიზაციის რაიონებში, ისე იმ რაიონებში, სადაც კოლექტივიზაცია ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. სოფლის საბჭოებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, საოლქო აღმასკომებმა ხელმძღვანელობა უნდა გააძლიერონ პირველ ყოვლისა სოფლის საბჭოების მიმართ, ვინაიდან ისინი პირველნი არიან პასუხისმგებელნი ამ საქმისათვის. მათ უნდა მიაღწიონ, იმას, რომ სოფლის საბჭოები მიბრუნდნენ „პირით კოლმეურნეობებისაკენ“.

დიდია სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სოფლად. სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეთა რიცხვი გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ორ ნახევარჯერ. ამჟამად სოფლად ირიცხება სამომხმარებლო კოოპერაციის 26 მილიონი მეპაიე. როგორ რაზმავს სამომხმარებლო კოოპერაცია ამ მეპაიებს? ხელს უწყობდა თუ არა სამომხმარებლო კოოპერაცია კოლმეურნეობათა ორგანიზაციას? შესამჩნევი იყო თუ არა ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერაცია, როცა პარტია მასების ორგანიზაციისათვის იბრძოდა? არა, ამხანაგებო. კოოპერაცია ვაჭრობს სოფლად, მაგრამ არავითარ მასიურ მუშაობას არ ეწევა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ის გარდატეხის პერიოდს განიცდის; კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, მისი მუშაობა მრავალ ადგილას ძალზე შეირყა.

როცა ვსვამთ საკითხს საშუალო გლეხებს, ინდივიდუალურ მეურნეებს შორის მუშაობის შესახებ, საჭიროა დავსვათ პირდაპირი ამოცანა—აღდგენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა რაც შეიძლება დაჩქარებით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უნდა წარმოადგენდეს იმ საფეხურს, რომელიც უნდა ამზადებდეს მასებს კოლმეურნეობებში შესასვლელად.

შევჩერდეთ სოფლის პარტორგანიზაციებზე. თუ ქალაქებში ჩვენ გვაქვს მტკიცე ქსელი უჯრედების, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეზე, სოფლად უჯრედი ძალიან ცოტაა რიცხვობრივად და ძალიან სუსტი ხარისხობრივად. ერთგვარი მიღწევები იქაც გვაქვს. ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც წამოაყენა ღარიბ გლეხთა შეკავშირების ლოზუნგი, ამავე დროს ლოზუნგად დასახა სოფლის პარტორგანიზაციების განმტკიცება, მათი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება და მოჯამაგირეების პოზიციების განმტკიცება ორგანიზაციაში. 1928 წელს ორგანიზაციის შემადგენლობაში გვყავდა უმნიშვნელო ფენა პროლეტარული ელემენტების (5,3 პროც.), სულ მცირე იყო აგრეთვე კოლმეურნეთა კადრების რაოდენობა. ზოგიერთ შემთხვევაში საგრძნობ ნაწილს წარმოადგენენ შეძლებული გლეხები, ხოლო აქაიქ პირდაპირ კულაკებთან დაკავშირებული ელემენტებიც მოიპოვებოდნენ. პურის დამზადების პირველი კამპანია იყო გამწმენდი ცეცხლი, რომელმაც პარტორგანიზაციები გაანთავისუფლა კულაკური ელემენტებისა და გადაგვარებულებისაგან.

ამჟამად ადგილი აქვს პარტიის ზრდას მოჯამაგირეების და სასოფლო-სამეურნეო მუშების ხარჯზე 40.878 კაცით, აგრეთვე სოფლად გაგზავნილი არის მუშათა მასების დიდი რაოდენობა. სოფლის ორგანიზაციების შემადგენლობიდან კომუნისტ გლეხთა მეხუთედი ნაწილი გამორიცხულია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიხედვით. გაუმჯობესდნენ შემადგენლობის მხრივ სოფლის უჯრედები ძირითად სამიწადმოქმედო რაიონებში. შუა-ვოლგაზე სოფლის უჯრედებში მუშები შეადგენენ 70,2 პროც., ქვემო-ვოლგაზე—63 პროც., ჩრდილოეთ-კავკასიაში—62,1 პროც., ციმბირში—62 პროც., უკრაინაში—60 პროც., დასავლეთის ოლქში— 56 პროც., ჩრდილოეთ-მხარეში—44,9 პროც., ბელორუსიაში—56,8 პროც.; შორეულ აღმოსავლეთში—43,5 პროც. როგორც ხედავთ, თანდათან კლებულობს. ზოგიერთ რესპუბლიკაში ამ მხრივ უარესი მდგომარეობაა, მაგრამ მოჯამაგირეების პროცენტი საკმაოდ დიდია, მაგალითად, უზბეკისტანში მოჯამაგირეები შეადგენენ 23,5 პროც., კაზაკსტანში— 19,6 პროც.; საშუალოდ მთელს საბჭოთა კავშირში მოჯამაგირეები ორგანიზაციაში შეადგენენ 12,6 პროცენტს. ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ნაციონალური რესპუბლიკებისადმი, რომ გაეძლიერებინათ მუშაობა პარტიაში მოჯამაგირეების შესაყვანად ადგილობრივ ძირითად ხალხიდან, სრულდებოდა განსაკუთრებით ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებში.

ამჟამად ჩვენ გვაქვს სოფლის ორგანიზაციის ხარისხობრივი შემადგენლობის ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ თუ ავიღებთ გლეხების, კოლმეურნეების და ყველა ორგანიზაციების რიცხვს, თუ ავიღებთ გლეხების, კოლმეურნეების და ჩვენი სოფლის ორგანიზაციის მთელს რაოდენობას, ეს ძალიან მცირეა. სულ გლეხთა მრავალმილიონიან მასაზე მოდის პარტიის 877 ათასი წევრი და კანდიდატი. უჯრედთა რიცხვი მცირეა. ადგილებზე მომუშავეებმა იციან, როგორია ამ უჯრედთა ქსელი. სოფლის საბჭო აერთიანებს 10 სოფელს, ხოლო სოფლის საბჭოში არის უჯრედი, იშვიათ შემთხვევაში 7—8 კაცისაგან, უმეტეს შემთხვევაში კი 5—6 კაცისაგან და ისინიც გაბნეულნი არიან სხვადასხვა სოფლებში. საბჭოთა კავშირში საშუალოდ 100 სოფლის საბჭოზე მოდის 40 უჯრედი. უჯრედი, როგორც საწარმოო, ხელმძღვანელი და მომწესრიგებელი ძალა, დღეს ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს თამაშობს. ეს საკითხი უნდა დავსვათ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. თუ ჩვენ არ დავსვით საკითხი სოფლის ორგანიზაციის განმტკიცების შესახებ, ბოლშევიკური კადრების ხერხემლის შექმნის შესახებ, ვერ გავატარებთ პარტიის ხაზს სოფლად. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი გადახრების შესახებ. განა საქმე იმაშია, რომ საოლქო კადრები უვარგისნი გამოდგნენ, რომ ბევრმა მათგანმა შეცდომა დაუშვა? უმთავრესად საქმე იმაშია, რომ კარგიც რომ ყოფილიყო საოლქო კომიტეტის დირექტივა, ადგილებზე მას ატარებდა ისეთი ხალხი, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში კეთილსინდისიერად სურდა პარტიის ხაზის და დირექტივის გატარება, მაგრამ არ ესმოდა, რა და როგორ გაეკეთებია, რა და როგორ გაეშუქებია, როცა მას არა აქვს ახსნა- განმარტების უნარი, იგი მიმართავს ბრძანებას. ზოგიერთ შემთხვევაში სოფლად ჩვენ გვყავდნენ აშკარა არამზადები, რომლებიც მიეტმასნენ პარტიას და რომლებიც ბოროტად იყენებდნენ პარტიის ნდობას. უმთავრესად საქმე იმაში მდგომარეობს, რომ უჯრედი, როგორც თვითმოქმედი ორგანიზმი, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხები, როგორც ეს ხდება წარმოებაში, ცეხში და საბჭოთა დაწესებულებაში, სოფლად ცუდათ მუშაობდა. ეხლაც ცუდათ მუშაობს.

აი, რატომ უნდა დავსვათ ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით. მე უკვე ვილაპარაკე აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ კოლმეურნეთა შორის, და სოფლელი კომუნისტების წინაშე არსებული ამოცანა კოლმეურნეთა აღზრდის შესახებ არა ნაკლებ მწვავეა და მას ჩვენ დღემდე ვერ ვასრულებთ სათანადოთ. ჩვენ ვგზავნიდით პროპაგანდისტთა ჯგუფებს სოფლად ვაწყობდით სპეციალურ სკოლებს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში ამასთან შედარებით, რაც საჭიროა. მიეცით სოფლელ კომუნისტებს ელემენტარული შეკითხვები პოლიტიკური ანბანიდან, ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის კომკავშირზე.

არა მარტო სოფლის უჯრედის, არამედ რაიონისა და რაიონული აქტივის ცხოვრების იდეური დონეც არ არის მაღალი. რაიონებსა და სოფლებში ბევრ კარგ ხალხს ნახავთ, რომელიც დღე და ღამ მუშაობს. მაგრამ იშვიათად თუ ნახავთ ,რომ სოფლელი კომუნისტები შეიკრიბონ, განიხილონ და გააშუქონ ეს დირექტივა და თავიანთი პრაქტიკული მუშაობა. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ სოფლელი კომუნისტების მუშაობა, უნდა ავამაღლოთ მათი იდეური დონე.

პარტიაში წევრების მიღება სოფლად ხშირად ვერ ხდება სათანადოთ.

ერთ სოფელში, რომელშიაც მე მომიხდა ყოფნა, შევკრიბეთ უჯრედის წევრები. უჯრედის მდივანმა, მოსკოველმა მუშამ მოხსენებაში აღნიშნა, რომ „პარტიის წევრთა პოლიტიკური მომზადება დაბალია, არ სწავლობენ პოლიტანბანს, კომკავშირელებიც მოუმზადებელნი არიან, მაგრამ, დიდ დავალებებს ასრულებენო“.

შემდეგ შეუდგნენ პარტიაში მიღებას.

ერთ კომკავშირელს ეკითხებიან: „რისთვისაა საჭირო კოლმეურნეობა“?

— კოლმეურნეობაში,—მიუგებს იგი— შრომა უფრო ადვილი იქნება.

— რა არის საკ. ა. ლ. კომკავშირი?

იგი ჯერ შებორძიკდა, შემდეგ კი მიუგო:

— საკავშირო კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა (სიცილი).

— რატომ „საკავშირო“?

— იქ ხომ ყველა პროფკავშირებს აერთიანებენ (სიცილი).

— რა არის საბჭოთა რესპუბლიკა?

არ შემიძლია გიპასუხოთ,—მიუგებს იგი.

შემდეგ:

— აგვიხსენით, რა არის საბჭოთა ხელისუფლება?

— ისე,—მიუგებს იგი—ჩვენ საერთოდ ყველა ხალხთან უნდა გვქონდეს ბჭობა, ამიტომ ჰქვია საბჭოთა ხელისუფლება (სიცილი).

პარტიაში ღებულობენ ერთ ღარიბ გლეხს. მას ეკითხებიან:

— რას ამბობენ გლეხები კოლმეურნეობაზე?

— ჩვენთან ისეთი არევ-დარევაა, — მიუგებს იგი,—რომ თვით ფელფერიც ვერ გაერკვევა.

— რისთვის შედიხართ პარტიაში?

ისე,—უპასუხებს იგი—იმისთვის, რომ პოლიტიკური სულით გავიმსჭვალო.

— როგორ უყურებთ კოლმეურნეობას?

— რაკი შევედი, შევედი—უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. ცხენი რაკი ჩამომართვეს, ჩამომართვეს (სიცილი).

— განა შენ ცხენი ჩამოგართვეს?

— ჩამომართვეს, განასაზოგადოვეს, მეც ავედი და პარტიაში განცხადება შემოვიტანე, ზოგი პარტიაში შევა, ზოგიც მეჯინიბედ (საერთო სიცილი).

შემდეგ მას ეკითხებიან (წინად ის კრებებს შლიდა):

— კრებების ჩაშლას ვინღა გასწავლიდა?

— მე კი არა ვშლიდი კრებებს—მიუგებს იგი,—ისე, ვაჩქარებდი (სიცილი).

- როგორ გესმით პარტიის პოლიტიკა?

— მე ჩემი აზრი ვთქვი. მეტს ვეღარას ვიტყვი.

ამას მოსდევს შენიშვნები პარტიელების მხრივ. ერთი ამბობს, რომ ეგ ხშირად არაყს სვამდა და ისეც არ დაიწყოსო.

— როგორ თუ სვამდა?

— ისე, კვირა ნახევრის განმავლობაში ლოთობს (სიცილი).

ეკითხებიან:

აურ-ზაური ხომ არ იცის?

— არა, არ იცის. პატარაა (სიცილი).

აი ასე არჩევდნენ პარტიაში მიღების საკითხს სოფლის ერთერთ უჯრედში, რაც გვიჩვენებს სოფლის ზოგიერთი ორგანიზაციის დონეს.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს, რა თქმა უნდა, საერთო წესი არ არის. სოფლის კომუნისტები საერთოდ ერთგული და თავდადებული რევოლიუციონერები არიან. მაგრამ საჭიროა გაძლიერდეს მათთვის დახმარების გაწევა. სწორედ ამიტომ ამჟამად ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ სისუსტის ეს ფაქტები, რომელნიც მოითხოვენ პარტიის მუშაობის განსაკუთრებით გაძლიერებას სოფლად. ჩვენი ამოცანაა ეხლავე გარდავქმნათ სოფლის პარტიული ორგანიზაცია. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გარდავქმნათ იგი საწარმოო ნიშნის მიხედვით. საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი უნდა გადაიქცნენ პარტიული ორგანიზაციის გარდაქმნის საფუძვლად.

ჩვენ უნდა გამოვზარდოთ სოფლის კადრები ყოველ რაიონში. და სწორედ წინადადება ოლქების ლიკვიდაციისა და რაიონებში ცენტრის გადატანის შესახებ მოასწავებს სოფლის პარტიული ორგანიზაციების ნამდვილი შექმნის ნამდვილ დასაწყისს.

სწორედ რაიონში მოიყრიან თავს მსხვილი კადრები. რაიონში მოიყრის თავს ამ ბოლშევიკების, სოფლის რევოლიუციონერების კადრი, და ამ კადრის ირგვლივ უნდა დაირაზმოს მოჯამაგირეთა და კოლმეურნეთა აქტივი — ეს ჩვენი ნამდვილი დასაყრდენი. ამით ჩვენ შევქმნით სოფლის მტკიცე პარტიულ ორგანიზაციას. დასაყრდენი სოფლად ჩვენ გვაქვს არა მარტო კოლმეურნეობაში. კომკავშირი სოფლად განსხვავდება ქალაქის კომკავშირისაგან. თუ კომკავშირი ქალაქში საინიციატივო როლს თამაშობს მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით დამკვრელობის ხაზით, სამაგიეროდ კომკავშირი სოფლად სხვა როლს თამაშობს. კომკავშირმა კოლექტივიზაციის პერიოდში კარგად გამოიჩინა თავი პარტიის ხაზისადმი ერთგულების თვალსაზრისით. იყო ისეთი ფაქტები, განსაკუთრებით ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკაში, როდესაც კომკავშირელებს კულაკის მხარი ეჭირათ, მაგრამ კომკავშირელები თუ ავიღებთ მათ მასიურად, პარტიის კარგი თანაშემწენი იყვნენ, კარგი შემსრულებელნი, თუმცა გადამხვევნიც იყვნენ პარტუჯრედთან ერთად, მაგრამ როგორც პოლიტიკური ერთეული სოფლად, კომკავშირი სუსტია.

კომკავშირის უჯრედები ბევრად მეტია, ვიდრე პარტიული უჯრედები, და უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მათ განსამტკიცებლად. საკ. ა.ლ. კომკავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დიდი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ მოაწყვეს მოსავლისათვის ლაშქრობა, მესაქონლეობის ერთთვიური, პირველი კვალის გავლების დღე, მოსავლის დღე, კარნავალები და წითელი ქარავნები პურის დამზადების დროს, მაგრამ ეს არის ინიციატივა ზემოდან, ორგანიზაცია უმთავრესად დირექტივების მიხედვით, ხოლო კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციების დახმარება ძალიან სუსტია. მათ დიდ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ სოფლის კომკავშირი, რათა იგი იყოს ნამდვილად მასიური ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება ჩვენს პარტიას გამოსჭედოს კადრები და შექმნას მძლავრი პარტიული ორგანიზაციები სოფლად.

სოფლისათვის კადრების მომზადების საქმეში დიდ როლს თამაშობს, — და უნდა ითამაშოს კიდეც — წითელი არმიაც. წითელი არმიის კურსებში ამჟამად ათასობით მეცადინეობენ წითელარმიელები, რომელნიც აძლიერებენ სოფლის მუშაკთა კადრებს. ასე, მაგალითად, 1927 წელს კურსები გაიარა 121.000 კაცმა, 1928 წელს — 167.000, 1929 წელს -- 180.000. ჩვენ შეგვიძლია და მოვალენი ვართ უფრო მეტად გამოვიყენოთ წითელი არმია, ისე, რომ წითელარმიელნი სოფელში ჩასვლისას გადაიქცნენ [illegible] მუშაკებად, რომელნიც დარაზმავენ და შეაკავშირებენ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა: სოფლისათვის პროლეტური ქალაქის მხრივ დახმარების გაძლიერება, განსაკუთრებით სოფლად ღარიბი გლეხობის დარაზმვის, კოლმეურნეობების მიმართ ხარისხობრივი, სამეურნეო ხელმძღვანელობის, სოფლად პარტიული ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში. უნდა გარდავქმნათ სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კოლექტივიზაციის ამოცანებთან შეფარდებით კოლმეურნეობებზე და კოლმეურნეებზე დაყრდნობის ლოზუნგით. უნდა გავაძლიეროთ სოფლის საბჭოების როლი და განვამტკიცოთ მათი კადრები, უნდა გავაუმჯობესოთ აღმზრდელობითი მუშაობა ფართო მასების შორის, ავსწიოთ სოფლის კულტურა და სოფლის პარტიელების იდეური დონე.

ღარიბი გლეხობის აქტივობა ორგანიზაციულად უნდა წარიმართოს კონკრეტული საწარმოო ამოცანებისაკენ; საჭიროა ღარიბმა გლეხმა შემუსროს კულაკის თეორია იმის შესახებ, თითქო ღარიბი გლეხი უქნარა, ზარმაცია, თითქო მას არ შეეძლოს თავისი მეურნეობის მოწყობა. ღარიბ გლეხს შეუძლია იყოს და იგი უნდა იყოს კიდეც მოწინავე კოლმეურნედ და მოწინავე მწარმოებლად, ხოლო მოწინავეთა შორის ყველაზე მოწინავედ შეუძლია იყოს — და უნდა იყოს კიდეც — სოფლის კომუნისტი, რომელიც ჩვენ უნდა აღვზარდოთ და სათანადოთ ავამაღლოთ. სოფლის ორგანიზაციის ისეთნაირად შექმნა, რომ იგი ყოველმხრივი ბრძოლის უნარიანი იყოს — იდეურად და ორგანიზაციულად, — აი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა სოფლად მუშაობის: ვფიქრობ, რომ ც. კ-ი, რომელიც მუდამ ამას უტრიალებდა ყრილობის რეზოლიუციაში, სპეციალურად ამ ამოცანას დაისახავს და ოლქების რეორგანიზაცია ამ საქმეს შესამჩნევად უშველის. უამისოდ ჩვენ თავს ვერ გავართმევთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანას.

# III. პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოთა განმტკიცება და მუშათა კლასის შემაკავშირებელი როლის გაძლიერება

## კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მასების პოლიტიკური აქტივობის ორგანიზაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. იყო ცდები პარტიის გარეშე, რომ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულიყო კულაკური იდეოლოგია და ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასების იდეოლოგია. მემარჯვენე უკლონისტები სცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ნაკლთა შედეგს, ჩვენი პარტიის შემცდარი პოლიტიკის და მოქმედების შედეგს. ცხოვრებამ გაამტყუნა ეს შეხედულებანი და დაგვანახა, რომ პარტია მართალი იყო ჩვენს ქვეყანაში არსებული კლასობრივი ძალების დამოკიდებულებათა ანალიზის დროს და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზთა შეფასების დროს.

მთელი თავისი პოლიტიკური და ორგანიზაციული მოქმედებით პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე იდეოლოგია, თავისი დიქტატურის მთელი ძლიერებით მუშათა კლასმა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურა კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები, რომელნიც სცდილობდნენ საბჭოთა სახელმწიფოსათვის მახვილი ჩაეცათ (ტაში).

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ჩვენ ვმოქმედობდით არა მარტო რეპრესიებით, რომლებიც მიმართული იყო ჩვენი მტრების წინააღმდეგ. ჩვენ ვაძლიერებდით პროლეტარიატის დარაზმულობასა და შემაკავშირებელ როლს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. თუ კი კონტრრევოლიუციონერები პირველ რიგში სცდილობდნენ ემოქმედათ სახელმწიფო აპარატის საშუალებით საცა ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ ბლომადაა, სამაგიეროდ პარტიამ ამის საპასუხოდ დაიწყო გარდამწყვეტი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა იმისათვის, რომ დაუნდობლად ძირიან-ფესვიანად ამოეფხვრათ კულაკური და კაპიტალისტური ავან-ჩავანები, რომელნიც ჯერ კიდევ მოიძებნებიან სახელმწიფო აპარატში. სახელმწიფო აპარატის წმენდამ გამოამჟღავნა აპარატის ყველა მტკივნეული ადგილი და იმავე დროს ეს წმენდა მნიშვნელოვან ეტაპად გადაიქცა უვარგის და უცხო ელემენტთა მოკვეთის საქმეში, საბჭოთა მშენებლობაში მუშათა ფართო მასების ჩაბმის საქმეში. პროლეტარიატი და მასთან მიმავალი მშრომელთა მასები კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას უპასუხებდნენ თავიანთი პოლიტიკური აქტივობისა და შეკავშირების ზრდით. ყველაზე მკვეთრი გამოხატულება, პროლეტარიატის პოლიტიკური აქტივობისა არის საბჭოების საარჩევნო კამპანია. უკანასკნელ საარჩევნო კამპანიას, რომელიც შარშან ჩატარდა, ახასიათებდა ყველაზე უდიდესი აქტივობა დღიდან რევოლიუციისა. თუ 1927 წელს მონაწილეობას იღებდა მუშათა 71 პროც, სამაგიეროდ 1928 წელს ეს პროცენტი 81,5 პრ-მდე ავიდა. ამასთან სამრეწველო პროფკავშირები იძლევიან ყველაზე დიდ ზრდას —84,9 პროც. შესამჩნევად გაიზარდა ამომრჩეველთა აქტივობა სოფლადაც.

სოფლის ამომრჩეველთა მონაწილეობის ხარისხი 1927 წელს რესპუბლიკების მიხედვით ქანაობდა 40-დან 57 პროცენტამდე. 1929 წელს ეს პროცენტი გადიდდა 58,8—70,9-დე. ამომრჩეველთა საერთო პროცენტს სოფლად და ქალაქად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

| | 1929 წ. | 1927 წ. | ზრდა პროცენტებში |
|---|---|---|---|
| რუს. საბ. სოც. ფედ. რესპ. | 62,2 | 49,2 | 13 |
| უკრაინის საბჭ. სოც. რესპ. | 66,3 | 52,7 | 13,6 |
| ბელორუსიის საბ. სოც. რესპ. | 60 | 47,9 | 12,1 |
| ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. ფედ. რესპ. | 69,2 | 54,3 | 14,9 |
| თურქმენისტანის საბჭოთა სოც. ფედ. რესპ. | 70 | 41,5 | 28,5 |
| უზბეკისტანის საბჭ. სოც. რესპ. | 60,9 | 48,6 | 12,3 |
| საშუალოდ საბჭოთა კავშირში | 63,2 | 50,7 | 12,5 |

თუ კი ამ ცნობებს შევადარებთ ზემოთ მოყვანილ ციფრებთან განსაკუთრებით თვალში გვეცემა მუშა - ამომრჩეველთა აქტივობა ამომრჩეველთა სხვა კატეგორიებთან შედარებით.

მაგრამ საქმე მარტო ამომრჩეველთა რიცხობრივი ზრდა არაა, მთავარია აგრეთვე მათი თვისებრივი ამაღლება და პოლიტიკური აქტივობა. ამ მხრივ გარდამწყვეტ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პარტიის ლოზუნგმა პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლის შესახებ ცხოვრებაში ჰპოვა განხორციელება. ამ კამპანიაში განსაკუთრებით მკვეთრად ვხედავდით, თუ რა დრომული იყო ეს ლოზუნგი, თვითკრიტიკის ლოზუნგი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. თვითკრიტიკის შედეგად მთელ რიგ ცენტრალურ აპარატებში, მთელ რიგ ორგანიზაციებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში, განდევნილ გახრწნილ ადამიანთა ნაცვლად, ჩვენ დავაყენეთ დაწინაურებული მუშები. მუშათა მასების ამ პოლიტიკურ აქტივობას ჰრაზმავდა და იდეურად ჰხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია.

ჩვენი პარტიის მასიური აგიტაცია შემაკავშირებელ ფაქტორად შეიქმნა დიად ისტორიულ ამოცანათა შესრულების საქმეში. ამ აგიტაციამ, ბოლშევიკურად ჩამოქნილმა აგიტაციამ, უდიდესი პოლიტიკური და აღმზრდელობითი როლი ითამაშა მუშათა მასებში. ლენინი ამბობდა:

„ვიდრე საქმე შეეხებოდა (და რამდენადაც საქმე შეეხება) პროლეტარიატის ავანგარდის მიზიდვას კომუნიზმის მხარეზე, მანამდე და იმდენად პირველი ადგილი პროპაგანდას უჭირავს... როდესაც საქმე ეხება მასების პრაქტიკულ მოქმედებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მილიონიანი არმიების დაწყობას და განსაზღვრული საზოგადოების ყველა კლასობრივი ძალების განაწილებას უკანასკნელი და გარდამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად, აქ ვერაფერს გახდები მარტო პროპაგანდისტული ჩვევებით, მარტო „ხალასი“ კომუნიზმის ჭეშმარიტებათა გამეორებით. აქ ათასობით კი არაა თვლა, რასაც მიჩვეულია პატარა ჯგუფის წევრი პროპაგანდისტი, რომელსაც ჯერ კიდევ არ უხელმძღვანელია მასებისათვის,—აქ თვლა საჭიროა მილიონობით და ათი მილიონით“ (მე-7 ტ., 180 გვ.).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიის მთელი საგიტაციო მუშაობა, პარტიის მთელი მოქმედება მასების დარაზმვის საქმეში ითვლებოდა არა ათასობით, არა ასი ათასობით, არამედ მილიონობითა და ათი მილიონობით. აიღეთ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის დაპყრობის გამო გამართული დემონსტრაციები და სამაისო და ოქტომბრის რევოლიუციის დემონსტრაციები ამ ბოლო წლებში.

მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებიც მოიპოვება სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენ ამ დემონსტრაციებში ვხედავთ პროლეტარიატის შეგნების მკვეთრ გამოხატულებას, მის მტკიცე ნებისყოფას სოციალიზმისათვის ბრძოლისა და სოციალიზმის გამარჯვების მიმართ (ტაში).

უდიდეს ფაქტორს და ამავე დროს მასების კულტურულ-პოლიტიკური ზრდის მაჩვენებელს წარმოადგენს გაზეთების უდიდესი ზრდა. გაზეთების საერთო ცალობრივი ტირაჟი მთელ საბჭოთა კავშირში 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 7.062.000 ეკზემპლიარს, 1927 წლის 1 აგვისტოსათვის— 7.684.000 ეკზ., 1929 წლის 1 ივნისისათვის— 12.635.000 ეკზემ., 1929 წლის 1 ივნისიდან სრულიად განსაკუთრებული ზრდაა ტირაჟისა.

მაგალითად, 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის ცალობრივი ტირაჟი უკვე შეადგენდა 15—16 მილიონს. ამა წლის მარტისათვის ცალობრივი ტირაჟმა მიაღწია 21—22 მილიონს. და ეს მაშინ, როდესაც ქაღალდის მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა, რაც აფერხებს გაზეთების ტირაჟის ზრდას. ომამდე გაზეთების ტირაჟი 2,728.000-ს შეადგენდა. ამნაირად გაზეთების ტირაჟის ზრდა 7 ნახ.—8-ჯერ აღემატება ომის წინადროის დონეს.

ამ ციფრს უნდა დაემატოს ცნობები საფაბრიკო-საქარხნო და საბჭოთა და საკოლმეურნეო ნაბეჭდ გაზეთების შესახებ. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, მათი რიცხვი 1.000-ს უდრის, ხოლო საერთო ცალობრივი ტირაჟი 1.500,000-ს.

ამნაირად მთელი საბჭოთა კავშირის გაზეთების საერთო ტირაჟი 23—24 მილიონ ცალს შეადგენს, ე. ი., 1929 წლის ივნისის ტირაჟთან შედარებით, ზრდა 100 პროცენტს უდრის. ქაღალდის კრიზისი რომ არ იყოს, გაზეთის ტირაჟის ზრდა 30—40 პროცენტით მეტი იქნებოდა იმაზე, რაც ამჟამად არის.

ჩვენი პრესა დიდ ორგანიზატორულ როლს თამაშობს. იგი გაბედულად ამჟღავნებს ჩვენი მშენებლობის მტკივან ადგილებს. ც. კ-მა პრესის პირი მიაბრუნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტული ძირითადი ამოცანებისაკენ. ც. კ-მა მოიწვია გაზეთების საგანგებო თათბირი. გაზეთების ეს უდიდესი და არნახული ზრდა ახასიათებს მუშათა კლასის კულტურულ ზრდასა და მის პოლიტიკურ აქტივობას (ტაში).

უფრო მეტ ზრდას აქვს ადგილი ეროვნულს ბეჭდვითი სიტყვაში: მე-15 პარტყრილობისათვის სხვადასხვა ენაზე არსებობდა 130 ჟურნალი და 201 გაზეთი, მე-16 ყრილობისათვის არის 357 ჟურნალი და 349 გაზეთი სხვადასხვა ენაზე. აქედან მუშათა ნაციონალური გაზეთების ტირაჟი შვიდჯერ და მეტადაც გადიდდა: ეს ტირაჟი 67.000-დან 492.000-მდე ავიდა. გლეხთა გაზეთების ტირაჟი ორნახევარჯერ გადიდდა: 439,000-დან 1.106.000-მდე ავიდა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია გაზეთების ტირაჟის ზრდა უკრაინაში: „კომუნისტი“-ს ტირაჟი 28.000-დან 122.000-მდე ავიდა (პეტროვსკი: ეხლა უკვე 150,000-ია).

მრავალჯერ გადიდდა მუშკორთა არმია. უკრაინაში ითვლება 300.000-ზე მეტი მუშკორი, უზბეკისტანში — 9.000, დაღესტანში—1.000, თათართა რესპუბლიკაში —3.000.

მთელ ძველ რუსეთში გაზეთების ტირაჟი უდრიდა 2.700.000-ს. მარტო საბჭოთა უკრაინის გაზეთების ტირაჟი 4 ნახევარ მილიონს უდრის, ამასთან 90 პროც. უკრაინულ ენაზეა.

ნაციონალური გაზეთების ზრდა ცხადად ადასტურებს ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს.

1919 წელს ლენინმა თავის ანგარიშში მე-8 ყრილობაზე მოიყვანა საპროპაგანდო მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ გამომცემლობამ „კომუნისტ“-მა გამოუშვა 62 გამოცემა, ხოლო „პრავდა“-მ მთელი 1918 წლის განმავლობაში გამოუშვა 25 მილიონი ეგზემპლიარი (გამოტოვებულია).

მოგვყავს ცენტრალური გაზეთების ტირაჟის ზრდა:

„პრავდა“: 1928 წ.—619.000, 1929 წ.— 661.000 და 1930 წ.—846,000, 1930 წლის ივნისი—მილიონ ნახევარი.

„იზვესტია“ სათანადო წლებში: 426.000, 441.000, 710.000, 800.000.

„ზა ინდუსტრიალიზაციუ“: 21.000, 63.000, 125.000, 150.000.

„სოცზემლედელიე“: 1929 წ.—21.000, 1930 —69.000.

„ტრუდ“: 1928 წ.—82.000, 1929—105.000, 1930—167.000.

„რაბოჩაია გაზეტა“: 316.000, 315.000, 317.000, 417.000.

„კრასნაია ზვეზდა“: 40.000, 70.000, 105.000.

„კომსომოლსკაია პრავდა“: 167.000, 240.000, 320.000, 345.000.

ხოლო გლეხურ გაზეთის ტირაჟი 1.700,000 ცალს უდრის.

საგამომცემლო საქმე საგრძნობლად გაიზარდა. მასიურ ლიტერატურას ჩვენ ვუშვებთ მილიონიან ტირაჟებით. საგამომცემლო საქმის შემდგომი გაფართოების მიზნით, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა—სახელმწიფო გამომცემლობა გადაკეთებულ იქნას ტიპიურ გამომცემლობათა გაერთიანებად.

რადიოს ხაზით ჩვენ საგრძნობლად წინ წავედით, განსაკუთრებით დიდი პროგრამა გვაქვს მომავლისათვის. გვაქვს მიღწევა კინოს დარგშიც, მაგრამ აქ ჩვენ ჯერ კიდევ დიდათ ვართ ჩამორჩენილნი. შემდეგში ჩვენს მიზანს კინოს ხაზით წარმოადგენს კინო-მეურნეობა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა—შეიქმნას კინო-გაერთიანება, რათა ეს საქმე თავის სიმაღლეზე იქნას დაყენებული და რათა იგი მართლაც ძლიერ ფაქტორად გადაიქცეს მასების აღზრდის, პოლიტიკური აქტივობის გაძლიერების საქმეში. იგივე ითქმის რადიოზედაც.

გვაქვს თუ არა აქ დეფექტები? რასაკვირველია, გვაქვს კულტურის ხაზით, ლიტერატურის ხაზით, განსაკუთრებით ნაციონალურ რესპუბლიკებში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. უდიდესი სიფხიზლეა საჭირო ამ ფრონტზე.

აი მაგალითები ნაციონალური ბეჭდვითი სიტყვიდან.

თურქმენისტანის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურ ორგანოში მთარგმნელად მსახურობდა კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომელი, დამსჯელი რაზმების მონაწილე.

წერილი „პრავდა ვოსტოკა“-დან მან ასე გადათარგმნა: „პარტიას საჭიროდ მიაჩნდა კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება სოფლად. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა კულაკთან შერიგება“ (ხმები: „სამარცხვინოა! უმსგავსობაა“!).

აი მაგალითი „ფილოსოფიური“ ლიტერატურის დარგიდან. „პრავდა“-ში მოთავსებული იყო რეცენზია ბნელეთის მოციქულის ფილოსოფოსს ლოსევის შვიდი წიგნის შესახებ, მაგრამ ამ რეაქციონერ-შავრაზმელის უკანასკნელი წიგნი სახელწოდებით „მითის დიალექტიკა“, რომელიც მთავლიტის მიერ იქნა ნებადართული დასაბეჭდად, წარმოადგენს ჩვენი უთავხედესი კლასიური მტრის ყველაზე აშკარა პროპაგანდას (მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი მთავლიტის წყალობით დაიბეჭდა, მას სინათლე არ უნახავს).

მე მოვიყვან მხოლოდ ორიოდე პატარა ციტატას ამ სიბნელის მქადაგებლის ნაწარმოებიდან: (გამოტოვებულია) „მე ცოდვილს არ შემიძლია მივხვდე, რომ ამ მიწას შეუძლია მოძრაობა. დღემდე არაფრის გზით არ შემიძლია ჩემი თავი დავარწმუნო, რომ მიწა მოძრაობს და არავითარი ცა არ არსებობს“... „კატოლიციზმს, რომელსაც სურდა ეხსნა ცოცხალი რეალური მსოფლიო, სრული ლოღიკური უფლება ჰქონდა დაეწვა „ჟორდანო ბრუნო“... „დიალექტიური მატერიალიზმი არის უაღრესი უაზრობა“... „კოცონზე ადამიანების დაწვა უფრო ლამაზია, ვიდრე დახვრეტა, ისე, როგორც გოტიკა უახლეს ყაზარმებზე უფრო ლამაზია და კონკრეტული, ზარის რეკვა ავტომობილის—მოთქმაზე, პლატონიზმი—მატერიალიზმზე“.. „მხოლოდ ერთადერთი ბერი არ არის მეშჩანინი, მხოლოდ ბერს ესმის სწორად და საკმაოდ ღრმად სქესობრივი ცხოვრება, მხოლოდ მან ერთმა იცის ქალის სულის სიღრმე და სილამაზე“... „ამბობდნენ—მოდით ჩვენთან, ჩვენთან არის სრული რეალიზმი, ცოცხალი ცხოვრება, თქვენი ფანტაზიებისა და ოცნების ნაცვლადო. თურმე ეს სრული მოტყუება და სიყალბეა. არა, ბიძია, ვერ მოგვატყუებ. ბიძიას ჩემი ტყავის გაძრობა უნდოდა და არა ჩემი რეალისტად გახდომა. შენ, ბიძია—საბჭოთა კავშირო, „ავაზაკი ხარ“... „კომუნისტებს არ შეუძლიათ სიყვარული, რაკი ხელოვნება არის, მაშ არის გენიოსიც, რაკი გენიოსი არის, არის უთანასწორობაც, რაკი უთანასწორობაა, არის ექსპლოატაციაც“... „ზოგჯერ თქვენ პათოსით გაჰყვირით: სოციალიზმი შეიძლება ერთ ქვეყანაშიო, ნუ თუ არა გრძნობთ ამ დროს, რომ ვიღაც და რაღაცა ძალიან მაღლა გაჰკივის თქვენს სულში?“.

და ამას უშვებენ საბჭოთა ქვეყანაში! რას გვეუბნება ეს? იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაო სიფხიზლე არ არის. (ხმები: „ვინ უშვებს? სად გამოვიდა?“). ნება დართო მთავლიტმა (ხმები: „ვისი გამოცემაა?). გამოსცა თვით ავტორმა, მაგრამ საკითხი ხომ იმაშია, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოთა ქვეყანაში კერძო ავტორს პროლეტარული დიქტატურის ლაგამი უნდა ჰქონდეს ამოდებული, ხოლო აქ ლაგამი არ აღმოჩნდა. ძალიან სამწუხაროა, (ხმები: „სწორია“).

## მასების კულტურის ზრდა და მათი ჩაბმა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში

თქვენ იცით, თუ როგორ ბოროტად დასცინოდა ლენინი ფორმალურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ბურჟუაზიული დემოკრატია ბინას არ აძლევს მუშას და ეუბნება მას: ბარგი აიკრიფეო. ის ხალხს სტოვებს უვიცად და ეუბნება მას—მონაწილეობა მიიღე პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. ჩვენი პროლეტარული დემოკრატია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არამარტო ვაბამთ მუშას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენ ვამაღლებთ მის კულტურულ დონეს, და ამჟამად რეკონსტრუქციის პერიოდის პირობებში განსაკუთრებით მწვავე ხდება მასების კულტურული ამაღლების საკითხი. რომ მუშათა კლასმა შესძლოს თავისი დარაზმულობის რეალიზაცია, ის უნდა გაიზარდოს კულტურულად. კულტურულად უნდა გაიზარდონ ის ფართო მშრომელი მასები, რომლებსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს. სწორედ ამიტომაც პარტია, ისეთი ლოზუნგების გვერდით, როგორიცაა ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, აყენებს კულტურული რევოლიუციისა და მილიონების კულტურული ამაღლების ლოზუნგს, რომლის გაუტარებლადაც შეუძლებელია სოციალიზმისაკენ წინსვლა.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში?

წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭომ, იმ ანგარიშით, რომ წერა-კითხვის ლიკვიდაცია 3 წლის განმავლობაში მოახდინოს, 1929-30 სასწავლო წლისათვის დაამტკიცა ოპერატიული გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს 4 მილიონი კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ეს გეგმა გაადიდეს დაახლოვებით 10 მილიონამდე. ამასთან მუშაობის გაშლა დაიწყო სოცშეჯიბრებისა და კულტლაშქრობის მეთოდების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. თუ 1927-28 წელს წერა-კითხვა შევასწავლეთ 800.000 კაცს, ხოლო 1928-29 წელს—2 მილიონ უცოდინარს, 1929-30 წელს წერა-კითხვას შეისწავლის 10 ნახევარი მილიონი კაცი.

წერა-კითხვის მცოდნეობა იზრდება ნაციონალურ რესპუბლიკებში. აი ცნობები (წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 10 წლის ჰასაკიდან მთელი მოსახლეობის შემადგენლობაში):

| აღწერიდან: | 1926 წ. | 1929 წ. | 1930 წ. |
|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირში | 51,3 | 56,7 | 62,6 |
| რ. ს. ფ. ს. რ.-ში | 52,8 | 57,5 | 61,3 |
| უ. ს. ს. რ.-ში | 57,5 | 64 | 71,3 |
| ბელორუსიის ს. ს. რ. | 53,3 | 63 | 69 |
| ა. კ. ს. ფ. ს. რ.-ში | 37, | 46 | 52,1 |
| თურქმენისტ. ს. ს. რ. | 12,5 | 19,4 | 24,5 |
| უზბეკისტანის ს. ს. რ. | 99,9 | 14,2 | 19,4 |

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, წერა-კითხვის ცოდნის მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილნი არიან თურქმენისტანი და უზბეკისტანი. რაც უნდა საგრძნობი იყოს ამ ორი ჩამორჩენილი მოკავშირე რესპუბლიკის ზრდა (თურქმენისტანში წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი ორჯერ გაიზარდა, ასეთსავე ზრდას აქვს ადგილი უზბეკისტანში), ჩვენ უნდა მივიღოთ უაღრესად გადამჭრელი ზომები ამ რესპუბლიკებში წერა-კითხვის მცოდნეობის მაქსიმალური აწევისათვის. წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ ყველაზე უფრო მაღალ დონეზე დგას უკრაინის ს. ს. რ., შემდეგ—ბელორუსიის ს. ს. რ., მესამე ადგილი უჭირავს რ. ს. ფ. ს. რ. ამიერ-კავკასიას საშუალო ადგილი უჭირავს.

საყოველთაო სწავლამ მარტო პირველ კონცენტრში (4 წლედები) 1930-31 წელს მოიცვა დაახლოვებით 14.500.000 ბავშვი, მთელ კავშირში. ეს ომის წინადროინდელ ციფრს ორჯერ აღემატება. 1919-30 წელთან შედარებით ზრდა უდრის თითქმის 3 მილიონს, ანუ 24 პროცენტს. თვითგანათლების ქსელი, ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებების ცნობებით ვრცელდება დაახლოვებით 3 მილიონ კაცზე. განსაკუთრებით გაიზარდა მუშების მისწრაფება პოლიტეხნიკური განათლების მოსაღებად. ყველაფერი ეს მოწმობს მუშების უდიდეს ლტოლვას სწავლებისადმი.

რამდენიმე სიტყვა პროფკავშირების კულტურულ მუშაობაზე და მის დეფექტებზე. მუშათა კლასის კულტურული დონე იზრდება. მაგრამ რას ვხედავთ პროფკავშირების მხრივ? ფაქტები ლაპარაკობენ პროფკავშირების კულტურული მუშაობის ჩამორჩენაზე.

ყველა პროფკავშირების კულტურული ბიუჯეტი საკმაოდ დიდია. 1928 წელს იგი უდრიდა 135 მილ. მანეთს, 1930 წელს უკვე შეადგენს 225 მილ. მანეთს. მაგრამ როგორ ნაწილდება ეს ბიუჯეტი? საწარმოო განათლებაზე მოდის 632.000 მანეთი, ხოლო ფიზკულტურაზე—16 მილ. მანეთი. ამას ეწოდება „პირით წარმოებისაკენ“—16 მილ. ფიზკულტურაზე და 632.000 მან. განათლებაზე! კინოსა, წარმოდგენებსა და კონცერტებზე იხარჯება 42 მილ. მანეთი, ხოლო წერა-კითხვის ლიკვიდაციაზე—1.500.000 მანეთი (დარბაზში მოძრაობაა).

ასე აშენებდა ძველი ხელმძღვანელობა თავის მუშაობას „პირით წარმოებისაკენ“, „პირით მასებისაკენ“. და ამას ეწოდება მუშათა ინტერესების დაცვა.

ასეთ პოლიტიკას არ შეეძლო არ გამოეწვია ის, რომ კლუბებში ყველაფერს აკეთებენ, გარდა მუშათა კლასის აღზრდისა, გარდა მისი კულტურული დონის ამაღლებისა. ამჟამად ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები და გარდატეხა კლუბების მუშაობაში, გაუმჯობესება მათ მუშაობაში. მაგრამ დღემდე პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კლუბების მუშაობას ფაბრიკებსა და ქარხნებში.

სოფლად ჩვენ გვაქვს: 1927 წელს ბიუჯეტზე იყო 9 მილიონი ქოხ-სამკითხველო, ახლა არის—12 მილიონი. მაგრამ, ამხანაგებო, ეს ქოხ-სამკითხველოები ძალიან მოიკოჭლებენ.

ქოხ-სამკითხველო უნდა იყოს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის და მისი კულტურული დონის ამაღლების კულტურული ცენტრი. საჭიროა გავაუმჯობესოთ ქოხ-სამკითხველოთა ხელმძღვანელების მატერიალური მდგომარეობა და ავსწიოთ მათი კულტურული დონე. სოფლის ლტოლვა კულტურისადმი ამჟამად ხომ დიდია.

საკოლმეურნეო მოძრაობამ სავსებით შეცვალა კულტურული მუშაობის მეთოდები სოფლად. აქეთ უნდა მივმართოთ სოფლის ორგანიზაციების ყურადღება.

მასების კულტურული დონის და მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდის შედეგად გაუმჯობესდა ჩვენი საბჭოთა აპარატი. ამჟამად ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ახალი ფორმა, სახელდობრ—საწარმოთა შეფობა საბჭოთა დაწესებულებებზე. მე ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს შეფობა წარმოადგენს სახელმწ. აპარატის წმენდის პირდაპირ შედეგს, წმენდის, რომელიც ჩაატარა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ. დაიწყეს მუშების ჩაბმა სახაპარატის წმენდაში, ხოლო ეს საქმე გაიშალა სახაპარატში მუშების მონაწილეობის ახალ წარმტაც ფორმად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ვაფართოვებთ ლენინის იმ ლოზუნგის ბაზას, რომელიც შეეხება სახელმწიფო მართვა-გამგეობის შეფარდებას წარმოებაში მუშაობასთან. ზოგიერთმა ქარხანამ გამოჰყო მუშა - ამსრულებლები 6—12 თვით. ეს მუშა-ამსრულებლები არ მოსწყდებიან ქარხანას, წავლენ დაწესებულებებში და იქ იმუშავებენ, დაკავშირებულნი იქნებიან საწარმოსთან, ხოლო შემდეგ უკან დაბრუნდებიან ქარხანაში და მათ ნაცვლად სხვებს გაგზავნიან. როგორც ხედავთ, ჩნდებიან სახაპარატის განახლების ახალი ფორმები. ეს ნამდვილად ახალი ძალაა, რომელმაც უნდა გარდაქმნას აპარატი, აღმოფხვრას ბიუროკრატიზმი, საბჭოების მასიური მუშაობის გაუმჯობესებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმის წარმატებას.

რა შედეგები გვაქვს აპარატში მუშათა დაწინაურების საქმეში? პარტია ყოველთვის მოუთითებდა ამ ამოცანის სერიოზულობაზე, მაგრამ ბიუროკრატიზმი და უმოძრაობა აქ ჯერ კიდევ დიდია. აი მაგალითები: საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატს 1924 წელს ჰყავდა 2 დაწინაურებული, ხოლო შემდგომ წლებში კი 1929 წლამდე—არც ერთი. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს 1924 წელს ჰყავდა 7 დაწინაურებული, შემდეგ წლებში კი—არც ერთი. შრომის კომისარიატს 1924 წელს ჰყავდა 11 დაწინაურებული და შემდეგ—არც ერთი. საბჭოთა რუსეთის ფინანსთა კომისარიატს 1924 წელს ჰყავდა 6 დაწინაურებული, ხოლო შემდგომ წლებში 1929 წლამდე—არც ერთი. ამასვე ვხედავთ მრეწველობის ორგანოებში, რომელნიც თითქო ყველაზე უფრო ახლოს უნდა იყვნენ მუშებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებთან.

„გლავმაშტრესტი“-ში 106 პასუხისმგებელ მუშაკზე მოდიოდა სულ ორი დაწინაურებული მუშა. „გომზა“-ში 95 კაცზე იყო სულ ორი დაწინაურებული მუშა, ზოგიერთ სამეურნეო ორგანოში კი არ იყო არც ერთი დაწინაურებული მუშა. პროფკავშირებშიაც კი ჩვენ დაწინაურებულთა უმნიშვნელო რაოდენობა გვყავდა. მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიშალა სერიოზულად დაწინაურება.

დაწინაურების ტალღის გაშლა დაიწყო დაახლოვებით 1929 წლის ნახევარში. 1930 წელს გვაქვს მნიშვნელოვანი გარდატეხა დაწინაურების ტალღის მიმართულებაში. ასე, მაგალითად, 1929 წლის გაზაფხულიდან 1930 წლის მარტამდე, ამ თვის ჩათვლით, მოსკოვის ოლქის პროფკავშირებმა დააწინაურეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო

29 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშის ირგვლივ.

ამხ. **კოლოტილოვი** (ივანოვ-ვოზნესენსკი), **ჟდანოვი** (ნიჟნი-ნოვგოროდი), **გეი** (ბელორუსია), მთელი რიგი მაგალითებით ასურათებენ ცენტრალური კომიტეტის ხაზის სისწორეს. მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ლენინურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო სოციალისტური შეტევის წარმატება მთელ ფრონტზე.

— ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით — ამბობს ამხ. **ჟდანოვი**, — ცენტრალურმა კომიტეტმა გაამდიდრა ლენინის მემკვიდრეობა იმით, რომ მოგვცა გაშლილი სოციალისტური შეტევის თეორია და ტაქტიკა. პარტია უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს რუსეთის კაპიტალიზმთან. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ულმობელობას, სიფხიზლესა და შეურიგებლობას გადახრების მიმართ. ამხ. უგლანოვის მონანიება იაფფასიანი საქმეა. ეს არის არა პოლიტიკური მოღვაწის სიტყვა, არამედ ბავშური ტიტინი. მემარჯვენეებმა მხოლოდ იმიტომ ვერ შექმნეს ჩამოყალიბებული ფრაქცია, რომ პარტიამ დროზე შემოარტყა მათ ალყა და დასცხო. თუ კი შეიძლება ლაპარაკი რაიმე დეგრადაციაზე ჩვენს ქვეყანაში, ეს არის მხოლოდ მემარჯვენე უკლონის დეგრადაცია.

გეი ადარებს პარტიის მე-15 და მე-16 ყრილობებს და ამბობს, რომ თუ კი მე-16 ყრილობამ ჯამი გაუკეთა ზინოვიევ-ტროცკისტულ ოპოზიციას, სამაგიეროდ მე-16 ყრილობა ჯამს უკეთებს მემარჯვენე გადახრას ჩვენს პარტიაში. მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებს არ გააჩნიათ რაიმე რეალური თანაგრძნობა და მხარის დაჭერა: ჩატარებულმა პარტიულმა კონფერენციებმა ერთსულოვნად და მკაცრად დაჰგმეს მემარჯვენენი, ხოლო ისინი, ვისაც შეეძლო მათი მხარის დაჭერა კომინტერნში (ბრანდლერი, ტალგეიმერი და ილიკი) უკვე კომუნისტურ რიგებს გარეშე სდგანან.

## ამხ. ტომსკის სიტყვა

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. ტომსკი.

„ბოლშევიკების ღირსებისთვის შეუფერებელი იქნებოდა,—ამბობს ამხ. ტომსკი,—ხანგრძლივი პერიოდის ბრძოლის შემდეგ გამოხვიდე და შეეცადო გაამართლო ეს ბრძოლა და შენი პოზიციები ამ ბრძოლაში. პარტიას უფლება აქვს მოითხოვოს ამ ბრძოლის შეჯამება და კითხვის დასმა: ვინ იყო მართალი? პარტიას აგრეთვე უფლება აქვს იკითხოს; დამთავრდა თუ არა ბრძოლა მის წინააღმდეგ? ამ კითხვაზე, თუ ვინაა მართალი, პასუხი გაცემულია მთელი მსოფლიოს წინაშე ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული მიღწევებით. თავიდან ბოლომდე მართალი გამოდგა პარტია და მტყუანი ჩვენ გამოვდექით“.

შემდეგ ამხ. ტომსკი ჩერდება პარტიის წინააღმდეგ თავისი ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებზე.

„ჩვენ—ამბობს იგი,—მიზნად არ ვისახავდით ფრაქციის შექმნას. ფრაქციის მავნებლობა საკმაოდ მკვეთრად დაგვანახვეს ტროცკისტებმა და ზინოვიევლებმა. ჩვენ ვცდილობდით ლოიალურად დარჩენას და პარტიულობის ჩარჩოების დაურღვევლობას. ნამდვილად კი პარტიასა და მის ხელმძღვანელობასთან ბრძოლის ლოღიკა ამას იწვევდა და ახლაც იწვევს—ჩვენ ვარღვევდით ამ ჩარჩოებს. ჩვენს გამახვილებულ ლოზუნგებს ხელს სჭიდებდნენ პარტიის მტრები ჩვენი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობდით მარტოხელა ან და სამი კაცის ბრძოლას. ყოველგვარ ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, საქმე უეჭველად ეხება უმრავლესობის დაპყრობას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ფორმებს ღებულობს ბრძოლა: ცენტრალური კომიტეტის ტრიბუნად გამოყენებას თუ პარტიულ კრებებზე გამოსვლას და სხვ. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მოვიხსნათ პასუხისმგებლობა ჩვენი მიმდევრების ყოფაქცევისათვის.

ამხ. ტომსკი ეხება თავის პირად შეცდომებს და აცხადებს, რომ იგი არ აპირებს გაამართლოს ეს შეცდომები ან შეარბილოს ისინი. მაგრამ, ამხ. ტომსკი გვერდს უვლის უთანხმოებათა რაობას და ჩქმალავს ფრაქციულობის საკითხს. იგი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს თავის შეცდომებს საშუალო გლეხის მიმართ. ამ შეცდომებს იგი შემდეგნაირად ხსნის: მე ვფიქრობდი, რომ ამ მძიმე პერიოდში და იმ დაბკოლებებში, რომლებიც პურის დამზადების დროს წარმოიშვენ პარტიის წინაშე, იდგა საკითხი სოფლად შექმნილი გამწვავების შერბილებისა საშუალო გლეხის მიმართ დათმობით, რაც არსებითად ნიშნავდა, და არც შეიძლება სხვა ყოფილიყო, თუ არა დათმობა ინდივიდუალურ მეურნეობისადმი, დათმობა მისთვის საქონლის ბრუნვის განვითარების გზებზე.

ტომსკის ეს ფორმულიროვკა იწვევს ხმაურობას ადგილებზე და ხმებს: „სთქვით კულაკის შესახებ“. ეს კითხვა ტომსკიმ უპასუხოდ დასტოვა. ის გაკვრით შეეხო მეორე თავის უდიდეს შეცდომას. „რეკონსტრუქციის არასაკმარისად შეფასებაში—ამბობს ის—ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ტეხნიკურ პროცესს და სრულიადაც არ გვესმოდა მისი ღრმა სოციალური აზრი და ის, რომ რეკონსტრუქცია ნიშნავს ქვეყნის გარდაქმნას აგრარულიდან, წვრილი ბურჟუაზიული სტიქიის და სოფლის წვრილი მეურნეობის ქვეყნიდან ინდუსტრიალურ, სოციალისტურ ქვეყნად, მსხვილი კოლექტიური სოციალისტური მიწადმოქმედების ქვეყნად.

აქედან გამოყავს ამხ. ტომსკის მემარჯვენეთა პლატფორმის მთელი რიგი არასწორი დებულებანი და, კერძოდ, თავისი ხაზი პროფმოძრაობაში, პროფკავშირების პარტიისადმი დაპირისპირება და ამის შედეგად სრულიად დაუშვებელი მიტოვება მის მიერ სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის.

ამან—ამბობს იგი—დემორალიზაცია შეიტანა მთელ რიგ პროფმუშაკებში და გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის ერთად-ერთი სწორი შექმნილ პირობებში გადაწყვეტილება პროფმოძრაობის ოპორტუნისტული ზედაფენის მოხსნის შესახებ (ხმა ადგილიდან: „სთქვი რამე ბუხარინის შესახებ“).

ამხ. **ტომსკი**: მე ყრუ ვარ. რეპლიკებს პასუხს არ გავცემ.

რა შედეგები მოჰყვა ამ ბრძოლას პარტიასთან? პარტიის ყურადღება თვალსაჩინოთ ჩამოშორდა პრაქტიკულ მშენებლობას სოციალისტური მშენებლობისათვის. ეს ბრძოლა გამოიწვევდა აგრეთვე საშიშარ გამოხმაურებას პარტიის მტრების ბანაკში, მწვავე ფორმულებსა და დაუკვირვებლად წამოსროლილ ფრაზებს იმეორებდა და იყენებდა მესამე ძალა. თავისი შეცდომების ფესვს ამხ. ტომსკი ხედავს იმის ვერ გაგებაში, რომ პარტია უკვე დიდი ხანია გადაიქცა უდიდეს საერთაშორისო ფაქტორად. პარტიას შემოსცქერის მრავალი ათეული მილიონი მშრომელი, როგორც თავის საერთოდ აღიარებულ ბელადს, როგორც რაღაც მისაბაძს.

პარტია, ასე ვთქვათ, შუშის ქვეშ მყავთ ფართო მასებს. ასეთ ვითარებაში კერძო საზოგადოდ იქცევა, პირადი საზოგადოებრივად, ყოველ ბრძოლაში აუცილებელი პირადი გამოსვლები იქცეოდნენ პარტიის მტრებისათვის პოლიტიკურად სასიხარულო მოვლენებად. ყოველგვარი ოპოზიცია პარტიული ხაზის წინააღმდეგ აუცილებლად იქცეოდა და იქცევა პარტიის და, მაშასადამე, საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლად.

ამხ. ტომსკი სავსებით სწორად სთვლის ამხ. სტალინის მტკიცებას, რომ „სამის განცხადება“ ბოლოს არ უღებს მემარჯვენე საფრთხეს. მათი იდეური ავლა-დიდება რჩება და შეიძლება მომავალშიაც გამოდგეს მემარჯვენე განწყობილებათა წყაროდ. მემარჯვენე საფრთხე პარტიის მთავარი საფრთხეა. მის წინააღმდეგ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა.

დასასრულ ამხ. ტომსკი აცხადებს, რომ იგი გადაჭრით ჰგმობს მის სახელთან დაკავშირებულ დაჯგუფებებს ისევე, როგორც ყოველგვარ ბრძოლას ცენტრალურ კომიტეტთან. მე ზინოვიევთან ერთად ვეუბნებოდი ტროცკის განსაზღვრულ მომენტში: „ქედი მოიხარე პარტიის წინაშე“-თქო. შემდეგ ამასვე ვეუბნებოდი ამხ. ზინოვიევს—აცხადებს ამხ. ტომსკი. მე არა ერთხელ შევმცდარვარ. მაგრამ ოდნავაც არ მრცხვენია ქედი მოვიხარო პარტიის წინაშე. მე შევძლებ შევასრულო კომუნისტის როლი.

## ამხ. რიკოვის სიტყვა

ამხ. ტომსკის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. რიკოვი. რეპლიკები და შეკითხვები ადგილებიდან ამხ. რიკოვის სიტყვის დასაწყისშივე მოწმობენ, რომ ამხ ტომსკის გამოსვლით გაფრთხილებული დელეგატები მოითხოვენ ამხ. რიკოვისაგან, რომ მან გარკვევით, ამომწურავად დაჰგმოს თავისი მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომები.

ამხ. რიკოვი იმიჯნება ამხ. უგლანოვისაგან, რომელიც ლაპარაკობდა მრავლობითი რიცხვით — „ჩვენ“. ამხ. რიკოვი აცხადებს, რომ ამხ. უგლანოვთან მას უკანასკნელ დროს არავითარი დამოკიდებულება, გარდა ისეთი დამოკიდებულებისა, რაც დაკავშირებული იყო ამხ. უგლანოვის, როგორც შრომის სახალხო კომისრის, მუშაობასთან, არ ჰქონია და არა აქვს.

— პარტორგანიზაციის რეზოლიუციები და დელეგატების მკაცრი გამოსვლა აქ ყრილობაზე — ამბობს ამხ. რიკოვი — მოწმობენ, რომ ყრილობას ეჭვი შეაქვს ჩვენს გულწრფელობაში და არ სჯერა, რომ ჩვენ ბოლომდე დავყარეთ იარაღი. ჩემგან მოითხოვენ აქტიურ ბრძოლას ჩემს გუშინდელ თანამოაზრეებთან. მაგრამ მე არ მესმის ეს მოთხოვნა. როგორ შემიძლია მე ვებრძოლო ამხ. ბუხარინს ან ტომსკის, თუ ჩვენ ერთად სჩადიოდით შეცდომებს? მაგრამ, მითხარით, რა აქვს ეხლა შემცდარი ამხ. ბუხარინს? — კითხულობს ამხ. რიკოვი. ჩვენ ხომ ერთად უარვყავით შეცდომები. ჩემი შეცდომებისათვის თითონ მე ვაგებ პასუხს.

მე ვაღიარებ, რომ ის პოზიცია, რომელიც მე მეჭირა, აძლიერებდა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობას სოციალისტური შეტევის მიმართ. არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარედაც ჩვენი მტრები და რენეგატები, როგორც არიან, მაგალითად, ლოვსტონი და სხვები, ფართოდ იყენებდნენ ჩემს და ამხ. ბუხარინის გამოსვლებს მტრული გამოსვლებისათვის პარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ხმა: „მამაევიც“). მარტო მამაევი არ არის. არის იმაზე უარესი, მიუგო ამხ. რიკოვმა. ჩვენი პოზიცია ფართოდ გამოიყენეს მეშჩანურმა, კონტრრევოლიუციონურმა, გახრწნილმა ელემენტებმა. როგორ უნდა ვებრძოლოთ მემარჯვენე საფრთხეს? უნდა მივმართოთ დაუნდობელ რეპრესიებს აშკარად მტრულად განწყობილი მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ და ამავე დროს მივაღწიოთ შემჭიდროებას და მთლიანობას პარტიის რიგებში.

რეპლიკა ადგილიდან: „გვითხარით მემარჯვენე გადახრის კულაკურ საფუძვლის შესახებ, სად მიგვიყვანდა თქვენი პოლიტიკის გამარჯვება?“

ამხ. რიკოვმა არ უპასუხა, მხოლოდ აღნიშნა: ძირითადი მისი შეცდომა ც. კ-თან ბრძოლა მდგომარეობდა იმაში, რომ მან არ შეაფასა ის შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებისა და სოფლის-წვრილბურჟუაზიული წყობის ლიკვიდაციის საქმეში, რომლებიც გაჩნდნენ უთანხმოების წარმოშობის შემდეგ ეს იყო გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობის უდიდესი შეცდომა. აქედან გამომდინარეობდნენ მთელი რიგი სხვა შეცდომები — ზედმეტად შეფასება ინდივიდუალური მეურნეობის როლისა, საბაზრო ურთიერთობის მნიშვნელობისა და სხვ. ეს იყო შეცდომა მთელი გარდამავალი პერიოდის მთავარ საკითხში. მთელ ჩვენს დავაში ც. კ-თან და პარტიასთან სავსებით და მთლიანად მართალი გამოდგა პარტია. პარტიამ გადასჭრა გარდამავალი პერიოდის უკანასკნელი გადამწყვეტი საკითხი. საჭირო იყო პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების შემჭიდროება და დაჭიმვა. ამ საქმეში ჩვენ დავადექით ისეთ პოზიციას, რომელიც ხელს უწყობდა მტრულ კლასობრივ ძალთა მობილიზაციას. ეს იყო უდიდესი შეცდომა. ჩვენი არა სწორი გეზიდან გამომდინარეობდა მთელი რიგი მეორეხარისხოვანი შეცდომებიც.

ამხ. რიკოვი სთვლის, რომ ყველა ამ საკითხების ლიკვიდაცია ხდება იმის აღიარებით, რომ ძირითადი პრინციპიალური გეზი სწორი არ იყო. ეხლა, როცა მივაღწიეთ პირველ წარმატებებს, საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია შემდგომი გაბედული წინსვლისაგან. საჭიროა უაღრესად შეურიგებელი ბრძოლა იმათთან, ვისაც ეს არ ესმის.

ჩვენი წარსული გამოსვლებით, — ამბობს შემდეგ რიკოვი, — ისარგებლეს მამაევებმა და მსგავსმა ელემენტებმა პარტიის გენერალურ ხაზზე იერიში მისატანად ყრილობის წინ. პარტიამ ორივე დასცხოს მათ უფრო ძლიერად, ვიდრე მე დამცხო, ვინაიდან ჩემი გამოსვლის შემდეგ განვლო 7 თვემ, როცა აღინიშნა პარტიის გადამწყვეტი მიღწევები სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. არ შეიძლება იმის არ გაგება, რომ ეხლა ცდა, მიმართული სოციალისტური შეტევის შეჩერებისაკენ, ნიშნავს გადაჭრილ წინააღმდეგობის გამოწვევას არა მარტო პარტიისა და მუშათა კლასის მხრივ, არამედ გლეხობის მილიონიანი მასების მხრივაც, რომელნიც გადაჭრით დაადგნენ კოლექტივიზაციის გზას.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ შინაპარტიულ რეჟიმზე. ჩვენ პარტიაში რეჟიმს თავს ესხმიან ისეთები, რომელთაც განსაზღვრული პოლიტიკური მიზნები აქვთ დასახული. პარტიამ გადამჭრელ წარმატებებს მიაღწია უაღრესად ძნელ პირობებში. კულაკის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა, ნათესის დანაკლისი კულაკურ მეურნეობებში გადაჭარბებულ იქნა კოლმეურნეობების ნათესით, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობანი არ არის გამოყენებული. ის სიძნელეები, რომელთა გადალახვაც ჩვენ გვიხდება, გარდამავალი პერიოდის აუცილებელი სიძნელეებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობის ძირითად რეკონსტრუქციასთან. სიძნელეებთან ბრძოლაში ტემპების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სიძნელეების დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომლითაც პარტია მიდის.

ამხანაგები აყენებდნენ საკითხს ტროცკიზმთან კავშირის შესახებ. მე ყოველთვის ვიყავი და ვარ ტროცკიზმის შეურიგებელი მტერი (ხმები: რით არის ეს დამტკიცებული?) როდესაც მე თავის დროზე გავიგე ბუხარინის ყველასათვის ცნობილი მოლაპარაკების შესახებ, მე დავგმე ეს მოლაპარაკება მეტისმეტი სიმკაცრით. ტროცკის ახლანდელ პოზიციაში საჭიროა აღინიშნოს ორი მეტად საყურადღებო მომენტი. ის ილაშქრებს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ლოზუნგის წინააღმდეგ, თუმცა ეს ლოზუნგი წამოყენებულია მასების მიერ და განსაკუთრებულად პოპულიარულია მათ შორის. ამავე დროს ტროცკი ილაშქრებს მთლიანი კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. იგი უარყოფს სოფლის მეურნეობის ჩვენი მუშათა კლასის ძალების (ხმები: „სთქვით ინდუსტრიალიზაციის“) საშუალებით სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობას. „სამრეწველო მშენებლობაში, ამბობს — ამხ. რიკოვი, — მე ყოველთვის ვისწრაფოდი მაქსიმალურ პროგრამისაკენ (ხმაურობა, რეპლიკები ადგილიდან: „ვინ დაგიჯერებს თქვენ. ორ-წლედში რა შეცდომას ხედავთ“) „მე არ დამიპირისპირებია ორწლედი ხუთწლიანი გეგმისათვის,— უპასუხებს ამაზე ამხ. რიკოვი. მე წამოვაყენა ორწლედი სოფლის მეურნეობის აღორძინების ინტერესით. მაგრამ მე ვერ გავითვალისწინე ის, რომ შესაძლებელი იქნებოდა ორწლედის დაპირისპირება ხუთწლიან გეგმისათვის. შესაძლებელია, რომ აქ შეცდომა იყო დაშვებული.

ამხ. რიკოვი შემდეგ თავის სიტყვაში ჩერდება პროფკავშირთა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებზე, რომელმაც ვერ შეამჩნია და ვერ შესძლო ორგანიზაციულად გასწვდომოდა მუშათა კლასის უდიდეს შრომითი აღტკინებას. პროფკავშირთა ძველმა ხელმძღვანელობამ გვერდი აუქცია სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას. ც. კ-ისა და პარტიის უდიდეს დამსახურებად ჩაითვლება ის, რომ მათ მიაღწიეს არაჩვეულებრივი შრომითი ენტუზიაზმის გამოწვევას მუშათა მასებში და შესძლეს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა-გაფართოება. პარტია მართალი იყო, როცა ჩვენს პოზიციას აფასებდა, როგორც წვრილბურჟუაზიული წინააღმდეგობისათვის მხარის დაჭერას სოციალისტური შეტევის წინააღმდეგ (ხმა: „უფრო მტკიცედ, უფრო მტკიცედ“). ჩემი სახელი სათამაშოდ გაიხადეს მტრულად განწყობილმა კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა (რეპლიკა: „რატომ სდუმდით თქვენ?“). პერსონალურად თავის თავზე ლაპარაკს მე გავურბოდი, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ჩემი პირადი საკითხი ამოწურულია ჩემს განცხადებაში შემცდარი პოზიციის შესახებ, მაგრამ ახლა მე ვხედავ, რომ ვცდებოდი.

ამხანაგებო! მე შევეცადე მეთქვა ის ძირითადი, რის ირგვლივაც მიმდინარეობდა ჩემი უთანხმოებანი პარტიასთან (ხმები: „მთავარი არ გითქვამს“).

„არ ვიხსნი თავიდან პასუხისმგებლობას,— ამბობს ამხ. რიკოვი,—იმისათვის რომ ვიბრძოდი პარტიის გენერალური ხაზის და მისი ც. კ.-ის წინააღმდეგ. ჩემ დანაშაულს ამძიმებს ჩემი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და პარტიაში. ამან საშუალება მისცა მტრულ ელემენტებს—გამოეყენებიათ ჩემი პოზიცია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ამხ. რიკოვი თავისი სიტყვის ბოლოში აცხადებს რომ იგი მზად არის შეასრულოს ყველაფერი, რასაც მისგან მოითხოვს პარტია მის მიერ ჩადენილი მძიმე შეცდომების გამოსასწორებლად.

---

კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო გრძელდებოდა 30 ივნისის დილის სხდომაზე. სიტყვით გამოვიდა ამხ. კიროვი.

## ამხ. კიროვის სიტყვა

### (ლენინგრადი)

ჩვენ მოვისმინეთ —სთქვა ამხ. კიროვმა ვრცელი სიტყვები ამხანაგების, რომლებიც მეთაურობდნენ მემარჯვენე ოპოზიციას. ეს ამხანაგები ხან მხიარული, ხან მრისხანე კილოთი, ხან ისეთი ტონით, რომელიც ბიბლიურ პათოსს აღწევდა, გვაცნობდნენ თავიანთ თვალსაზრის სოციალისტური მუშაობის შესახებ ახლანდელ ეტაპზე.

ამხ. ტომსკიმ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ის გამოდის, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ესმის თავისი გამოსვლის მთელი პასუხისმგებლობა. მაგრამ ყველაფერი ის, რასაც ამბობდა იგი, დიდათ არის გამსჭვალული პოლიტიკური ობივატელობის სულით. ჩვენ საკმაოდ დიდხანს გვიამბობდნენ თავიანთი შეცდომების შესახებ, ისმოდა მონანიების ნოტები, მაგრამ არ თქმულა ყველაზე მთავარი, ყველაზე ძირითადი. ამხ. ტომსკისა და რიკოვს უნდა ეთქვათ ის, რაც კარგა ხანია სთქვეს უკვე ჩვენმა პარტიამ და ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა. მათ უნდა ეთქვათ, რომ მე-15 პარტყრილობიდან განსაზღვრული დროის შემდეგ ჩვენ პარტიაში თავი იჩინა ორმა პრინციპიალურად სხვადასხვა ხაზმა. ლაპარაკი საჭირო იყო ამის შესახებ. ეს არის მთავარი, ეს არის გადამწყვეტი, პარტიის გენერალური ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვილებთ კურსს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. ამ ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ჩვენ ვიწყებთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას განსაზოგადოების საფუძველზე, კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამასთან ერთად პარტიამ თავის წინაშე დასვა ამოცანა—ხელი შეუწყოს კომუნისტურ ინტერნაციონალის ძმური კომპარტიების ბოლშევიზაციის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში.

ამხ. კიროვი მიუთითებს, რომ მემარჯვენეებმა წამოაყენეს თავისი საკუთარი პროგრამა, რომელიც პრინციპიალურად განსხვავდება პარტიის გენერალური ხაზისაგან. მემარჯვენეები სრულიად აშკარად და გადაჭრით გამოვიდნენ პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციის დარგში აღებულ ტემპების წინააღმდეგ. მემარჯვენეებმა კურსი აიღეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაზე. მემარჯვენეები გადაჭრით გამოვიდნენ ყველა იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებსაც პარტია ანხორციელებს სოფლად. მემარჯვენეები დაადგნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლიბერალურად გაგების და სავაჭრო ურთიერთობის პროლეტარულ სახელმწიფოებრივ მოწესრიგებაზე უარის თქმის გზას. მემარჯვენეები გამოვიდნენ პარტიული მუშაობის გარდაქმნის წინააღმდეგ, პარტიის ყველა მამოძრავებელი რგოლების გარდაქმნის წინააღმდეგ. დაბოლოს, მემარჯვენეები გამოვიდნენ უცხოეთის კომუნისტური პარტიების ბოლშევიზაციის წინააღმდეგ.

ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაზე და კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაშლაზე კურსის აღებით მემარჯვენეები აუცილებლობით დაექანენ ჩვენს ქვეყანაში კულაკური ინტერესების დაცვისაკენ. თავის შეხედულებათა ჩამოყალიბების შემდეგ მემარჯვენე ოპოზიციამ მიზნად დაისახა ხელმძღვანელი როლის მოპოება ჩვენს პარტიაში და პარტიული ხელმძღვანელობის სათავეში ჩადგომა. ვინ არ იცის, ვის არ ახსოვს, თუ რა იერიშები იქმა მიტანილი ჩვენი პარტიის პოლიტიკაზე და პარტიის ცეკას გენერალურ მდივანზე—ამხ. სტალინზე. თუ რა მოხდებოდა, რომ გამართლებულიყო მემარჯვენეთა იმედები და რომ მემარჯვენეებს მოეხერხებიათ პარტიის ხელმძღვანელობის ჩაგდება ხელში, ამის თქმა არ არის ძნელი: გლეხური მეურნეობის განვითარება ინდივიდუალური გზით, რაც უეჭველად ნიშნავს კულაკური მეურნეობის განვითარებას.

პარტიის თითეული წევრისათვის ახლა ნათელია, რომ მემარჯვენეთა შეხედულებების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში გამოიწვევდა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის შეზღუდვას. პარტია ამაზე არ წავიდა. პარტიამ მტკიცე კურსი აიღო თავის ლოზუნგების განხორციელებაზე და შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ახლა მემარჯვენე ოპოზიციის ბელადები საკმაოდ მორცხვად გამოიყურებიან. თუ რიკოვი, როგორც ჩვენ დავინახეთ, „გულით“ ლაპარაკობდა, ტომსკი, შესაძლოა თავისი წარსული პროფდისციპლინის ზეგავლენით, აქ საკმაოდ მორცხვად გამოვიდა, რამოდენიმე თვის წინად კი რა იყო? რას არ ლაპარაკობდნენ ისინი პარტიის გენერალური ხაზის შესახებ? ისინი პარტიას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი ტროცკიზმის გზაზე დაექანა. ისინი პარტიას ბრალს სდებდნენ გლეხობის სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაში, ისინი ცილს სწამებდნენ პარტიას, რომ იგი ბიუროკრატიზმს ნერგავს პარტიაში და მის მამოძრავებელ რგოლებში. დაბოლოს, მემარჯვენეები ბრალს სდებდნენ პარტიას ისეთ უდიდეს ცოდვაში, როგორიც არის კომუნისტური ინტერნაციონალის გახრწნა. ახლა, რამოდენიმე თვის შემდეგ, გამოდის ტრიბუნაზე ტომსკი და ოსმალო წმინდანივით გვიამბობს ანეკდოტებს, თუ როგორ შემთხვევით, ცოტა -ცოტა, დაიწყო შეხვედრა სხვა „ივანიჩებთან“ და ლაპარაკი მათთან პარტიის ხაზის შესახებ. ამხ. ტომსკი ისე გვიხატავს საქმეს, თითქო არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა გარდა იმისა, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების მუშაობამ ერთგვარი გამოხმაურება ჰპოვა ამ ლიდერების საკუთარი თავების გარეშეც. ამხ. ტომსკი ისე აყენებს საკითხს, თითქო მემარჯვენე ლიდერები არსებითად ფრაქციულ მუშაობას არ ეწეოდნენ.

შემდეგ ამხ. კიროვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არა მარტო პარტიას, არამედ მთელ მუშათა კლასს მშვენივრად აქვს შეგნებული, სათკენ მიგვყავდით მემარჯვენე უკლონისტებს, გადახრის ლიდერებს ყრილობაზე უნდა ეთქვათ ამის შესახებ. მათ უნდა ეთქვათ, თუ რას წარმოადგენს არსებითად მემარჯვენე გადახრის პროგრამა. საქმე იმაშია, რომ მემარჯვენეთა პროგრამა თავისი სულით, იდეოლოგიითა და სისხლით ენათესავება ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერ პროფესორების—პლატონოვების, უსტრიალოვების და მსგავსთა მათთა პროგრამებს. მემარჯვენე ლიდერებს გარკვევით უნდა ეთქვათ, თუ რას წარმოადგენს მათი პროგრამა. არ კმარა მარტო თავისი შეცდომების აღიარება. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებმა სწორად უნდა შეაფასონ თავისი პროგრამა, რომელიც თუ ღრმა თეორეტიულ კვლევა-ძიებებს არ შეუდგებით, სხვა არაფერს წარმოადგენს თუ არა კულაკურს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სოციალისტურ პროგრამას (ტაში).

ახლა კი, როცა ჩვენი პარტიის ცეკას პროგრამა მთლიანად გაამართლა ცხოვრებამ, თავისი შეცდომების აღიარება როდია ძნელი, ახლა ლოიდ-ჯორჯიც კი თვლის, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, არა მარტო გაბედულია, არამედ გონივრულიცაა. ფორდსაც კი ესმის, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა რეალური რამ არის.

ამხ. რიკოვი ამბობდა,—აღნიშნავს კიროვი,—რომ მისი შეცდომა მდგომარეობს გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის შესაძლებლობების სათანადოდ შეუფასებლობაში. ამხ. რიკოვი ამბობდა რომ მთელი საქმე მდგომარეობს ამ საკითხის სათანადოდ შეუფასებლობაში: მოხდება გლეხურ მეურნეობათა 40—80—50 პროცენტის კოლექტივიზაცია. საქმის შინაარსის მიჩქმალვის გზით ამხ. რიკოვი ცდილობდა თავი დაეღწია პირდაპირი პასუხისგან კითხვაზე, პასუხისაგან, რომელსაც ყრილობა მოელოდა. მე არა მაქვს საფუძველი დავსწამო ამხ. რიკოვს და ტომსკის არაგულწრფელობა გამოსვლაში, მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ფრთხილად ვიყოთ და სრულიად გარკვევით ეჭვი შევიტანოთ იმაში, რაც აქ ჩვენ გვითხრეს მემარჯვენე გადახრის ლიდერებმა.

შემდეგ ამხ. კიროვი ეხება ამხ. უგლანოვის გამოსვლას და ამბობს: „ცეკას ნოემბრის პლენუმზე ამხ. უგლანოვი მონანიებით გამოვიდა, მოინანია თავისი შეცდომები და აღიარა პარტიის გენერალური ხაზი. მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე, სოფლად შეფერხება მოხდა, შეიქმნა დაბრკოლებები და ამხ. უგლანოვმა კვლავ იწყო მერყეობა. ახლა, თქვენ ხედავთ, რომ მას თავი დაუნებებია მერყეობისათვის ,ის პარტიის ხაზს სცნობს სწორად, თავის-თავს შემცდარად, უნებლიედ იჭრება დასკვნა: თუ წარმოიშვა ახალი დაბრკოლებები, ამხ. უგლანოვი კვლავ „დაიწყებს მერყეობას“.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა,—განაგრძობს ამხ. კიროვი,—რომ ყრილობამ მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან ვერ მოისმინა ის, რაც იყო მთავარი.

ჩვენთვის საჭირო იყო მოგვესმინა ამხ. რიკოვისა და ტომსკისაგან არა მარტო შეცდომათა აღიარება და უარი თავის წინანდელ პლატფორმაზე, არამედ ამ კულაკური პლატფორმის აღიარება. ნოემბრის პლენუმის შემდეგ, როცა მემარჯვენე გადახრის ლიდერები განიარაღდნენ, მათ უდიდესი შეუპოვრობით უნდა დაეცვათ პარტიის გენერალური ხაზი და ეწარმოებიათ თანამიმდევრობითი მუშაობა მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ, და საერთოდ, ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ამჩნევდა თუ არა ვინმე ამ ბრძოლას სადმე? არავითარი ნიშნები ამ ბრძოლისა ჩვენ არ გვიხილავს, მიუხედავად იმასა, რომ მემარჯვენე გადახრის მომხრეები დღითი-დღე გამოდიოდნენ „პრავდა“-ს სადისკუსიო ფურცელში და ცალკე უჯრედებში და იცავდნენ ამხ. ბუხარინის, უგლანოვისა და სხვათა შეხედულებებს.

გაილაშქრა თუ არა მემარჯვენე გადახრის რომელიმე ლიდერთაგანმა ამ გამოსვლების წინააღმდეგ? არა, არ გაულაშქრია. მომავალშიაც ასეთ გალაშქრებას ადგილი არ ექნება, თუ ლიდერები არ მიხვდებიან თავიანთი ოპორტუნისტული პლატფორმის მთელ დამღუპველობას, იმ პლატფორმის, რომელსაც ისინი სულ მუდამ იცავდნენ.

ამხ. კიროვი შემდეგ ეხება ამხ. ბუხარინის პოზიციას, წელთა საკმაო რაოდენობის წინად ამხ. ბუხარინმა მეტის-მეტად ფერადი საღებავებით გადაგვიშალა კულაკური თეორია კულაკის სოციალიზმში შეზრდის შესახებ. ამხ. ბუხარინი იყო კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მქადაგებელი და ადიდებდა „მოწესრიგებულ“ კაპიტალიზმს. ახლა ამხ. ბუხარინი ყრილობაზე არ არის, ამბობენ რომ ის ავად არისო. ალბად ეს ასეა. მაგრამ ამხ. ბუხარინს ხომ შეეძლო როგორმე,რაიმე სახით მაინც მოეწვდინა თავისი ხმა და გამოეთქვა თავისი შეხედულება პარტიულ საქმეებზე მიმდინარე მომენტში. გამოდის რაღაც სრული სიმახინჯე. ყველას ალბად ახსოვს მამაევის წერილი „პრავდა“-ში. ნუ თუ ამხ. ბუხარინს არ შეეძლო ეპასუხნა მამაევისათვის თუნდ წერილით მაინც. ამხ. ბუხარინი სდუმს და ეს ძალაუნებურად ეჭვებს გვგვრის და იწვევს სიფხიზლეს პარტიის შიგნით.

თავის გამოსვლაში ყრილობაზე ამხ. ტომსკიმ სრულიად უცოდველ ადამიანად მოგვაჩვენა თავი. გამოდის, როგორც სწორად და სხარტლად შენიშნა ამხ. სტალინმა, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტებს აღებული აქვთ კურსი სოციალიზმის თვითმიმდინარეობით მშენებლობაზე; რომ მათ ოპოზიციონურ მუშაობაში ყოველივე თავისთავად მიმდინარეობდა.

ამხ. ტომსკი გვარწმუნებს, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები მტკიცედ იცავდნენ პარტიულობას, მათ შეეძლოთ „აემართად დროშა“, მაგრამ თავდაჭერით იქცეოდნენ. მართალია თუ არა ეს? რას აკეთებდა ამხ. ტომსკი პროფკავშირთა ყრილობაზე? განა ეს ბრძოლა არ იყო? ამხ. ტომსკის რომ იქ მარცხი არ განეცადა, იქ რომ ორი ათასი დელეგატიდან მის მხარეზე ნახევარი ყოფილიყო ან უმრავლესობა და არა 80—90 კაცი,—ჩვენ ვიცით, სად წავიდოდა იგი თავისი მემარჯვენე პლატფორმით.

ამხ. რიკოვმა გუშინ საწყენადაც კი მიიღო, როდესაც მას გვერდში ამხ. უგლანოვი ამოუყენეს. რატომ ხდება ეს გამიჯვნა? აშკარაა, ამხ. რიკოვი ფიქრობს, რომ ამხ. უგლანოვს არ დაუწვავს უკან დასახევი ხიდები და არ ფიქრობს მათ დაწვას. სხვანაირი დასკვნის გამოყვანა ამხ. რიკოვის განცხადებიდან არ შეიძლება. ამხ. რიკოვი ჯერ ხომ კიდევ გუშინ ამხ. უგლანოვთან ერთად იკვებებოდა ერთი ოპოზიციონური ჯამიდან. ამხ. რიკოვის გამიჯვნა უგლანოვისაგან, ეჭვი არ არის, შეცდომის აღიარების სხვადასხვა საფეხურის მაჩვენებელია. ერთი უფრო შორს მიდიან თავიანთი შეცდომების აღიარებაში, მეორეებს აქვთ ზოგიერთი მარაგი და რეზერვი, სხვებს არა სურთ ყველაფრის ერთბაშად დათმობა და ზოგ რამეს ინახავენ შემდგომი შინაპარტიული ბრძოლის შემთხვევისათვის. იქნებ სხვა რამეც იყოს. იქნებ მე-16 ყრილობაზე ამხ. რიკოვისთვის უფრო და უფრო ნათელი ხდება ოპოზიციონური მუშაობის განვითარების პერსპექტივა. იქნებ მას ეხლა უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი—რა მოჰყვებოდა შემდგომ ბრძოლას. შეიძლება ამხ. რიკოვისთვის ცხადი ხდება, რომ ამოიწურა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა პირვანდელი საშუალებანი და ეხლა საჭიროა საფუძვლიანი ხერხები და მეთოდები თავისი პლატფორმის საპროპაგანდოთ.

ასე თუ ისე, ჩვენთვის ამხ-ები რიკოვი, ტომსკი, ბუხარინი და უგლანოვი ერთ ბანაკში რჩებიან. ჩვენ მემარჯვენე ოპორტუნიზმის პროპაგანდის კვალიფიკაციის საქმეში ისევ ძველ თვალსაზრისზე ვდგევართ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება მემარჯვენე გადახრის პროპაგანდის შეთავსება კომუნისტური პარტიის რიგებში ყოფნასთან (ტაში). ჩვენ მარტო სიტყვებისთვის და სილამაზისთვის არ ჩავწერეთ ჩვენ დადგენილებებში, რომ მემარჯვენე გადახრას სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე ვთვლით მთავარ საფრთხედ, ამიტომ მომავალში სწორედ ამ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ვაწარმოებთ წინანდელზე არა ნაკლებად გადამჭრელ ბრძოლას, უფრო სწრაფად—წინანდელზე ბევრად უფრო გადამჭრელ ბრძოლას.

ჩვენმა პარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ეს წარმატებები მიღწეულ იქნა არა მარტო ბრძოლაში კულაკთან და ჩვენი ქვეყნის სხვა კულაკურ ელემენტებთან, ეს წარმატებები მიღწეული იქნა ბრძოლაში ბუხარინის, ტომსკის, რიკოვის, უგლანოვის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის წინაშე გუმბერაზული ამოცანები სდგანან მომავალშიაც. საჭიროა საერთოდ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენი დიდი მონოლიტური, ორმილიონიანი ლენინური პარტია ნამდვილად იყოს სალი კლდე, რომელზედაც თავი უნდა გაიტეხოს ყველამ, ვინც გზაზე გადაუდგება სოციალიზმის წინსვლას.

ჩვენი შემდგომი წარმატება დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, რაც ამხ. სტალინმა თავისი მოხსენების უკანასკნელ ნაწილში სთქვა. მან დაიძახა: „გაუმარჯოს ლენინიზმს“! „ლენინიზმი იქნება ჩვენი ბრძოლის წარმატების გარანტია ყოველგვარი ოპორტუნისტების წინააღმდეგ მარჯვნიდან, „მარცხნიდან“ და საიდანაც არ უნდა იყოს ის. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება არა მარტო აქ, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც“. (ხანგრძლივი ტაში).

# ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გაგრძელება

ხელმძღვანელ სამუშაოზე სამეურნეო, საბჭოთა, კოოპერატიულ და პროფკავშირულ აპარატში 3.000-ზე მეტი მუშა და მუშა-ქალი, ამასთან 1.500 კაცი დაწინაურებულ იქნა სახალხო კომისარიატებსა და ტრესტებში. დაწინაურებულები ძველი საწარმოო მუშები არიან; 60 პროცენტს მათ შორის საწარმოო სტაჟი აქვს 10-დან 30 წლამდე. ასეთსავე წარმატებას აქვს ადგილი სხვა ორგანიზაციებშიაც.

ნაციონალურ რესპუბლიკებში აპარატის გამუშურების საქმე ცუდათაა დაყენებული. ადგილობრივი კადრების შექმნის მხრივ ერთგვარი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ცუდათაა საქმე აღმოსავლეთის ჩამორჩენილ რესპუბლიკებსა და ოლქებში. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე ჩვენ ჯერ ცოტას ვმუშაობთ. თუ გვაქვს ერთგვარი მიღწევები ყველაზე უფრო მოწინავე რესპუბლიკებში, როგორიც არის უკრაინა, სამაგიეროთ მთელ რიგ აღმოსავლეთ რესპუბლიკებში საქმე ჯერ კიდევ მეტად სუსტადაა დაყენებული. ცენტრში ხშირად ანგარიშს არ უწევენ ამ საკითხის მნიშვნელობას, როგორც ამ საქმისადმი დიდმპყრობელური მიდგომის მაგალითს, მოვიყვან საგეგმო კომისიის აზრს. კომისიის მიერ შედგენილ კადრების ხუთწლედში ნათქვამია, რომ ვოლგის ეროვნებანი—თათრები, ბაშკირები, გერმანელები, რომელთა უმრავლესობამაც თითქოს იცის რუსული ენა, უფრო ადვილია ვაზიაროთ კულტურას და გამოვჭედოთ მათგან კადრები, ვიდრე სხვა ეროვნებათაგან, რომლებმაც არ იციან რუსული ენა.

„კადრების მომზადება ბევრად უფრო ადვილია ვოლგის ეროვნებათაგან (თათრები, ბაშკირები, ჩუვაშები, მორდვა, გერმანელები), რომლებიც დიდ ფენებად სცხოვრობენ რუსი მოსახლეობის შორის; მათმა უმრავლესობამ იცის რუსული ენა და მათ მოსახლეობას ახასიათებს შედარებით დიდი პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეობისა. კადრების მომზადება ამ ეროვნებათაგან ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე აღმოსავლეთ ეროვნებათაგან“. (გვ. 20).

როგორც ხედავთ, აქ არ არის დასმული ამოცანა—მომზადებულ იქნან კადრები თათრებისა, ბაშკირებისა და სხვა ეროვნებათაგან, რომლებმაც უნდა ისწავლონ და იმუშაონ თავიანთ მშობლიურ ენაზე.

ნაციონალურ საკითხს ც. კ-ი მეტად დიდ ყურადღებას აქცევდა. საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი ღონისძიებები, როგორიც არის სადგილმამულო წყალთა მეურნეობის რეფორმების მომზადება და გატარება და ქონების ჩამორთმევა მსხვილი მესაქონლეებისათვის აღმოსავლეთის იმ ნაცრესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც დარჩა წინარევოლიუციონური სადგილმამულო-წყალთა ურთიერთობა, როგორიც არის ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია, მათში ნაციონალური პროლეტარიატის კადრების შექმნა, სახელმწიფო და პროფესიონალური აპარატის ადგილობრივ მკვიდრთაგან შევსება და ამ აპარატის დაახლოვება მასებთან. ამ დარგში ჩვენს ამოცანად რჩება გადამწყვეტი ბრძოლა დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან და მასების ინტერნაციონალური აღზრდა.

პრობლემა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა მასში მასების ჩაბმის საფუძველზე ფართოდ უნდა გავშალოთ. თვითკრიტიკა ებრძვის ბიუროკრატიზმს და ამით აუმჯობესებს სახელმწიფო აპარატს. მემარჯვენეთა ჯგუფის ერთერთმა მონაწილემ ამხ. სლეპკოვმა თავის თეზისებში თვითკრიტიკის შესახებ სავსებით გვერდი აუხვია თვითკრიტიკის როლს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, და ეს მეტად დამახასიათებელია მემარჯვენე ოპორტუნიზმის იდეოლოგიისათვის. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების და პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების განმტკიცების საკითხი დაუკავშიროთ პროლეტარული თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის, აპარატის მუშაობაში მასების ჩაბმის და კადრების მომზადების ამოცანას.

კადრების პრობლემა მჭიდროთ არის დაკავშირებული კლასთა ბრძოლის გამწვავებასთან ჩვენს ქვეყანაში, ბიუროკრატიული გადაგვარების ელემენტების და მავნებლობის გამოხატულებასთან. მე დაწვრილებით არ შევჩერდები მავნებლობის ფაქტებზე. აშკარაა მხოლოდ ერთი, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებასთან. საკმარისია გადავხედოთ კონტრ-რევოლიუციონერ მავნებელთა ორგანიზაციების პირად შემადგენლობას. მავნებელთა საერთო რიცხვიდან ყოფილი მესაკუთრე იყო 161, ყოფ. ვაჭარი და თავად-აზნაური—128.

სწორედ პასუხად იმისა, რომ გაძლიერდა ინტელიგენციის ბურჟუაზიული ნაწილის კლასობრივი სიძულვილი სოციალიზმისადმი, რომელიც თანდათან იზრდება, მავნებლობას პასუხად ჩვენ გვაქვს მუშების მონაწილეობის ზრდა სახელმწიფო აპარატში.

პარტიამ სწორედ ამას უპასუხა კადრების პრობლემის წამოყენებით მთელი მისი სიგრძე-სიგანით,—პრობლემის, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობა.

მე-15 ყრილობის შემდეგ კადრების საკითხი თითქმის არ მოშორებია ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დღის წესრიგს. 1928 წლის აპრილის პლენუმზე ეს საკითხი იდგა შახტის საქმესთან დაკავშირებით, შემდეგ ივლისის პლენუმზე მიღებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო და, ბოლოს, ეს საკითხი იდგა 1929 წლის ნოემბრის პლენუმზე.

სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას, ერთის მხრივ, და ჩვენი ტეხნიკური კადრების ჩამორჩენილობას, გამწვავებულ კლასთა ბრძოლას, რომელსაც მოჰყვა ახალი ფორმები უფრო გამწვავებული ბრძოლისა ინტელიგენციის ბურჟუაზიულ ნაწილის მხრიდან პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, არ შეეძლოთ არ დაესვა პარტიის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით კადრების პრობლემა. ეს საკითხი მწვავედ დააყენა ამხ. სტალინმა აპრილის პლენუმზე.

მემარჯვენე ელემენტებმა ვერ გაიგეს კადრების პრობლემის შინაარსი. ამხ. რიკოვი 1928 წლის აპრილის პლენუმზე ამბობდა, რომ საკითხი კადრების შესახებ „შეიძლება გადავწყვიტოთ ასეც და ისეც და არ შევეხოთ კლასებს. ეს არ არის სოფლისადმი დამოკიდებულების და კლასებად დაყოფის საკითხი“. ეს იყო ნათქვამი იმ დროს, როდესაც პარტია მთელი სიმწვავით აყენებდა კადრების საკითხს სწორედ იმიტომ, რომ მავნებლობამ მეტად გაამწვავა ეს პრობლემა. მთელი პარტია ხედავდა კადრების პრობლემის კლასობრივ შინაარსს, მკაფიო გამოხატულებას, მემარჯვენეებმა კი ვერ გაიგეს ეს პრობლემა ისევე, როგორც ვერ გაიგეს მათ ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული სხვა მრავალი ამოცანა.

აიღეთ ხ. მ. უ. საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველოს (ნტუ) თეზისები, რომლებიც დასწერა ამხ. ბუხარინმა. თქვენ ვერ იპოვით იქ კადრების პრობლემის კლასობრივ შინაარსს. ამავე დროს კი არა თუ ლენინი, რომელიც, ემყარებოდა რა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების გამოცდილებას, მწვავედ აყენებდა ამ საკითხს, არამედ ენგელსიც კი ჯერ ისევ 1891 წელს, დიდი ხნით ადრე პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებამდე, ამბობდა, რომ განსაზღვრულ პირობებში „ტეხნიკოსები ჩვენი პრინციპიალური მტრები იქნებიან, ისინი დაიწყებენ ჩვენს მოტყუებას და გამცემლობას მაშინვე, როცა კი ამას შესძლებენ. ჩვენ მოგვიხდება მათი თავიდან მოშორება, მაგრამ მოტყუებით მაინც მოგვატყუებენ, (წერილი ბებელისადმი 1891 წლის 24 ოქტ.).

აქედან გამოსავალია ის, რომ დავაწინაუროთ ახალი ადამიანები, გამოსავალია ის, რომ საუკეთესო სპეციალისტები გარდავქმნათ და გადმოვიბიროთ ჩვენს მხარეზე, გავრეკოთ უვარგისნი და მავნე ელემენტები, დავხვრიტოთ და გავგზავნოთ სოლოვკაში ისეთები, რომლებიც ეწევიან მავნებლობას და შლიან ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, ხოლო მათ ადგილას ჩავაყენოთ ჩვენი პროლეტარული კადრები (ტაში).

რამდენადაც უფრო ღრმად ვუკვირდებოდით ამ საკითხს, იმდენად უფრო ვრწმუნდებოდით, რომ უმაღლესი განათლების საქმეში და კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მოვახდინოთ ძირითადი რევოლიუციონური გარდატეხა, ჩავატაროთ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა. აქ საკითხი სდგას არა მარტო რაოდენობის შესახებ, არამედ, რაც უმთავრესია, მრეწველობის ჩვენი ხელმძღვანელობის ხარისხის შესახებ, ხარისხისა, რომელიც გულისხმობს, როგორც ტეხნიკურს, ისე სოციალ-პოლიტიკურ მხარეებს. ახალი ეპოქა მოითხოვს ხელმძღვანელთა ახალ ტიპს მთელი სახელმწიფო მშენებლობის სამეურნეო ფრონტზე.

რას მიაღწია ც. კ-მა ამ ფრონტზე? აქ არ ჩამოვთვლი მთელ იმ ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც მოყვანილია ყრილობის დელეგატებისათვის დარიგებულ მასალათა კრებულებში. აღვნიშნავ უმთავრეს მიღწევებსა და ამოცანებს. ც. კ-მა მიაღწია, პირველ ყოვლისა, იმას, რომ პარტიამ პირი იბრუნა კადრების პრობლემის გადაჭრისაკენ.

ც. კ-მა მიაღწია იმას, რომ ჩვენ სწავლება დავუკავშირეთ წარმოებას, გავაუმჯობესეთ დისციპლინა და შევიტანეთ დისციპლინა და წესი სასწავლებლებში. ჩვენ გავგზავნეთ საუკეთესო პროლეტარები სასწავლებლად და გვაქვს უდიდესი მიღწევები ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების კომუნიზაციისა და გამუშურების საქმეში.

სახელმწიფო საგეგმო კომისია, თანახმად ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის დირექტივისა, ადგენს კადრების ხუთწლედს, რომელსაც დაამტკიცებს სახკომსაბჭო.

სწავლების ტემპების მხრივ ჩვენ საშინლად ვიგვიანებდით. ტემპები იყო ობლომოვისებური. სულ რაღაც 6—7 პროცენტს თუ უშვებდნენ სასწავლებლები. ამჟამად ვცდილობთ და მოვახერხებთ კიდეც, რომ ყოველწლიურად გამოშვების პროცენტი 20-25-ს შეადგენდეს, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს მეორე წელს დარჩენას. ჩვენ შემოვიღეთ უმაღლესი სასწავლებლებში ერთმართველობა, მოვახდინეთ უმაღლეს სასწავლებელთა საშუალო საუკუნეების დროის მრავალფაკულტეტიანი სისტემის რეორგანიზაცია და ვქმნით უმაღლეს სასწავლებლებს სადარგო-საწარმოო პრინციპის მიხედვით. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მიმაგრებულნი იქნებიან განსაზღვრულ წარმოებებზე. განათლების კომისარიატები ცოტათი შეურაცყოფილად გრძნობენ თავს, მაგრამ მათ რჩება უდიდესი ამოცანები. მათ უნდა უხელმძღვანელონ მთელ საპროგრამო მეთოდიურ მუშაობას და თვალყური ადევნონ პროგრამებსა და სასწავლო გეგმებს. მაგრამ უშუალო ხელმძღვანელებად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინჟინერ-ტეხნიკოსთა კადრების მომზადებით და რომლებიც სწავლების საქმეს წარმოებას უკავშირებენ, ითვლებიან: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, გაერთიანებანი, ტრესტები, ტრანსპორტი და სახალხო კომისარიატები. ისინი ამ კადრებს თავიანთვის გამოიყენებენ.

ჩვენ გადავიყვანეთ უმაღლესი სასწავლებლები განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკაზე. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ ყველა ის ცნობა, რაც ხელთა გვაქვს, ადასტურებს ამ გზის სისწორეს. ჩვენ შემოვიღეთ სწავლების ახალი თავისებური ფორმები—ქარხნები, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები. ეს მეტად სერიოზული საქმეა და იგი გულდასმით უნდა შევისწავლოთ. საჭირო არ არის გამოვედევნოთ აქ რაოდენობას, ვიდრე ჩვენ ჯერ კიდევ გამოცდილება არა გვაქვს.

ამ წლებში გაფართოვდა უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი, გაფართოვდა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების ქსელი. ყოველ წლობით მუშების პროცენტი მიღებულთა შორის მატულობს, ასე, მაგალითად, 1928-29 სასწავლო წელს, მიღებულთა შორის მუშები შეადგენდნენ 58.9 პროცენტს, 1929-30 წელს კი პროცენტმა 70,9-ს მიაღწია.

უკანასკნელ წელს მიღებულთა შორის საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრთა პროცენტი შეადგენს 28-ს, ახალ. ლენინელთა კომკავშირის წევრთა პროცენტი—25,42 ს. მ. უ. საბჭოს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა სტუდენტებს შორის მუშები 52 პროცენტს შეადგენენ და მუშის შვილები—4,2 პროც.

ც. კ-ი არ კმაყოფილდებოდა მარტო დირექტივებით და დამოუკიდებლად მოაწყო კომისია ათასელთა შესარჩევად, რომელნიც მეტ წილად შესდგებიან ხელმძღვანელო მუშაობაში დიდი გამოცდილების მქონე მუშებისაგან (28 წელს—67 პროც., 29 წელს—79 პროც.) ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა მთლიანად გამართლებულია და ათასეულებისაგან მივიღებთ მრეწველობის მტკიცე მეთაურ-ხელმძღვანელებს. უკანასკნელმა წელიწადმა სერიოზულად გააუმჯობესა სტუდენტების მომზადების ხარისხი. სოციალისტური შეჯიბრება ძლიერად ვითარდება უმაღლეს სასწავლებელთა კედლებშიაც. პროლეტარ - კომუნისტთა ათი ათასები, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, ხვალ დაიჭერენ სამეთაურო-სატეხნიკო სადარაჯოებს და წარმატებით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს.

სწორედ იმ გარდამწყვეტ ზომების წყალობით, რომლებიც ც. კ-მა მიიღო უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა გამუშურების საქმეში, ჩვენ მახლობელ წლებში საგრძნობლად გავადიდებთ მუშებისა და კომუნისტების პროცენტებს ჩვენი სპეციალისტების შემადგენლობაში და ამით შევცვლით ტეხნიკური კადრების სახეს.

კადრების მომზადების მთელ ჩვენს მუშაობაში უნდა ვებრძოლოთ იმ კლასობრივად მტრულ იდეოლოგიას, რომელიც აფერხებს ამ საქმეს. პროფესორების ნაწილი ჩვენ გვიჭერს მხარს; ჩვენ ისინი ყოველნაირად უნდა ჩავაბათ მუშაობაში. მათი ნაწილი პარტიაში შემოსვლის განცხადებასაც კი იძლევა. ჩვენ ამას ვესალმებით, მაგრამ პროფესორების ერთი ნაწილი უიმედოდ რეაქციონურია. ეს პროფესურა ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი მეცნიერ-მკვლევართა კადრებით. ამ საქმეს ჩვენში ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა.

რათა ნათელვყოთ ტეხნიკური და ეკონომიური კადრთა მომზადების მთელი სიმძიმე, აღვნიშნავ, რომ ამჟამად მთელ სახალხო მეურნეობაში ჩვენა გვყავს 309 ათასი სპეციალისტი ინჟენერი და ტეხნიკოსი, ხოლო ხუთწლედის დამლევს უნდა გვყავდეს 1.220.000 სპეციალისტი, ე. ი. ერთი ოთხად მეტი.

ამ ციფრებში ნათლადაა გამოხატული კადრების პრობლემა მთელი თავისი სიგრძე სიგანით. სპეციალისტების ხვედრითი წონა მრეწველობაში მატულობს 2-5 პროცენტამდე (გამოტოვებულია). გავუთანასწორდებით მაშინ გერმანიას ინჟენერ - ტეხნიკოსთა კადრებით დატვირთვის მხრივ.

ახალი კადრებით დატვირთვის ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ სდგას სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვს სოფლის სპეციალისტის ახალ ტიპს. არა ნაკლებ მწვავედ სდგას საკითხი ეკონომისტების მომზადებისა, სავაჭრო კოოპერაციის, საფინანსო და სხვა დარგთა ორგანოებისათვის.

თუ ივლისის და ნოემბრის პლენუმებზე სვამდნენ საკითხს კადრების შესახებ მეურნეობისათვის, ახლა ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის მთელი სისტემისათვის. ჩვენ ამ ყრილობაზე უნდა გავაფართოოთ კადრების პრობლემა, დავსვათ საკითხი კადრების შესახებ საბჭოთა დაწესებულებათათვის, კოოპერაციისათვის, პროფკავშირებისა და სხვათათვის.

(დასასრული ხვალ)

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით

# ყრილობის დარბაზიდან

(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი**, 1 ივლისი. პირველ ივლისის დილის სხდომაზე, კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **პეტროვსკი** (უკრაინა), **კრუპსკაია** (მოსკოვი), **ბაუმანი** (მოსკოვი), **იკრამი** (უზბეკისტანი), **ანისტიევი** (ლენინგრადი, კრასნი პუტილოვეც“-ი), **სირცოვი**, **ნადეჟდინი** (სორმოვო), **ისაკოვი** (ლენინგრადი), **უხანოვი** (მოსკოვი), **პოლონსკი** (საკავშირო პროფსაბჭო), **კრუჟინინი** (დასავლეთის რკინიგზების მუშაკი), **მილკი** (ულიანოვკა) ბახაევი (ცენტროსოიუზი).

ყრილობის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ: **ისაევი** (კაზაკსტანი), **სკრიპნიკი** (უკრაინა), **ცარკოვი** (ლენინგრადი), **პოკროვსკი**, **ბარანოვიჩი** (ციმბირი), **ცხაკაია** (ამიერ-კავკასია), **იაროსლავსკი**, **მიქოიანი**, **მელიქ იაკუბოვი**.

2 ივლისის დილის სხდომაზე კამათი გაგრძელდება.

## ამხ. ბ. ლომინაძის სიტყვა

**მოსკოვი**, 1 ივლისი. 30 ივნისის საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ბ. ლომინაძე.

„ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის და პრაქტიკული საქმიანობის სისწორის ყველაზე ნათელ დადასტურებას, — ამბობს ორატორი, — წარმოადგენს ის მობრუნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV-დან XVI ყრილობამდე. მე მხედველობაში მაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი და ამ ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელება.

ეს მობრუნება შესაძლებელი შეიქნა იმის წყალობით, რომ პარტიამ აიღო კურსი ინდუსტრიალიზაციის ტემპების ყოველმხრივ დაჩქარებაზე და უმტკიცეს შეტევაზე, რომელიც პარტიამ ინდუსტრიალიზაციის წარმატებების საფუძველზე ცეკას ხელმძღვანელობით დაიწყო კულაკობის წინააღმდეგ მე-XV პარტყრილობის შემდეგ. ცეკას დამსახურება მდგომარეობს იმ გამბედაობაში და სიმტკიცეში, რომლითაც იგი ატარებს ამ ისტორიული მნიშვნელობის მობრუნებას.

ეს მობრუნება დაკავშირებულია არა მარტო კლასობრივი ძალების შეფარდების შეცვლასთან პროლეტარიატის სასარგებლოდ, არამედ უდიდეს ცვლილებასთან ჩვენი ქვეყნის სოციალურ - ეკონომიურ წყობილებაში.

კულაკობის ლიკვიდაცია წარმოადგენს საერთოდ კლასების ლიკვიდაციის დასაწყისს. უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შედგომას. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ჩატარდება კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებული გამწვავების პირობებში.

ლენინი კლასობრივ განვითარებას განსაზღვრავდა უწინარეს ყოვლისა საწარმოო საშუალებებისადმი დამოკიდებულის მიხედვით. სასოფლო - სამეურნეო არტელებში საწარმოო საშუალებები განსაზოგადოებულია და ეს ძირითადია. თუმცა ეკონომიური უთანაბრობა კოლმეურნეობის შიგნით ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ ის ციფრები, რაც ამხ. ანდრეევმა გამოაქვეყნა, მოწმობენ, რომ კოლმეურნეობაში ძალიან სწრაფად იზრდება ღარიბ და საშუალო გლეხთა უზრუნველყოფის დონე. წვრილი მესაკუთრის გარდაქმნის პროცესი აი ეს გარდაქმნა შრომის ახალ ორგანიზაციად სოციალისტურ საფუძველზე, თუმცა ახალი ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის თანამიმდევარი სოციალისტური ტიპის, საფუძველს გვაძლევს სწორი მტკიცებისათვის, რომ ჩვენში მარცვლეულ კულტურათა ძირითად რაიონებში კოლმეურნეობათა სახით ახალი დასაყრდენი იქმნება. ეს ლოზუნგი სწორია და იგი თავის დროზე წამოაყენა ცენტრალურმა კომიტეტმა. ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ წვრილი მესაკუთრის გარდაქმნის პროცესი კოლმეურნეობაში ხანგრძლივი იქნება. ზოგიერთი ამხანაგი იქამდე მიდის, რომ ლაპარაკობს ყოფილ ღარიბ გლეხზე, ყოფილ საშუალო გლეხზე, და ყოფილ მოჯამაგირეზე კოლმეურნეობაში. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. კლასობრივი წინააღმდეგობანი, კლასობრივი ბრძოლის ელემენტები კოლმეურნეობაში რჩებიან. ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მიმდინარე პერიოდის პრაქტიკის თვალსაზრისითაც.

კულაკობის აქტივობა დიდია, ჩვენ ვხედავთ კოლმეურნეობაში მერყეობას, რაც ადგილ-ადგილ ძლიერდება კულაკური აგიტაციის ზეგავლენით.

მე მგონია, რომ თუ ჩვენ არ დავშლით ღარიბ გლეხთა ჯგუფებს, სწორად მოვაგვარებთ პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეობებში, ეს მერყეობა შეიძლება მალე დაძლეულ იქნას.

კულაკობასთან ბრძოლა გაგრძელდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო გაფთრებულ ფორმებში. ასეთ პირობებში ღარიბ გლეხთა ჯგუფების დაშლა არტელებშიაც კი არ შეიძლება. ისინი ხანგრძლივი პერიოდით უნდა დავტოვოთ“.

შემდეგ ამხ. ლომინაძე მიაქცევს ყრილობის ყურადღებას იმ სიძნელეებზე, რომლებიც ჩვენ გადაგველობება შემოდგომაზე, კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების დროს. მიმდინარე წელს ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ყველაფერი განვასაზოგადოოთ და ჩავატაროთ მოსავლის ერთად-ერთი სწორი განაწილება შრომითი პრინციპის მიხედვით. დღემდე შრომის აღრიცხვა კოლმეურნეობებში უმსგავსოდაა დაყენებული, არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებშიაც კოლმეურნეებმა ვერაფერი ვერ მიიღეს, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ფორმალურად მოგვარებული, მაგრამ მომავალი წლისათვის შრომის პრინციპი უნდა განმტკიცდეს.

ჩვენ აგრეთვე ადრევე უნდა მოვემზადოთ საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ გრანდიოზულ განვითარებისათვის ამა წლის შემოდგომაზე. ეს განვითარება სავსებით აუცილებელია მას შემდეგ, რაც გლეხი პრაქტიკულად დარწმუნდება იმაში, თუ რა უპირატესობა აქვს მსხვილ კოლექტიურ მეურნეობას.

ღარიბი და საშუალო გლეხები, რომლებიც კოლექტივებში შევიდნენ, მიიღებენ მეტს, ვიდრე ინდივიდუალური მეურნე გლეხები. ეს აუცილებლად მიგვიყვანს საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ უდიდეს განვითარებამდე. ჩვენთვის საჭიროა ვიზრუნოთ სოფლის უჯრედების განმტკიცებაზე. ჩრდილოეთ კავკასიის წარმატებები უმეტესად იმით აიხსნება, რომ იქ დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლის პარტორგანიზაციების გამაგრება - განმტკიცებას.

თავისი სიტყვის ბოლო ნაწილში ამხ. ლომინაძე შეჩერდა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი აქტიურობის ზრდაზე, რაც გამოიხატა მასიური მონაწილეობის მიღებაში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლაში, ლაშქრობაში ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში მონაწილეობაში.

დიდი წარმატებების შემდგომი განმტკიცება მოითხოვს არა მარტო პროფკავშირების მუშაობის ძველი მეთოდების გარდაქმნას, არამედ მისდამი ყურადღების გაძლიერებასაც ადგილებზე.

ეხება რა ამხ. ტომსკის გამოსვლას ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე და მე-XVI პარტყრილობაზე ამხ. ლომინაძე ამბობს:

„გამოსვლას ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე ჩვენ ვსთვლით ამხ. ტომსკის მიერ პარტიის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების ცდათ, მაგრამ არასაკმაო ცდათ, რადგან მან მთელ რიგ პრინციპიალურ საკითხებზე არ მოგვცა გარკვეული განმარტებები“.

ამხ. ტომსკის გამოსვლა აქ ყრილობაზე წარმოადგენს არა ნაბიჯს წინ, არამედ უკან. ის აქ ლაპარაკობდა ფრაქციულობის მავნელობაზე, მესამე ძალის საშიშროებაზე და ცეკას წინააღმდეგ მანევრების დაუშვებლობაზე, როგორც იმ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს გაკვეთილებზე, რომელსაც იგი ამხ. რიკოვთან და ბუხარინთან ერთად აწარმოებდა ცეკას ხაზის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გაკვეთილები ამხ. ტომსკისათვის ცნობილი იყო ბრძოლის დაწყებამდეც.

მთავარი გაკვეთილი უნდა მდგომარეობდეს იმ შეცდომების გარკვეულ პრინციპიალურ შეფასებაში, რომლებიც მემარჯვენე ოპოზიციამ დაუშვა. ამ შეცდომების შეფასების დროს, ამხ. ტომსკის განცხადება ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ამხ. ტომსკი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ხიდები დამწვარია, მაგრამ არავის არ შეუძლია ეს განცხადება მიიღოს რაიმე გარანტიათ, რამდენადაც იგი არ აშკარავებს მისი შეცდომების ბუნებას. ამიტომ ის გაკიცხვა, რომელიც ამხ. ტომსკის გამოსვლამ გამოიწვია, ერთად ერთ სწორ პასუხს წარმოადგენს მის განცხადებაზე.

# ან პარტიასთან ერთად—ან მის გარეშე

## მემარჯვენეები საფინანსო კურსების უჯრედში

### საქ. კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომის ბიუროს დადგენილება

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოისმინა ცნობა საფინანსო კურსების უჯრედის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა:

1. უჯრედში ადგილი აქვს მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ განწყობილებებს და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებას პარტიის მთელი რიგი წევრების მხრივ.

2. ანტი-ლენინურმა განწყობილებებმა განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს პარტუჯრედის 23 ივნისის კრებაზე, პარტიის ზოგიერთი წევრის გამოსვლაში:

**ბელოვმა** ეჭვი გამოსთქვა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დირექტივების სისწორეში, რომლებიც კოლექტივიზაციის საკითხს შეეხებიან.

**იაროშენკომ** შესაძლებლად სთვლიდა საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებას არა მარტო ნებაყოფლობის საფუძველზე, არამედ ძალდატანებისა და ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომების საშუალებითაც გლეხობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ნებაყოფლობით არ შედის კოლმეურნეობებში.

**კოსტიჩევი** სცდილობდა ბრალი დაედო საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მიმართ შემცდარ ხელმძღვანელობაში.

**აკიმოვმა** გამოიჩინა შემარიგებლობა მემარჯვენე ოპორტუნისტული განწყობილებების მიმართ და საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც არ ჰგმობდა ანტი-ლენინურ გამოსვლებს უჯრედის კრებაზე.

**არუსტანოვმაც** თავის გამოსვლაში გამოიჩინა შემარიგებელი დამოკიდებულება უჯრედის კრებაზე გამოთქმულ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ განწყობილებისადმი.

**ვოხოიანი** თავის გამოსვლაში დაქვეითდა ვიწრო წვრილმან საქმიანობამდე და თავი გვიჩვენა აშკარა შემარიგებლად, რომელიც უარჰყოფდა ანტილენინურ განწყობილებათა და შეხედულებათა არსებობას საფინანსო კურსების უჯრედის წევრებს შორის და ამით ადუნებდა უჯრედის სიფხიზლეს ორ ფრონტზე ბრძოლაში და განსაკუთრებით ბრძოლაში მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ყველაზე საშიშარია პარტიის განვითარების ეხლანდელ ეტაპზე.

3. მიუხედავად იმისა, რომ უჯრედში ადგილი ჰქონდა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ განწყობილებებს, რომლებმაც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს როგორც მთელი რიგი პარტიულების გამოსვლებში, ისე მოხსენების გამო მიცემულ შეკითხვებში, ბიურომ და, საერთოდ, პარტუჯრედმა საკმაო სიფხიზლე და სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს იმისათვის, რომ დაერაზმათ პარტიის წევრთა ყურადღება პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანის — პარტიის გენერალური ხაზისათვის ორ ფრონტზე ბრძოლის ირგვლივ და უჯრედის 23 ივნისის კრებაზე სათანადოთ ვერ უკუაგდეს ანტილენინური გამოსვლები, ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნულის გამო, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის ბიურო წინადადებას იძლევა:

1. ვინაიდან საფინანსო კურსების უჯრედის ბიუროს ეხლანდელმა შემადგენლობამ ვერ უზრუნველჰყო სწორი ხელმძღვანელობა უჯრედის მიმართ, რადგან იგი უძლური აღმოჩნდა დაერაზმა უჯრედი გადამჭრელი ბრძოლისათვის მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ განწყობილებებთან და გამოიჩინა შემარიგებელი დამოკიდებულება ამ განწყობილებებისადმი—დაშლილ იქნას უჯრედის ბიურო, მოხდეს ვადამდე არჩევნები და უზრუნველყოფილ იქნას ბიუროს ახალი შემადგენლობის შევსება ლენინურად მტკიცე პარტიულებით.

2. რაიონული კომიტეტის ბიურო იღებს მხედველობაში ამხ. **ბელოვის, ვოხოიანის, არუსტანოვის, კოსტიჩევსა** და **იაკიმოვის** განცხადებას თავიანთი შეცდომების აღიარების შესახებ, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს აღიარება საკმაო არ არის, და მოითხოვს მათგან არა მარტო სიტყვით,, არამედ **საქმითაც აწარმოონ აქტიური** ბრძოლა ორ ფრონტზე — „მემარცხენე“ და, განსაკუთრებით, მემარჯვენე გადახრის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, ვინაიდან ანტილენინური გადახრებისა და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმა შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

3. წინადადება მიეცეს უჯრედს — განიხილოს ბიუროს ეს გადაწყვეტილება და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე დარაზმოს უჯრედის ყველა წევრები მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენე“ გადახვევებთან და კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის ნაშთებთან და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან საბრძოლველად.

4. მოხდეს საფინანსო კურსების უჯრედის გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნას სათანადო ღონისძიებანი უჯრედის იდეოლოგიური მდგომარეობის განსამტკიცებლად და უჯრედში ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გასაშლელად.

5. მასიური აგიტაციისა და კულტურისა და პროპაგანდის სექტორებმა თავიანთ შემდგომ მუშაობაში მხედველობაში მიიღონ, რომ საჭიროა სისტემატიური ხელმძღვანელობა უჯრედის მიმართ იმ მიზნით, რომ საფინანსო კურსების უჯრედის წევრები მასიურად ჩაბმულ იქნან მიმდინარე პოლიტიკის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, როგორც კრებებზე, ისე სათანადო წრეებში. მოეწყოს სპეციალური წრეები მე-XVI პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესასწავლად.

6. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პრესაში, კერძოდ აღინიშნოს, რომ „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული შენიშვნა სავსებით სწორი არ არის იმ პუნქტში, სადაც ლაპარაკია, ვითომ მომხსენებლის მოთხოვნით უჯრედის რეზოლიუციაში შეტანილ იქნა პუნქტი, რომელიც ჰგმობს პარტიის ზოგიერთი წევრების ანტილენინურ მერყეობას ხსენებულ უჯრედში, მაშინ, როდესაც სინამდვილეში აღნიშნული მუხლი შეტანილ იქნა თვით უჯრედის წევრების წინადადებით.

გრძელდება ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ივლისისათვის
მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

# წარმატებით ჩავატაროთ ხანძართან ბრძოლის ათდღიური

## ხანძარი სახალხო მეურნეობის უდიდესი მტერია.—ცეცხლი ყოველწლიურად მილიონებად ღირებულ ქონებას ანადგურებს.—მრეწველობის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ხანძრის წინაალმდეგ ბრძოლის გაცხოველებას

## გამოვიყენოთ ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები ცეცხლის სტიქიის წინაალმდეგ

### ხანძართან ბრძოლის ათდღიურისათვის

ხელისუფლების დადგენილებით, საქართველოში პირველად ტარდება ხანძართან ბრძოლის ათდღიური. ათდღიურის მნიშვნელობა დიდია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მოვალეობას შეადგენს ერთის მხრივ სახანძრო საქმე გავაცნოთ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობას, მიუთითოთ ჩვენს მიღწევებზე და ნაკლოვანებებზე. მართალია, მიღწევები ამ დარგში საკმაოდ ბევრი გვაქვს, მაგრამ ბევრი ნაკლოვანებებიც მოგვეპოვება. ათდღიურის პერიოდში უნდა გამოირკვეს ყველა ის ხელისშემშლელი მიზეზები, რომლებიც აბრკოლებენ ხანძართან ბრძოლას. ამ მიზნით ადგილობრივ მომუშავე მეხანძრეთა რაზმების ხელმძღვანელებმა საბჭოს ან აღმასკომის უახლოეს სხდომაზე უნდა დასვან საკითხი ხანძართან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ, რომლის ირგვლივ უნდა გაიშალოს ფართო თვითკრიტიკა.

ყველა ფაბრიკა-ქარხნებში უნდა გაკეთდეს მოხსენებები სახანძრო საქმის მნიშვნელობის და გამაფრთხილებელი ზომების შესახებ.

ათდღიურის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში სახანძრო საქმის მოწყობას. სადაც სახანძრო იარაღები და მოწყობილებებია, ისინი სათანადოთ აწყობილი და ამუშავებული უნდა იქნას გაგზავნილი მეხანძრეების მიერ. სადაც ასეთი იარაღები არ მოეპოვება, საჭიროა მათი მომარაგება. მომავალ საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი უნდა იქნეს სათანადო ხარჯები სახანძრო იარაღების შესაძენად.

კოლმეურნეობების მოსავლის დასაცავად, დროებით, სანამ მოსავალი აიკრიფებოდეს, მახლობელ სახანძრო რაზმებიდან, ან ფაბრიკა-ქარხნებიდან უნდა გადაიგზავნოს სახანძრო იარაღები: ტუმბო, წყალმასხი, ცეცხლმაქრობი და სხვ. ცეცხლმაქრობი უნდა დაიდგას ტრაქტორების მახლობლად, ტრაქტორების მახლობლადვე უნდა დაგროვდეს მშრალი სილა, რომლითაც შესაძლებელია ბენზინისა და ნავთისგან გაჩენილ ხანძრის ჩაქრობა. ადგილობრივ უნდა მოგვარდეს წყლის საკითხი, ამოიწმინდოს ჭები, გაყვანილ იქნას არხები, საჭირო ადგილას დაიდგას წყლით სავსე კასრები და სხვ.

ხანძართან ბრძოლის ათდღიურის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მასწავლებლებმა, წაუკითხოს გლეხებს გამოცემული ბროშიურები, ათდღიურის განმავლობაში გაზეთებში მოთავსებული წერილები, განუმარტოს ნორმალური წესდება და სხვ.

საერთო ძალღონით ჩვენ შევძლებთ ხანძრის წინაალმდეგ ბრძოლის საქმის გაუმჯობესებას და სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

**გ. ასლანიშვილი.**

### დავიცვათ ფაბრიკა-ქარხნები ხანძრისაგან

საქართველოში მრეწველობა ძლიერ სწრაფი ტემპით იზრდება. მასთან ერთად იზრდება ხანძრის გაჩენის საშიშროებაც. ფაბრიკა-ქარხნები ხანძრის გაჩენის მხრივ ძლიერ საშიშროებას და თავისებურებას წარმოადგენენ. უმრავლეს ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოების ხასიათის მიხედვით, საქმე გვაქვს სხვადასხვა ცეცხლსაშიშ ნივთიერებასთან და ხანძრის გამოწვევა შესაძლებელია სულ მცირე ნაპერწკლითაც კი. წარმოებაში არის მრავალი ღუმელები და ქურები, რომლებიც ცხადია საშიშროებას წარმოადგენენ ხანძრის გაჩენის მხრივ. ხანძარი ქარხანაში დიდი სიჩქარით ძლიერდება, რასაც ხელს უწყობს საწარმოში არსებული ნივთიერება, გამზადებული მასალა და შენობის სიდიდე. ქარხნების განადგურება ეკონომიურად ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოს.

ხანძრისაგან მიყენებული ზარალის აღნუსხვა ქარხნებში უმრავლეს შემთხვევაში ცალმხრივია და მთელს სურათს არ იძლევა. სახელდობრ: ხანძრისაგან მიყენებული ზარალი ქარხანაში ჩვეულებრივ ითვლება მხოლოდ შენობის და ინვენტარის ღირებულება, მიღებულია მხედველობაში თუ არა ის მდგომარეობა, რომ ქარხნის დაწვის შემდეგ უმუშევრად დარჩენილი მუშები ზედმეტ ხარჯად აწვება შრომის ბირჟას, ე. ი. სახელმწიფოს? რასაკვირველია არა.

ამავე ქარხანაში შესაძლებელია დაიწვას მრავალი მანქანები, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ იშოვება საბჭოთა კავშირში და მისი შემოტანა საჭიროა საზღვარგარეთიდან. საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა კი საზარალოა ჩვენი სახელმწიფოსათვის, ვინაიდან მისი შეძენისათვის საჭიროა ვალიუტის მიცემა.

გამოანგარიშებულია, რომ საშუალოდ ფაბრიკა-ქარხანაში გაჩენილი თვითეული ხანძარი იძლევა 60.000 მან. ზარალს, ქალაქში გაჩენილი 19.999 მან. და სოფელში 3.000 მან.

აქ მოყვანილ ციფრებიდან ცხადია, თუ რამდენად დიდია ხანძრისაგან მიყენებული ზარალი ქარხნებში. ამისათვის კი საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მას და ყველა ფაბრიკა-ქარხანაში უპირველეს ყოვლისა დაცულ იქნას სახანძრო გამაფრთხილებელი ზომები. გარდა ამისა საჭიროა ყველა ქარხანაში არსებობდეს საკმაო რაოდენობის სახანძრო იარაღ-მოწყობილობები, ასეთები დიდ უმრავლესობაში უკვე არის.

მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველივე საუკეთესო იარაღიც კი გამოუსადეგარი იქნება, თუ მას სათანადოთ არ მოუვლიან შეგნებული მუშები, არ ეცდებიან შეისწავლონ მისი ამოქმედების წესი.

ყველა ფაბრიკა-ქარხანაში დაარსებული უნდა იქნას წარმოების სახანძრო რაზმები. სადაც არ არის ასეთები, უნდა მივიღოთ ზომები მის დასაარსებლად. ამ მიზნით უნდა მივმართოთ ადგილობრივ სახანძრო რაზმებს, მოვსთხოვოთ ინსტრუქციები და წესდებები. ამჟამად ყველა შეგნებული მუშა უნდა ირიცხებოდეს წარმოების სახანძრო რაზმის წევრად.

საჭიროა ხანძართან ბრძოლა ვაწარმოოთ ორგანიზაციულად, ხოლო ორგანიზაციული ბრძოლის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ სახანძრო რაზმის საშუალებით.

წარმოებაში ხანძრის დროს საჭიროა დაცულ იქნას სიწყნარე, ყოველივე აურზაური და ქონების უთავბოლო გამოტანა დაუშვებელია.

მუშებო, გამოარკვიეთ თქვენს ქარხანაში არის თუ არა სათანადოთ ზომები მიღებული ხანძრის წინაალმდეგ.

**ა—ლი.**

### რა აფერხებს

#### მეხანძრეთა რაზმების მუშაობას

ჩვენი სახალხო მეურნეობის და მოსავლის ხანძრისაგან დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როდესაც სოციალისტური მშენებლობის გაშლილ პერიოდში კლასიური მტრები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ შეაფერხონ ეს მშენებლობა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება. დღეს განსაკუთრებით სოფლად იშვიათი მოვლენა არაა კულაკების მიერ კოლმეურნე გლეხების ოჯახებისა და მოსავლისათვის ცეცხლის წაკიდება მათი განადგურების მიზნით. კლასიური მტრები ცდილობენ მოხერხებულ დროს გაანადგურონ ჩვენი მშენებლობა, მით უმეტეს მოსავლიანობა. არაა აგრეთვე იშვიათი შემთხვევა ხანძრის გაჩენისა გაუფრთხილებლობითაც საწარმოებში და საცხოვრებელ სახლებში.

სწორედ ამასთან დაკავშირებით დაიწყო ხანძართან ბრძოლის ათდღიურის ჩატარება. ათდღიურის განმავლობაში სოფლად გაიგზავნებიან სახანძრო საქმის მცოდნეები, საწარმოებში შემოწმდება ცეცხლმქრობელთა რაზმების მუშაობა, რათა ცეცხლმქრობელთა რაზმი ერთად-ერთი საშუალებაა მილიონების დაღუპვის თავიდან ასაცილებლად.

თბილისის სახმედვაჭრობის ცენტრალურ სააფთიაქო საწყობში გასული წლის ოქტომბრიდან ჩამოყალიბდა მეხანძრეთა რაზმი, რომელიც პირველ ხანებში უყურადღებობის გამო უმოქმედობას იჩენდა. 1929 წლის დეკემბრიდან უკვე დაინიშნა სახანძრო რაზმის ახალი გამგე, რომელმაც გადაათვალიერა ძველი საქმეები და აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი აქტები უყურადღებოთ იყო მიტოვებული. რაზმმა ახალი ხელმძღვანელის ინიციატივით დაიწყო ამოქმედება, მაგრამ ადმინისტრაციის უყურადღებობის გამო ისევ ერთ წერტილზე გაიყინა. ამის შესახებ ეცნობა სათანადო ორგანოს, მაგრამ ადმინისტრაციამ ბრძანებები მაინც თავის სურვილებს დაუმორჩილა.

ბევრჯელ იყო საკითხი დასმული, რომ მეხანძრეებს მისცემოდა სპეცტანსაცმელი, მაგრამ როდესაც ადმინისტრაცია ყურებს არ იბერტყავს. სახმედვაჭრობის მთელი ეზო დღესაც ისე უწესრიგოთ არის არეული, რომ ერთი პატარა ნაპერწკალი საკმაოა, გადაიწვას ყველაფერი. ამის შესახებაც ეცნობა ადმინისტრაციას, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია.

მეხანძრეებს შორის იმართება საუბრები, მეხანძრეთა ჯგუფის მეცადინეობა სწარმოებს თვეში ორჯერ. ჩვენი ცეცხლმქრობელთა რაზმი, მიუხედავად ადმინისტრაციის უყურადღებობისა, ფხიზლად ემზადება ათდღიურის ჩატარების ხელის შეწყობის მიზნით პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად. მაგრამ ადგილებზე მეხანძრეთა რაზმების ნაყოფიერი მუშაობისათვის აუცილებლად საჭიროა წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრივ მეტი ყურადღება და მათი კანონიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

**ნ. შანშიაშვილი.**

„დროშა“ № 12 (36)
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

### ა.-კ. რკინის გზის დირექციის აპარატის წმენდა

ამიერ-კავკასიის რკინის გზის დირექციის აპარატის გამწმენდ კომისიის შემდეგი სხდომები შესდგა 28 ივნისს პლეხანოვის სახ. კლუბში და 30 ივნისს ორჯონიკიძის სახ. კლუბში.

#### მკვეხარა პეტროვი

სტატისტიკური განყოფილების თანამშრომელმა პეტროვმა თავისი გამოსვლებით საუწყებო კომისიის სხდომებზე თავიდანვე ყურადღება მიიქცია. იგი გამოდიოდა საკუთარი განყოფილების მუშაობის სისტემის კრიტიკით. განყოფილებას უწოდებდა „მეშჩანურ ჭაობს“, სადაც თავი მოუყრიათ ბაყაყებს. პეტროვის ასეთი ქცევა თანამშრომელთა კატეგორიულ პროტესტს იწვევდა, მას ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას.

აღსანიშნავი ის არის, რომ პეტროვმა თვით სთხოვა კომისიას, გამოეძახათ იგი წმენდაზე და შეჰპირდა: მრავალ არანორმალურ მოვლენას გამოვამჟღავნებო. პეტროვი გამოიძახეს, მაგრამ მან თავისი დაპირება ვერ გაამართლა. მან სიტყვა დაიწყო მაღალი ფრაზებით, ხოლო კონკრეტიულად კი ვერაფერი სთქვა. მისი გამოსვლა უმთავრესად მიმართული იყო თანამოსამსახურეთა ლაფში გასვრისა და თავისი პიროვნების „მარკის“ აწევისაკენ, თუ რამდენად გაზვიადებული წარმოდგენის არის პეტროვი თავის თავზე, ეს იქიდან მტკიცდება, რომ მან განაცხადა: „მე მივსწერე ამხ. სტალინს წერილი კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ და ეს დაედვა საფუძვლად მისი ცნობილი წერილის („თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“) გამოქვეყნებასო (?!..)“.

რასაკვირველია, ასეთმა განცხადებამ მხოლოდ საერთო სიცილი გამოიწვია.

პეტროვზე შემოსულმა მასალამ კი სულ სხვა სურათი გადაშალა. იგი აღმოჩნდა ძველი ხულიგანი, რისთვისაც 27 წელში დამცველ რაზმიდან დაუთხოვნიათ. სტატისტიკურ განყოფილებაში ქმნიდა ინტრიგებს, დაჯგუფებებს და იყო ჭორიკანების სულის ჩამდგმელი. მუშათა ბრიგადა და თანამშრომლები მას ახასიათებენ, როგორც სუსტ მუშაკს. მას მიერ შედგენილი ანგარიში ცენტრში დაუწუნეს და უკანვე გადმოუგზავნიათ.

როდესაც მუშათა ბრიგადა იკვლევდა სტატისტიკური განყოფილების მუშაობას, პეტროვი თანამშრომლებში ავრცელებდა ხმას, თითქოს მას დავალებული ჰქონოდეს თანამოსამსახურეთა მუშაობის დეფექტების მხილება.

პეტროვი მუშათა დაწინაურების წინაალმდეგია. იგი დაწინაურებულებს უწოდებს უვიცებს, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიათ. პეტროვს დიდი საზოგადოებრივ მუშაკად მოაქვს თავი, მაგრამ წმენდაზე გამოირკვა, რომ მას საზოგადოებრივი დატვირთვა სრულიად არა აქვს.

#### ცრუ სპეცი

ჩვენ ერთ დროს აღვნიშნავდით, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე კადრების მხრივ მდგომარეობა სანუგეშო ვერ არის. ვსწერდით, რომ აპარატში ბლომად არიან მოკალათებული ცრუ სპეცები, რომ ზოგან ინჟენერების თანამდებობებზე მუშაობენ არა ინჟენერები, ან ინჟენერებს იყენებენ არა დანიშნულებისამებრ.

ეს ნათლად დაამტკიცა ყოფ. სალიანდაგო დარგის „უფროს ინჟენერის“ მელიქ-გაიკაზოვის წმენდამ. გამოირკვა, რომ მელიქ-გაიკაზოვს უსწავლია სამთო დარგზე. მაგრამ კურსი არ დაუმთავრებია. კარიერა დაუწყია ტრანსპორტზე დონეცის გზაზე. შემდეგ „ყოვლის შემძლებელ“ პროტექციის წყალობით გადმოდის ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე და ეწყობა სალიანდაგო დარგის უფროს ინჟენრად. ივი მუშაობს ბალასტის და ქვიშის დამზადების საკითხებზე, მაგრამ ვერ იჩენს სათანადო ცოდნას ამ საქმეში. მუშათა ბრიგადის დასკვნით, მელიქ-გაიკაზოვი საჭიროებს ტეხნიკურ მომზადებას. ეს ხდება იმ დროს, როდესაც გაცილებით უფრო მომზადებული მუშაკები, ნამდვილი ინჟენრები უსაქმოდ არიან დატოვებულნი. იმ დროს, როდესაც ძველი ინჟენრები წლობით ზიან ერთ თანამდებობაზე, მელიქ-გაიკაზოვს ბედი სწყალობს და მალე წინაურდება.

მელიქ-გაიკაზოვი დიდად იკვეხნის, რომ ის ძლიერი სპეცია, მაგრამ ირკვევა, რომ მას ისეთი ელემენტარული საქმის გაკეთებაც კი არ შეუძლია. როგორიცაა ქვიშისა და ხრეშის აფსის გამორკვევა. თვით რომ ვერ მოახერხა სამეურნეო წესით ქვიშისა და ხრეშის დამზადების საქმის მოწყობა, იგი გადასცა არტელებს.

მელიქ-გაიკაზოვს ჰგონია, რომ მას, როგორც ინჟენერს უნდა შეუსრულონ ყველა სურვილები. გაიკაზოვს წინადადებას აძლევენ გადავიდეს სამუშაოდ ბაქოში, მაგრამ ამაზე ის უარს ამბობს და მოტივად მოჰყავს: უკრაინიდან მხოლოდ იმისთვის წამოვედი, რომ თბილისში ვიმსახუროო.

მუშების შეკითხვაზე—როგორ მოიქცეოდა ის მუშას, თუ ეს უკანასკნელი უარს განაცხადებდა ახალ ადგილზე გადაყვანაზე, მელიქ-გაიკაზოვი სდუმს—აშკარაა, რომ ულაპარაკოდ მოხსნიდა. ასეთია მუშების აზრი.

დუმილითვე უპასუხებს მელიქ-გაიკაზოვი შეკითხვაზე, თუ რაში გამოიხატება მისი მუშაობა რაციონალიზაციის დარგში.

წმენდის მოახლოვებისას მელიქ-გაიკაზოვს ნიადაგი შეერყა, მან იგრძნო, რომ საქმე ცუდად წაუვიდოდა და დააპირა სხვა დაწესებულებაში გადასვლა.

მელიქ-გაიკაზოვის წინაალმდეგ გამოსული მუშები მიუთითებდნენ იმ უმსგავსოებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ამიერ-კავკასიის რკ. გზაზე თანამდებობის პირთა დანიშვნის საქმეში. მათ აღნიშნეს, რომ მთელი რიგი სპეციალისტები არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას. და მთლიანად ეყრდნობიან ხაზის მუშაკთა გამოცდილებას.

ეს მელიქ-გაიკაზოვის განცხადებიდანაც მტკიცდება. ის ამბობს „ქვიშისა და ხრეშის შეფასება ყოველ უნცროს აგენტს შეუძლია“-ო.

საკითხავია: თუ ეს ასეა, მაშინ რაღა საჭიროა სპეციალისტების მოწვევა ამ საქმისათვის და მათთვის დიდი ჯამაგირების მიცემა?

#### ინჟ. გურგენიძე

ახლა სამუშაოების განყოფილების უფროსი ინჟინერი გურგენიძე, დიდი ხანი არ არის რაც თბილისში გადმოიყვანეს. მანამდე იგი ითვლებოდა სალიანდაგო დარგის ხაშურის უბნის უფროსად. ახალგაზრდა სპეცია, საგზაო კომიტეტის მივლინებით დაამთავრა ლენინგრადის სატრანსპორტო ინსტიტუტი.

მუშათა ბრიგადა ბრალს სდებს მას მუშებთან შეუთვისებლობაში, ბიუროკრატობაში.

ხაშურელი მუშებიც ამასვე სჩივიან და ამბობენ, რომ გურგენიძე ხშირად იყო გაწერილი ხაშურის კედლის გაზეთში.

გურგენიძე ამ ბრალდებებს უარს ჰყოფს, სათანადო საბუთებზე მითითებით.

მასთან მომუშავე სპეციალისტები გურგენიძეს ახასიათებენ, როგორც ნამდვილ საბჭოთა სპეციალისტს და მომზადებულ მუშაკს.

გურგენიძე მუშაობს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტშიაც.

#### შეუფერებელი თანამშრომლები

ასეთი არიან: ფირალოვი (ნავთსადენიდან), ტერ-ეგულოვი (საფინანსო განყოფილებიდან) და ლიხაჩევი (სტატისტიკიდან).

ფირალოვს უყენებენ ბრალდებას, რომ იგი არ შეეფერება თავის თანამდებობას. ტერ-ეგულოვი სუსტი მუშაკია. ლიხაჩევი ებრძვის გამომგონებლობას.

**ა. ქ.**

ჩვენი წითელი არმია

№ ქართული მსროლელი ლეგიონი—უმცროსი მეთაური მინდვრად ამეცადინებს წითელ არმიელებს

### ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა

საქ. სმ.უ. საბჭოში მიღებული ცნობებით ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა დაწყებული იქნება აგვისტო-სექტემბერში. ამჟამად ქარხნის ასაგები ტერიტორიის მახლობლად სწარმოებს „მუშათა ქალაქის“ აგება. მუშათა საცხოვრებელი სახლების აგებას უკვე შეუდგენ.

საბინაო მშენებლობას აწარმოებს „საქ. სახმრეწმშენი“, რომელმაც საბინაო მშენებლობა უკვე უზრუნველყო საჭირო მასალებით. გარდა ხე-ტყისა. ხე-ტყის მასალა კი საჭირო იქნება უახლოესი ორი კვირის შემდეგ, ე.ი. მაშინ, როდესაც დამთავრდება ქვის სამუშაოები და დაიწყება ჭერ-იატაკის დაგება და კარებისა და ფანჯრების გამზადება.

ფერო-მარგანეცის ქარხნის პროექტი უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად უმაღლეს საკავშირო ორგანოებში

### პურის წიგნაკების აღრიცხვა

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა თბ. ვაჭრობის მომარაგებელ განყოფილებას ჩაატაროს პურის წიგნაკების ხელახლა აღრიცხვა.

პურის წიგნაკების ხელახალი აღრიცხვა გამოწვეულია მით, რომ სხვადასხვა მახინაციებით პურის წიგნაკები მიღებული აქვთ არა მშრომელ ელემენტებს. აგრეთვე წიგნაკებში ხშირად შეტანილია „მკვდარი სულები“ და სხვ.

მოსახლეობის ახლახან ჩატარებულმა აღწერამ დაამტკიცა, რომ ყალბი წიგნაკები დიდი რაოდენობითაა გაცემული. უკანასკნელ აღწერით ქალაქში ითვლება 310.000 სული მცხოვრები, მუშკოოპს კი მარტო მშრომელ ელემენტებზე გაცემული აქვს დაახლოებით 348.000 სულის წიგნაკი.

წიგნაკების შესამოწმებლად და აღრიცხვის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომთან დაარსდა საორგანიზაციო ბიურო, რომელშიაც შედიან თბილისის საბჭოს, პროფსაბჭოს, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, მუშკოოპის და აგრ. დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

აღრიცხვისათვის მოსამზადებელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 15 ივლისამდე, წიგნაკების აღრიცხვა კი დაიწყება 15 ივლისიდან.

### ავტომობილის კატასტროფა ბათომის ახლოს

ამ დღეებში ბათომის ახლოს მოხდა ავტომობილის კატასტროფა, რომელსაც თან მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი.

აჭარისტანის პროფსაბჭოს „ცოცხალი გაზეთის“ თანამშრომლები ბრუნდებოდენ ჩაქვიდან ორი მანქანით. გზაზე მანქანები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სიჩქარეში. სწრაფი სვლის გამო ერთი მანქანა გზიდან გადავარდა და რამოდენიმეჯერ გადაბრუნდა. ერთი მგზავრი იქვე გარდაიცვალა, 2 მძიმედ დაშავდა, 9 კაცი დაშავდა მსუბუქად.

შოფერი დაპატიმრებულია. კვლევა-ძიება სწარმოებს (ადს).

### წყალდიდობის შედეგები

#### სენაკის მაზრაში

**სენაკი**, 1 ივლისი. (საქ. კორ.) წყალდიდობის შედეგების გამოსარკვევად შესდგა სპეციალური სამაზრო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრენ რაიონების წარმომადგენლები. ეხლა წყალი უკვე დავარდნილია და შესაძლებელი ხდება ზარალის გამორკვევა.

აბაშის რაიონის წარმომადგენლის განცხადებით ამ რაიონში წალეკილია ნათესების 40 პროცენტზე მეტი. დაზარალებული ნათესების გამობრუნება შეუძლებელია. ასეთივე მდგომარეობაა სენაკის რაიონის თეკლათის თემში.

კომისიამ გადაწყვიტა გაგზავნოს რაიონებში პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც ხელმეორედ უნდა დაათვალიერონ დაზარალებული ადგილები და დეტალურად გამოარკვიონ ზარალის რაოდენობა.

ამხანაგები უკვე გაემგზავრენ რაიონებში. გამოკვლევა უნდა დამთავრდეს 3 ივლისისათვის. წინასწარ ცნობების მიხედვით, ზარალი მეტად დიდია. როგორც ირკვევა, საჭირო იქნება მთელი რიგი ნათესების ხელახლად დათესვა, თუმცა თესვა უკვე მეტად დაგვიანებულია.

# ქრონიკა

### თათბირის გადადება

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიის თათბირი, რომელიც 1- ივლისს უნდა შემდგარიყო პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების, საშეფო ბრიგადებისა და აღმასკომის მუშგლეხინის სექციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, წმენდასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, რამდენიმე დღით გადაიდო. თათბირის მოწვევის დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

### ზაჰესის გასაფართოებელი სამუშაოები.

ზაჰესის გასაფართოებელი სამუშაოები დაიწყება 3 ივლისიდან. სამუშაოთა წარმოებას უხელმძღვანელებს ელექტრო-მშენებლობის სამმართველო — „ზაკელექტროსტროი“.

### ახალი სასოფლო საბჭოები გორის ოლქში

საქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა გორის საოლქო აღმასკომის შუამდგომლობა 12 ახალი სასოფლო- საბჭოს დაარსების შესახებ. ჩამოყალიბებული იქნება — ტეზერის, ხვედურეთის, დიდი-ავლეთის, არეთის, ნორის, ხიდისთავის, ვარიანის, მერეთის, ალაიანის, წინა-რეხის, დოესის და ყარაღაჩის სასოფლო საბჭოები.

ამასთანავე ცაკმა მიუთითა ყველა საოლქო და სამაზრო აღმასკომებს, რომ დაუშვებელია რაიაღმასკომის აპარატი გამოყენებულ იქნეს სასოფლო საბჭოს მაგიერ და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ერთდაიმავე დროს იყოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეც, რადგან ეს უარყოფით გავლენას ახდენს სასოფლო საბჭოს მუშაობის ნაყოფიერებაზე.

### დანიშვნა

ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. **ესაიანი**.

### სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალთა კურსები

საქ. ცაკმა წინადადება მისცა თბილისის საოლქო აღმასკომს გადასდოს 3.000 მანეთი სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალთა ოთხდეკადიანი კურსების მოსაწყობათ.

გარდა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარე ქალებისა კურსებზე მიღებული იქნებიან აგრეთვე სას. საბჭოების წევრი ქალებიც.

### დახმარება დ. კლდიაშვილს

თბილისის აღმასკომმა დაადგინა დამსახურებულ მწერალს დავით კლდიაშვილს, მისი 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად, დახმარების სახით მისცეს 500 მანეთი.

### თბილისის ოლქის რადიოფიკაცია

მიმდინარე წელს ტარდება თბილისის ოლქის რადიოფიკაცია, პირველ რიგში მოეწყობა: დუშეთის რაიონში—135 რადიო-პუნქტი, საგარეჯოს რაიონში—100, და ლუქსემბურგის რაიონში—250. აღნიშნულ რაიონებში რადიო-ქსელის მოსაწყობად გადადებულია — 38.600 მ.

### შემოდგომის თესვის ჩასატარებლად

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების განსაკუთრებულ რწმუნებულად ამიერ-კავკასიაში დაინიშნა ამხ. **ერზინკიანი**, მის მოადგილეთ ამხ. **ჯულელი**.

### მდგმურების კრება

1-10 ივლისამდე ჩატარდება საბინაო-ამხანაგობების სახლებში მცხოვრებთა კრებები საბინაო ამხანაგობების მუშაობის შესამოწმებლად. 10 ივლისიდან მოეწყობა მდგმურების რაიონული კრება, ხოლო ივლისის ბოლო რიცხვებში—საქალაქო კონფერენცია.

### თბილისის მაუდის ფაბრიკა

ფეიქარი ქალი დაზგასთან

## შემთხვევები

### ტრამვაის ქვეშ

მალაკნის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ილია ბერუაშვილს (საბჭოს ქუჩა № 95), რომელსაც აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და მოათავსეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

### თავის დაჭრა

ელენე ნიკოლოზის ასული ბესჩასნაიამ ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მუცლის არეში მიიყენა მსუბუქი ჭრილობა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

### თავის მოწამვლა

გიორგი გრიგოლის ძე მელვინიშვილმა (ლიხის შესახ. № 9) ლაქის სპირტით მოიწამლა თავი.

### დახრჩობა

მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო დიმიტრი ჭაჭაშვილი (მცხ. სოფ. მცხეთაში). თამაშობის დროს მტკვარში უცაბედათ გადავარდა და დაიხრჩო აგრეთვე შალვა ბახჩოს ძე ოგანეზოვი.

### დაპატიმრება

ქურდობისათვის დააპატიმრეს: ეკატერინე ვარლამის ასული გურული, მნაცაკან ტერ-აკოფოვი და ფედორე ვეტკევიჩი (უბინაონი).

### ჯიბგირობა

გიორგი ჩარაშვილს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 37 მან. და პირადობის მოწმობა;—სილიბისტრო ლაბაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 45 მან და საბუთები.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. საგანმანაწილებლო განყოფილება** დღეს დილის 10 საათისათვის იწვევს შემდეგ ამხანაგებს: კონსტანტინე ლაზარევი („გრუზგოსტორგი“), პაპავა (განათლების კომისარიატი), ბერჩიანი (სამთო ქიმტრესტი), ომაროვი (საქ. ცაკი), ზირაქიშვილი (საბჭოთა მეურნეობის ტრესტი), ელიაშვილი (მესაქონლეთა კავშირი), ლომიძე (სახდაზღვევის სამმართველო), თითბერიძე (სახკინმრეწვი), პიმენ ხობუა (რადიო ცენტრი), ვლადიმერ დუმბაძე, (გეოდეზიური სამმართველო) ენუქიძე (წითელი ჯვარი), გიორგი მამალაძე (ჯანსახკომი), ფრიდონ ფრიდონოვი (თამბაქოს ტრესტი), დიმიტრი ჯორბენაძე (ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი), აკაკი ქაჯაია (კომუნალური ბანკი), დონიჯიშვილი (თავდაცვა-ავიაქიმი), ს. ორაგველიძე (განათლების კომისარიატი), კალანდაძე (კოოპ. კავშირი), სირაძე (შრომის კომისარიატი), დავით ქჟონია, პარკაძე (სარევოლიუციო მუზეუმი), გ. სვანიძე (უზენაესი სასამართლო), სულხიაშვილი (ა.-კ. ფინანსთა კომისარიატი), სერგო ხუციშვილი (მეხბოსტან კავშირი), კუზნეცოვი (მე-5 სტამბა).

**საქ. კომკავშირის ც.კ. საკონფლიქტო კომისია** აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე კომკავშირის ც.კ. შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 20) შესდგება ც.კ. საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება ამხ. თედეევის, შუტერის, კალანდაძის, ჩაგლიშვილის, ბერძენიშვილის, ვაშაკიძის, მარღანიას, არევაძის, გოგოლაძის, ნუცუბიძის, კამალოვის, ცინცაძის და დოლიძის საქმეები.

— **დღეს, 2 ივლისს, ს.კ.პ. (ბ)** თბილისის კომიტეტში ამხ. აველისოვთან გამოძახებულია ამხ. ახობაძე გრიგორი.

— **საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისია** სთხოვს ამხ. პალადი დარახველიძეს, ივანე ცინცაძეს და ვასილ ჯიბიკაშვილს 4 ივლისს დილის 10 საათზე გამოცხადდენ საკ. კომისიაში ამხ. კვიციანიძესთან (ოთახი № 6).

**ს.ს.პ.ი.** სამთო-ქიმიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ღია კრება ა.ლ.კ.კ. № 8 და 9 უჯრედებთან ერთად შესდგება დღეს საღამოს სრულ 6 საათზე.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
ოთხშაბათს, 2 ივლისს — როგორ — მეოთხე აბონემენტი
ხუთშაბათს, 3 ივლისს — ურიელ აკოსტა — მეხუთე აბონემენტი
პარასკევს, 4 ივლისს — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ — მეორე აბონემენტი
წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

საზაფხულო პალასი (დარბაზის ბაღში) 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 ს.
საზღვარგარეთული მხატვრული სურათი
გავშვის გულისათვის (ფიცის გატეხვა)
პროგრამის გარეშე დავიდოვის გასტროლები (გავის გიტარა)
საზაფხულო ეთერი 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 საათზე.
შიში
ს. ცვეიგის რომანის მიხედვით
პროგრამის გარეშე დავიდოვის გასტროლები (გავაის გიტარა)
სპარტაკი (ყ. არფასტო) 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
მხატვრული კომედია
ახალგაზრდობა იმარჯვებს
რეჟ. მ. გელოვანი, ოპერ. დიღმელაშვილი
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
ჩარლი ჩაპლინი
თავის კომედიებში
(შემოქმედების ევოლიუცია).
საზამთრო აპოლო
საზღვარგარეთული კომედია
მოუსვენარი მეზობლები
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 ს.
საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7-30 წ.
საუკეთესო სურათი
მოპირდაპირე ქარი
რიონი (ყოფ. სახ. მინიონი) 1 სეანსის დასაწ. 7 ს.
ტანი იუნ
სურათში
ქარიშხალი ვოლგაზე

მედსანშრომის საზაფხულო კლუბში ამხ. მაჩაიძის სახელ. (ყოფილი „სტელა“)
დღეს, ოთხშაბათს, 2 ივლისს,
უკანასკნელი გასტროლი თბილისში დამს. მსახ.
ბ. ს. ბორისოვის
ლადო კავსაძის მონაწილეობით.
ნ. 975

### სანზერის მკოოპერატივის დასკვნითი ბალანსი

აქტივი. 1928/29 წ. პასივი.

| დასახელება მუხლების | | დასახელება მუხლების | |
|---|---|---|---|
| 1. სალარო | 9290—53 | გაცემული თამასუქებ: | |
| 2. საქონელი გასასყ. ფასით | 104094—09 | 1. ცეკავშირისადმი | 20890— |
| 3. ადგილობრივი ნაწარმოებ. | 317—75 | 2. სახელმწიფო ორგანიზაც. | 40448—75 |
| 4. ანგარიშვალდებულნი | 125—52 | ნასესხი და ანაბარი: | |
| 5. საქონელი გზაში | 28147—49 | 3. ანაბარი | 5420—55 |
| 6. წევრთა ულარიბესი მოს. ფონდ. | 863—89 | 4. გრძელვად. სესხი | 520— |
| 7. დანარჩენი დებიტორები | 24431—30 | 5. ბანკერი თამასუქ. დისკონტ. | 14000— |
| 8. მიღებული თამასუქები | 162—67 | 6. სახელმწ. ორგან. საქ. ანგ. | 2500— |
| 9. წინასწარ. გაწეული ხარჯები | 664—29 | 7. კერძო მომყიდვ. „ „ | 1067— |
| 10. ფასიანი ქაღალდები | 5379—80 | 8. დანარჩენი კრედიტორ. | 2681—10 |
| 11. ანარიცხ. კოოპერატ. ბანკში | 213— | 9. საპაიო თანხა | 34475—11 |
| 12. ქონება—ინვენტარი | 8451—61 | 10. ძირითადი თანხა | 25438—23 |
| | | 11. ულარიბეს გლეხთა აღნიშ. | 863—89 |
| | | 12. საამორტიზაციო თანხა | 565—16 |
| | | 13. ქალთა ყოფა-ცხოვრ. გაუმჯ. ფონ. | 64—68 |
| | | 14. დარიცხვა საქონელზე | 14357—81 |
| | | 15. მოგება—საანგარიშო წლის | 18849—66 |
| ბალანსი | 182141—94 | ბალანსი | 182141—94 |

გამგეობის თავმჯდომარე: ქ ბრეგვაძე.
გამგეობის წევრი: ი. ხვედელიძე. ბუხჰალტერი კომახიძე. ნ. 974

კინო-აპოლო
დღეიდან 2 ივლისიდან
საზღვარგარეთული
ახალი კომედია
მოუსვენარი მეზობლები
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

თვითგანვითარებისათვის, უნივერსიტეტში & მუშფაკში შესასვლელად გავდივართ ზაფხულის პერიოდში ფიზიკის და
მათემატიკის
კურსს: (არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომ.) აგრეთვე ვამზადებთ ყველა საგნებში
სპეცტეხნიკუმში
შესასვლელად და ჩამორჩენილ მოწაფეებს საშემოდგომო განმეორებითი გამოცდებისათვის. პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ჩერნიშევის (ყოფ. ალექსის ქ.) № 5. ნახვა 9-11 ს. და 4-5. ქვ. 1347 3318

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 0—12

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11, მიღება საღ. 7 - 8 ს. ტელეფ. 4 - 82. 25—1

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
წასულია
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში. 25—1

კინო სპარტაკი
(ყოფილი არფასტო)
დღეიდან 2 ივლისიდან
მხატვრული კომედია
ახალგაზრდობა იმარჯვებს
სცენარი გ. მდივანის
რეჟისორი მ. გელოვანი
ოპერატორი დიღმელაშვილი.
მთავარ როლებში:
თ. თვალავაძე, ა. ხინთიბიძე, ს. ფალავანდიშვილი და სხ.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

კ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—[ი]

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათმდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დახაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის დ. ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

დ. ს. რიქინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა იღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 უსთაველის პრ.კუთხე. ტელ. 25—68. 25—

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის შემდეგ პირების ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთებს, მათი დავალიანების ასანაზღაურებლად.

1. მარტიროზოვი გაბრიელ იაგორის-ძის კუთვნილ სასადილოს ინვენტარი და ხილის ყუთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 3 ივლისს დილის 10 საათიდან, ფიგნერის ქ. № 38.
2. ასოიანცი კარაპეტ მანუკის-ძის ღვინის „ბოჭკები“. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 3 ივლისს დილის 11 ნახ. საათიდან, იურიევის ქ. № 10.
3. მირაქოვი აიკ გრიგორის-ძის კუთვნილი ფოტო აპარატის სხვადასხვა მოწყობილობა, საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 3 ივლისს დღის 1-ლ საათიდან, ადგილობრივ, კარლ მარქსის ხიდთან, დარაბა № 81375.
4. კოოპერატიული არტელის „ხორცეულის“ კუთვნილი ელექტრო-მოტორი და ძეხვის ქარხნის ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ადგილობრივ 3 ივლისს, დღის 2 საათიდან, სიონის ჩიხი № 3-ში.
5. მარქაროვი ალექსანდრე ისაკის-ძის კუთვნილი მაგიდები, სკამები, ტანისამოსის შკაფი და სხვა ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 4 ივლისს დილის 10 საათიდან კალოუბნის ქ. № 23.
6. ელისაშვილი დავითის კუთვნილი ბუფეტის შკაფები და სადურგლოს სახელოსნოს ინვენტარი. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 4 ივლისს, დილის 11 ნახ. საათიდან ადგილობრივ (პლეხანოვის ქ. № 111-ში).
7. ისაგულიანცი სურენ მამიკონის ძის კუთვნილი საბაყლო სავაჭროს სხვადასხვა წვრილმანს. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 4 ივლისს, 2 საათიდან ლოტყის ქ. № 8-ში.
8. აზნაზაროვი ელიშე გიორგის-ძის კუთვნილ წვრილმანით სავაჭროს სხვადასხვა ნივთებს. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 5 ივლისს დილის 10 საათიდან წყნეთის ქ. № 23-ში.
9. პოლოსოვი ისააკ მარტიროსის-ძის კუთვნილ საბაყლო სავაჭროს სხვა და სხვა წვრილმანს. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 5 ივლისს, დილის 11-ნახ. საათიდან, სამიჯნოს ქ. № 13.
10. ეპიტოვი ფირუზა მელქოს-ძის კუთვნილი ღვინის „ბოჭკებს“ და სხვა და სხვა ნივთებს. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს 5 ივლისს, 2-საათიდან დავითაშვილის და პარალელურ ქ. კუთხე № 14/16-ში. ნ. 976

ს. მ. უ. ს. ქიმკომბინატის სამმართ ელო
ა. წ. 25 ივნისიდან გადავიდა კომუნალური ქ. № 119 (ყოფ. „მილოძასის“ შენობაში) საწყობი დარჩა ძველ ადგილზე— ანჩისხატის ქ. № 17. სამმართვ. ტელ. 14-11 საწყ. ტელ. 24-68.
3620 ქიმკომბინატი.

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. გამყრელიძე
აცხადებს, რომ ის ა. წ. 16 ივლისს. 10 საათზე, ქ. ონში, პირველი
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის სვიმონ ოქრუას ძე ტყეშელაშვილის ერთ ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს, რომლის ქვედა სართული ქვისაა ორი ოთახისაგან შემდგარი, ზედა სართული კი ხის—შესდგება ხუთი ოთახისაგან, ორი საკუჭნაოთი, ორი აივნით და ორი კიბით; ერთ თხმელის ქოხ-ბოსელს, ნაძვის სამზარეულოს შიგ ფურნით და ერთ წიფლის ბეღელს, დახურულს ყავრით და გასასყიდათ შეფასებულს 3500 მან.—გარდაცვალებულ გრამიტონ ბაქრაძის ობლების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ამბროლაურის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა № 2917 17 სექტემბრის 1929 წ. თარიღით.
საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 311—312 მუხ. დაცვით. 3607

გულდათუთქული მშობლები ილია და თამარ კაშიები, ბებია მელანია და ბაბუა იოსებ-კაკაბაძეები დასტირიან უდროოდ დაკარგულ პატარა
გულიკოს (გურანას)
დასაფლავება ორ ივლისს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება: სტავროპოლის ქუჩა № 8. 3610

უნუგეშოთ გულმოკლული დედა მარო, გაუბედურებული მეუღლე თამარა, უდროოთ დაობლებული პაწია ქალიშვილი ქუქუნა და დამწუხრებული ძმა მიტუშა აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს, ახლობელთ და ნაცნობთ დაუვიწყარისა და საყვარელის
ლევარსი თეიმურაზის ძე გეგურიშვილის
მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ოზურგეთში, ხუთშაბათს, 3 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე. (ნის.)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკა, შვილები: გერონტი, ბარნაბა, იპოლიტე, ილია თავიანთი ცოლ-შვილით და შვილი დიმიტრი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქ. ლანჩხუთში 30 ივნისს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
ნიკო გიორგის ძე ვადაჭკორია
გამოსვენება 3 ივლისს, ქ. ლანჩხუთში. 3619

ღრმათ დამწუხრებულნი შვილი რამანა, რძალი კატო და პაწაწა ზინიკო აუწყებენ ყველა ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და ძვირფასი
მარიამ (მაშო) გოჩიტაშვილი
დაკრძალვა 2 ივლისს, სოფ. მალაროში. ნ. 977

ღრმად დამწუხრებულნი ვაჟიშვილები: ვახტანგი და კაკო, მეუღლეებით თამარა და მარო ადეიშვილები, ქალიშვილები—თამარი, ქეთევანი, მეუღლეებით - ალექსანდრე ჭელიძე და ალექსანდრე ფთაური აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი დედა
ბაბალე იოსების ასული ადეიშვილი
დაკრძალვა მოხდება 2 ივლისს, 4 ნახ. საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან თუმანოვის შეს. 18. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე—მარო, შვილი—ჟორა, ძმები: იოსებ და ვალიკო, ძმისშვილები: საშა, ვალოდია და შუშანიკა ბერაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 30 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი
ლადიკო მარკოზის ძე ბერაძე
დაკრძალვა 3 ივლისს, ხუთშაბათს, დღის 4 ს. ქალაქ ბათომში. (დეპ.)

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— სავაჭ. მუშ. კავშ. წიგნ. № 11262—დ. ლოლიძის სახ. 3625
— მეტრ. ამონაწ.—ივანე იოსების-ძე იაშვილის სახელზე. 2623
— პროფკავშ. წიგნ. № 49243 გაცემ.—ტროფიმე რამიშვილის სახ. 3624
— პურის წიგნ. „ა“ № 13019—ვანო უდუშაშვილის სახელზე. 3615
— რძის აბონემ. - ივანე კავლელაშვილის სახელზე. 3616
— განათლ. კავშ. წიგნ. და საანგ. წიგნ.—ნინო ვასილის ასული აკოფაშვილის სახელზე. 3556
— პურის წიგნ. „ბ“—ვასილი ზებედაშვილის სახელზე. 3602
— კავშ. წიგნ. № 75—სერგო ავალიშვილის სახელზე. 3553
— საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კავშ. წიგნ. № 30358—ნინო კონსტანტინეს ასული მაყაშვილის სახელზე. 3602
— მუშკ. საწ. წიგნ. № 36603—სერგო რეხვიაშვილის სახელზე. 3606
— მეტრ. მოწმ.—ელენე ხერხეულიძის სახელზე. 3608
— მიწა-ტყის კავშ. წიგნ. № 58269—ნინო გორგასლიძის სახელზე. 3613
— სახ. უნივერ. დამთავრ. დროებითი მოწმ.—ნინა ბრეგვაძის სახ. 3604
— პურის წიგნ.—ლევაა ლორთქიფანიძის სახელზე. 3614
— მოწმობა № 89 7-წლედის დამთავრ. შესახებ და მეტრიკული ამონაწ. დიმიტრი ალექსის-ძე შარაშენიძის სახელზე. 3611
— კავშირის და საანგარიშო წიგნაკები ნინო ვასილის ასულ აკოფაშვილის სახელზე. 3556
— პურის წიგნაკი ასლან დიანოზის ძე ჯაფარიძეს სახელზე. 3533
— მეტრიკული ამონაწერი გიორგი გიორგის ძე ლოთვაძის სახელზე. 3561
— მუშკოოპის წიგნაკი ისააკ აბრამის ძე ბინიაშვილის სახელზე. 3554
— კავშირის წიგნაკი № 75—სერგო ავალიშვილის სახელზე. 3553
— ზაკტპოს წიგნაკი № 33305—დავით არაბიძის სახელზე. 3558
— რძის ტალონი იპოლიტე პლატონის ძე დანელიას სახელზე. 3591

ტირაჟი—55.490
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904